

ყინული თბილისისკენ დაიძრა

A6



წერილი ევრაზიულ ჯგუფს

B2



ორი სტივის პირმშო

B3

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 28 მარტი, 2006 წელი. №66 (1218)

ფასი 50 თეთრი

## ბიზნესი

### როგორი უნდა იყოს ელექტროენერგიის ტარიფი

ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ფასები სახელმწიფოს მიერ რეგულირებად რეჟიმშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ამ მომსახურებაზე ფასების ინდექსები მნიშვნელოვნად უსწრებს წინ თავისუფალ კონკურენციაში მყოფი საქონლის ფასების ინდექსებს. ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, აუცილებელია რეგულირებად რეჟიმში მყოფ საქონელსა და მომსახურებაზე ფასები შენარჩუნებული იქნეს საშუალო სამომხმარებლო ფასების პარიტეტულ დონეზე. ამას უნდა ემსახურებოდეს ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიების საქმიანობა.

B4

ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 28/03 | 29/03 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 19 |
| ტყიბული | 16 | 18 |
| სოხუმი | 17 | 20 |
| დმანისი | 7 | 8 |
| გორი | 12 | 14 |
| ონი | 8 | 13 |
| ზუგდიდი | 18 | 21 |
| ახმეტა | 16 | 18 |
| გაგრა | 16 | 18 |
| სამტრედია | 18 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8285 |
| ევრო | 2.2011 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1960 |
| რუბლი | 0.0658 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
საზოგადოება A 5
სპორტი A 6
პროექტი A 7
სხვადასხვა A 8

# ბუნტი ციხეში

ინგა ალავიძე

*გარდაცვლილი და დაჭრილი პატიმრები, დანგრეული გუბერსკის ციხე, პატიმართა ახლობლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მიერ ორთაჭალის საპყრობილესთან გამართული ხმაურიანი საპროტესტო აქცია და საზოგადოების დიდ ნაწილში ავტორიტეტული კრიმინალებისადმი გაჩენილი თანაგრძნობა; და კიდევ, საზოგადოების ნაწილში ხელისუფლების სამართლიანობისა და ქმედითუნარიანობის თაობაზე წარმოშობილი ეჭვი - ეს ის სამწუხარო შედეგია, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ორთაჭალის საპყრობილესა ე.წ. "რესბალნიცაზე" ჩატარებულ სპეცრაუნდს მოჰყვა. დადებითი შედეგი კი, როგორც ხელისუფლება ირწმუნება, ისაა, რომ დედაქალაქი რეალურ და უსაშინლეს საფრთხეს - უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულ კრიმინალთა თარეშს გადაურჩა.*

მომხდარის თაობაზე გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაცია, რომლის ავტორებიც თავად პატიმრები არიან, შემდეგი შინაარსისაა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ გართობის ჩვეულ ტრადიციას მიმართა - ნასვამი ახალაია შუაღამისას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივიდა, ავტორიტეტულ კრიმინალებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია, შეუვარდა და ზოგიერთ მათგანს სცემა. "შავი სამყაროს" წარმომადგენლებზე მიტანილი "შტურმის" გამო, საპატიმროში დაუწერელი კანონი ამოქმედდა - ყველა პატიმარმა, მიუხედავად სურვილისა და სტატუსისა, სოლიდარობის ნიშნად, პროტესტი გამოხატა. ციხის მასობრივ პროტესტს დარბევა მოჰყვა.

ბუნტი ციხეში და გაქცევის მცდელობა, რომელსაც ავტორიტეტული კრიმინალები აწყობდნენ - კარგად დამუშავებული ეს ოპერატიული ინფორმაცია გახდა საფუძველი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის

გაგრძელება A4 გვერდზე

# მსხვერპლის საფასურად აცილებული საფრთხე

*სროლა ორთაჭალაში გუშინ ღამით, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთზე დაიწყო და დილამდე გასტანა. შედეგად - როგორც ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, ციხეში ბუნტისა და განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების გაქცევის მცდელობის აღკვეთა მოხერხდა. იმავე ოფიციალური წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ორი დღით ადრე მიღებული ინფორმაციისა ციხეში ბუნტისა და გაქცევის მზადების შესახებ, მეტიც, ორგანიზატორთა ვინაობის შესახებ ინფორმაციის ქონისა, ხელისუფლების სახელით მოქმედ სამართალდამცველ ორგანოებს შვიდი პატიმრის ლიკვიდაცია და ასამდე თავისუფლებააღკვეთილის დაჭრა დასჭირდათ იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის თავიდან აეცილებინათ პატიმრებისგან მომდინარე დიდი საფრთხე.*

გუშინ, ღამის 2.30 საათზე, თბილისში, ორთაჭალაში მდებარე N1, N5 სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაწყებულ სროლას პატიმრების ოჯახის წევრების მხრიდან პანიკა მოჰყვა. ციხეებთან მისულთ, მათ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები შეუერთდნენ. სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებით გარშემორტყმული საზოგადოება, სროლის, ფანჯრების მტვრევისა და ყვირილის ფონზე, თვით პატიმრებისგან ცდილობდა, გაეგო, რა ხდებოდა გისოსებს მიღმა. ციხიდან კი პატიმრები შველას ითხოვდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პატიმართა ამბოხის ორი ვერსია

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ გამთენიისას მე-5 საპყრობილეში განვითარებულ მოვლენებს, როგორც მოსალოდნელი იყო, უმრავლესობა და ოპოზიცია განსხვავებულად აფასებს. სახელისუფლებო გუნდის წევრები სამართალდამცავთა ქმედებებს მაღალ შეფასებას აძლევენ და აცხადებენ, რომ პატიმართა ამბოხისა და ციხიდან გაქცევის მცდელობის აღკვეთით, ქვეყანა დიდ განსაცდელს გადაურჩა, ოპოზიციონერი დეპუტატები კი, პირიქით, - ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაზე საუბრობენ.*

ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას გადაყენება და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვა.

გაგრძელება A2 გვერდზე



*სახელისუფლო გუნდი სამართალდამცავთა ქმედებებს მაღალ შეფასებას აძლევს.*

# რამდენად მყარი აღმოჩნდება ნარინჯისფერთა ხელმეორე ქორწინება?

*საერთაშორისო დამკვირვებლებმა, რომელთა რაოდენობა ორი ათასს აღწევს, უკრაინაში ჩატარებულ არჩევნებს სამართლიანი უწოდეს. "ეს არჩევნები შეიძლება დახასიათდეს, როგორც თავისუფალი, პატიოსანი და ამიტომ ამ არჩევნებში ნამდვილი გამარჯვებული მხოლოდ უკრაინელი ხალხია," - განაცხადა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ელსი ჰასტინგსმა.*

კობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება",
სპეციალურად "24 საათისათვის,
კიევი

თუმცა, არჩევნები მთავრდება მაშინ, როცა ყველა ბიულეტენი დაითვლება. შესაბამისად, 27 მარტს უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია განაგრძობდა ტერიტორიული-საარჩევნო ოლქებიდან მიღებული ოქმების დაჯამებას. არჩევნების მეორე დღისათვის, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების 60 პროცენტი დაითვალა. წინასწარი მონაცემებით უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში ხმათა დაახლოებით 27 პროცენტით ლიდერობს ვიქტორ იანუკოვიჩის ბლოკი "უკრაინის რეგიონები", მას ოდნავ - 3 პროცენტით ჩამორჩება - იულია ტიმოშენკოს ბლოკი, მოქმედი პრეზიდენტის მხარდამჭერი "ჩვენი უკრაინა" კი 17 პროცენტით მესამე ადგილზეა. წინასწარი მონაცემებით 3 პროცენტიან ბარიერს გადალახავს და უკრაინის უმაღლეს რადაში მოხვდება უკრაინის სოციალისტური და კომუნისტური პარტიები.

თუ ეს თანაფარდობა ხმების საბოლოო დათვლის შემდეგ უცვლელი დარჩა, აუცილებელი იქნება კოალიციის შექმნა 450 კაციან უმაღლეს რადაში, რათა საკონსტიტუციო ვადებში - არჩევნებიდან 60 დღის განმავლობაში მოხდეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და მთავრობის დამტკიცება. მაგრამ, პოლიტიკურ კრიზისს უკრაინაში არავინ ელოდება, რადგან ძირითადმა საარჩევნო სუბიექტებმა ხმების საბოლოო დათვლამდე დაიწყეს აქტიური კონსულტაციები კოალიციური შეთანხმებისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პოლიტიკა B

## ღვინის თანხლებით

დიანა ჩაჩუა

*ღვინის ქართველ მწარმოებელს რუსეთმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა. რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ადამიანის კეთილდღეობის სფეროში ზედამხედველობის ფედერალურმა სამსახურმა 27 მარტიდან საქართველოდან და მოლდოვადან რუსეთში ღვინის შეტანაზე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნების მოქმედება შეწყვიტა. როგორც სამსახურის ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს წერილშია ნათქვამი, მოლდოვადან და საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე შეტანილი ღვინო და ღვინომასალები რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება.*



# სუვერენიტეტის გადაფასება

რიჩარდ ჰაასი
საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს პრეზიდენტი

350 წლის მანძილზე სუვერენიტეტი - ცნება, რომ სახელმწიფოები მთავარი მოთამაშეები არიან საერთაშორისო ასპარეზზე, და რომ ეროვნულ ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე (და არა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე), ფაქტობრივად, რაც მოეპრიანება, იმის გაკეთება შეუძლია - საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელი პრინციპი იყო. დადგა დრო, ეს მოსაზრება გადაიხედოს.

დღეს მსოფლიოს 190-ზე მეტი სახელმწიფოს გვერდით არსებობენ უამრავი ძლევამოსილი, მაგრამ სუვერენიტეტის არმქონე აქტორები (მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი კორპორაციები; გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები; ტერორისტული დაჯგუფებები; ნარკოკარტელები; რეგიონული და გლობალური ორგანიზაციები; ბანკები და კერძო საინვესტიციო ფონდები და ა.შ). ისინი, ფაქტობრივად, ისევე ზემოქმედებენ სუვერენულ სახელმწიფოებზე, როგორც სახელმწიფოებს ძალუძთ მათზე ზეგავლენის მოხდენა. პრაქტიკულად, სახელმწიფოს ხელში ერთ დროს არსებული ძალაუფლების სრული მონოპოლია დღეისათვის თანდათან ქრება.

შესაბამისად, საჭირო ხდება რეგიონული და გლობალური მართვის ახალი მექანიზმები, რომლებიც, სახელმწიფოთა გარდა, სხვა მოთამაშეებსაც გულისხმობენ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ მაგალითად, "მაიკროსოფთ"-ს, "ემნესთი ინთერნეშნლ"-ს ან "გოლდმან საკს"-ს გაერო-ში წარმომადგენლები ეყოლება. თუმცა იგი გულისხმობს, რომ მსგავსი ორგანიზაციები (მაშინ, როცა მათ რეალურად ძალუძთ რეგიონული დ გლობალური პრობლემების გადაჭრაზე გავლენის მოხდენა) ჩართულნი არიან დისკუსიებში რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

უფრო მეტიც, სახელმწიფოებმა საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი აუცილებლად უნდა უწილადონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა საერთაშორისო სისტემამ გამართული ფუნქციონირება განაგრძოს. ასეთი პროცესი უკვე შეინიშნება ვაჭრობის სფეროში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პატრიარქმა ხელისუფლებას მიმართვა გაუგზავნა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, თბილისის მე-5 საპყრობილეში მომხდარ ფაქტს გამოეხმაურა და ხელისუფლებას საქართველოს ეკლესიის სახელით წერილობითი მიმართა.

"გამოვქვამ დიდ გულისტკივილს ა.წ. 27 მარტს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში განვითარებული მოვლენების გამო, რის შედეგადაც დაიჭრა მრავალი ადამიანი, სამწუხაროდ არის მსხვერპლიც.

საქართველოს ეკლესიის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, დაჭრილებსა და მათ ახლობლებს.

პატიმრებს მოვუწოდებ ლოცვისაკენ, ხელისუფალთ კი მივმართავთ თხოვნით, რათა ნება დართონ ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებს საპატიმროებში შესვლისა, რათა ხელი შევუწყოთ პროცესების ნორმალიზაციას და მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნას",-ნათქვამია მიმართვაში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ზურაბ ნოღაიდელი კოკოითთან შეხვედრისთვის მზადყოფნას გამოთქვამს

ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს საგანგებო სხდომაზე გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ქართველ და ოს სამართალდამცავებს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის ერთობლივი კონტროლისკენ მოუწოდა და გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს სამხრეთ ოსეთის ლიდერს ედუარდ კოკოითს. იგი მიესალმა ეუთოს ჩართვას იმ ინიციატივებში, რომლებიც საქართველოში გაყინული კონფლიქტების მოგვარებას ისახავს მიზნად.

"მუქარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი აღარ არის მხოლოდ მუქარა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიმართ... მუქარა საქართველოს სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის წინააღმდეგ წარმოადგენს მუქარას ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, საჭიროა მათი მოგვარება თანამშრომლობის და კოორდინაციის გზით. საქართველო მზად არის, იმუშაოს რუს კოლეგებთან ამ საკითხების მოსაგვარებლად," - განაცხადა ნოღაიდელმა.

პრემიერის თქმით, ერთობლივი პოლიციის შექმნა კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების კუთხით ვითარებას გააუმჯობესებს. იგი, ასევე, მიესალმა ეუთოს წინადადებას კონფლიქტის ზონის ჩრდილოეთით გუფთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის თაობაზე და აღნიშნა, რომ ეუთომ დააფიქსირა გარკვეული დარღვევები, მათ შორის მძიმე ტექნიკის გადაადგილება.

"ყველაზე შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სამშვიდობოები ეუთოს დამკვირვებლებს რეგულარულად არ უშვებენ კრიტიკულ ადგილებში ინსპექტირებისთვის, რითიც ხელს უწყობენ დანაშაულის აღურიცხაობას. მშვიდობის წინააღმდეგ ამგვარი ქმედებები უნდა შეჩერდეს და ეუთოს უნდა მიეცეს საშუალება, გააკონტროლოს მოვლენები, უსაფრთხოების კუთხით გააუმჯობესოს ვითარება," - აცხადებს ნოღაიდელი.

პრემიერ-მინისტრმა, ასევე, აღნიშნა, რომ საქართველო მოუთმენლად მოელის ეუთოს ეგიდით მაისში დაგეგმილ დონორთა კონფერენციას "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით.

" ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა კვლავ სიღარიბის პირობებში ცხოვრობს, რომელსაც თან სდევს ყოველდღიური შიშის ატმოსფერო. ეუთოს შეფასებით, ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით იმ მდგომარეობაში, როცა უნდა დავაკმაყოფილოთ რეგიონის კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და სოციალური რეაბილიტაციის მოთხოვნები," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

*მედიანიუსი*

## მიხეილ სააკაშვილი დღეს ხორვატიაში გაემგზავრება

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, ეს პრეზიდენტ სააკაშვილის ხორვატიაში პირველი სამუშაო ვიზიტია.

ხორვატიიდან სააკაშვილი 29 მარტს იტალიაში გაემგზავრება, სადაც ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაში მიიღებს მონაწილეობას. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები იტალიის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან.

3 აპრილს კი საქართველოს პრეზიდენტი უკრაინას ეწვევა.

*ინტერპრესნიუსი*

## დამნაშავე სოდ-ის ხელმძღვანელის ნათესავია

*შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილები დააკავეს, რომელთაგან ერთ-ერთი სოდ-ის ხელმძღვანელის ირაკლი კოდუას ნათესავი აღმოჩნდა.*

როგორც სოდ-ის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელმა ლევან გურგენიძემ განაცხადა, ეჭვმიტანილების - დავით ხვედელიანის, დავით და მალხაზ ფარცვანიების დაკავება თბილისში, მეტროსადგურ "გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

ხვედელიანმა და ფარცვანიებმა 23 მარტს ზუგდიდში მცხოვრები 62 წლის ზოია ჩახაია გაიტაცეს, რომლის დაბრუნების სანაცვლოდ, ოჯახს 15000 აშშ დოლარს სთხოვდნენ. გამტაცებლებმა თანხის ნაწილი - 6000 დოლარი უკვე მიიღეს და გუშინ მათ დარჩენილი თანხა - 9000 დოლარი მეტროსადგურ "გოცირიძესთან" უნდა გადასცემოდათ. მათი დაკავება სწორედ თანხის გადაცემის ფაქტზე მოხდა. დაკავებისას ბოროტმოქმედთა ჯგუფმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია. სამართალდმცველებმა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინეს, რის გამოც, გამტაცებლების კუთვნილი ავტომანქანის მინები ჩაიმსხვრა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია გამტაცებლებისთვის გადასაცემი თანხა - 9000 დოლარი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მძევალი ზოია ჩახაია აღნიშნულ პირებს დოლიძის ქუჩაზე მდებარე ბინაში ჰყავდათ გადამალული. ამ დროისთვის ჩახაია უვნებლად არის გათავისუფლებული. მალხაზ ფარცვანია სოდ-ის ხელმძღვანელის ერეკლე კოდუას ნათესავი აღმოჩნდა, რომელიც აღნიშნული დეპარტამენტის სახელით ბოროტად სარგებლობდა და ჩახაიას თანხას სძალავდა, ამიტომ მალხაზ ფარცვანია კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება. როგორც სამინისტროში განმარტავენ, ამ დანაშაულში ეჭვმიტანილების დაკავებას უშუალოდ ირაკლი კოდუა ხელმძღვანელობდა. კანონით, თანხის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცება, დადასტურების შემთხვევაში, უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

# პატიმართა ამბოხის ორი ვერსია

პირველი გვერდიდან

მან ასევე საჭიროდ მიიჩნია ახალაიასთვის სიმთვრალეზე ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რადგან, გამყრელიძის მტკიცებით, არსებობს უტყუარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მე-5 საპყრობილეში სპეცოპერაცია მან ნასვამ მდგომარეობაში ჩაატარა.

გარდა ამისა, "მემარჯვენეების" ლიდერი ითხოვს, რომ პარლამენტში შეიქმნას ორთაჭალის ციხეში მომხდარი ფაქტის შემსწავლელი ჯგუფი, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეხვდეს ინციდენტის უშუალო მონაწილეებს, ციხის ადმინისტრაციას, დაჭრილ პატიმრებს და საკანონმდებლო ორგანოს მომხდარის შესახებ წინასწარი ინფორმაცია გააცნოს. გამყრელიძე ასევე აუცილებლად თვლის დაღუპული და დაჭრილი პატიმრების გვარების გამოქვეყნებას.

ოპოზიციონერი დეპუტატის აზრით, დაგეგმილი ბუნტისა და გაქცევის მცდელობის შესახებ სახელისუფლებო წრეების მიერ გავრცელებული ვერსია საკმაოდ უსუსურად გამოიყურება. **"ამ ვერსიის რეალობა რომც ვირწმუნოთ, ამით კიდევ უფრო დამძიმდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა, რადგან იმის ნაცვლად, რომ ამბოხების პრევენცია მოეხდინა, მან, თავისი ქმედებებით, პატიმართა პროვოცირება გამოიწვია, რასაც პატიმართა ბუნტი მოჰყვა",** - აცხადებს დავით გამყრელიძე.

მომხდარის მისეული ვერსია კი ასეთია: **"მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ახალაიამ და მე-7 საპყრობილის უფროსმა ქალდავამ პატიმართა ცემა დაიწყეს. ამან პატიმართა მხრიდან გარკვეული პროტესტი გამოიწვია, რომელიც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩაახშეს. სიკვდილის სახელისუფლებო ბრიგადები განაგრძობენ ქმედებებს და მათ უკან ვანო მერაბიშვილი და ძმები ახალაიები დგანან".**

შედარებით უფრო მოზომილი და ფრთხილია მეორე ოპოზიციური ჯგუფის, "დემოკრატიული ფრონტის" წევრთა განცხადებები. კახა კუკავას თქმით, თუ ციხეში მართლა იყო ამბოხი, მაშინ ხელისუფლებას ჰქონდა ძალის გამოყენების უფლება, მაგრამ მაინც შესასწავლია, თუ როგორ მოხდა პატიმრების ლიკვიდაცია. ამიტომ, კუკავაც მხარს უჭერს სამუშაო ჯგუფის შექმნის მოთხოვნას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რა ფარგლებში იყო ძალა გამოყენებული.

რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებს აკეთებენ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული ადეკვატური ზომების წყალობით, ქვეყანა ქაოსსა და არეულობას გადაურჩა. **"რომ არა ხელისუფლების განსაკუთრებული მცდელობა, შედეგები გაცილებით მძიმე და რთული იქნებოდა, - ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა იმას, 4 ათასი დამნაშავე ციხიდან ქუჩაში რომ გასულიყო. ვინც ეს მცდელობა აღკვეთა, განსაკუთრებული გმირობა ჩაიდინა",** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე.



მინისტრი ოპერაციით კმაყოფილი ჩანს

### მიხეილ სააკაშვილი: კრიმინალებს გარკვეული მხარდაჭერა აქვთ ტელეეკრანიდან და პარლამენტის ტრიბუნიდან

მეხუთე საპყრობილეში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს პრეზიდენტი გუშინ საღამოს უშიშროების საბჭოს სხდომიდან გამოეხმაურა.

მიხეილ სააკავშილს თქმით, კრიმინალების გაღიზიანება ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული დანაშაულისა და კანონიერ ქურდების წინააღმდეგ დაუნდობელმა ბრძოლამ გამოიწვია.

პრეზიდენტის თქმით, ბოლო ოთხი თვის განმავლობაში კრიმინალები ხელისუფლებას არეულობებითა და ამბოხებებით ემუქრებიან, თუმცა ხელისუფლება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეს ბოლომდე მიიყვანს. "ბოლო 15 წლის განმავლობაში ქვეყანას შევარდნაძე კი არა, კანონიერი ქურდები აკონტროლებდნენ. ისინი აკონტროლებდნენ ეკონომიკას, ჩვენს ქუჩებსა და ეზოებს", - თქვა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობა კანონიერ ქურდებს, პირველ რიგში, ციხის შიგნით დაუპირისპირდება. "ბოლო დროს უკვე იქამდე მივიდა საქმე, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა სწორედ ციხიდან ხორციელდებოდა და მოპარული მანქანების დაბრუნებაც სწორედ ციხიდან ხდებოდა. სწორედ ციხიდან დაიწყო საზოგადოების დაშანტაჟების მცდელობა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მხრიდან", - თქვა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, კრიმინალების გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ მათ ხელისუფლებაში დასაყრდენი აღარ ჰქონდათ. სწორედ ამ მიზეზით მოხდა მეხუთე საპყრობილეში პატიმართა ამბოხება. "თუმცა მათ აქვთ გარკვეული მხარდაჭერა ტელეეკრანიდან და პარლამენტის ტრიბუნიდან. როგორც ჩანს, მათ იფიქრეს, რომ დადგა დრო, როდესაც აქტიურ ქმედებებზე უნდა გადასულიყვნენ. ამით ხელისუფლების დაშინებას ცდილობენ. მე მინდა ყველამ იცოდეს, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს 27 მარტს გამთენიისას, კერძოდ შეიძლება ქუჩაში აღმოჩენილიყო 4 ათასამდე თავზეხელაღებული საშიში დამნაშავე. ეს ნიშნავდა ასობით გატაცებულ მანქანას, ასობით გაუპატიურებულ ქალს, ასობით გაძარცვულ ბინას და სხვა უბედურებასა და არეულობას", - განაცხადა პრეზიდენტმა, რომელმაც პროფესიონალურად განხორციელებული სპეცოპერაციისთვის იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებსა და სპეცრაზმელებს მადლობას გადაუხადა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ორთაჭალის ციხე პრაქტიკულად უკვე დასანგრევია და წლის ბოლომდე აუცილებელია ახალი საპატიმრო დაწესებულების აშენება.

*24 საათი*

**"გაუშვებდით თქვენს შვილებს დღეს სკოლაში, ამბოხება რომ არ აღკვეთილიყო და 4 ათასი დამნაშავე ციხის გარეთ, ქალაქის ქუჩებში რომ აღმოჩენილიყო?",** - ეკითხება პარლამენტის თავმჯდომარე პოლიტიკურ ოპონენტებს.

სპიკერის მტკიცებით, მე-5 საპყრობილეში მომხდარი ამბოხება და კოდორის ხეობაში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძის აფეთქება ერთიანი ჯაჭვის რგოლები და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობის გამოვლინებებია.

თავის მხრივ, ბიუროს სხდომაზე მიწვეული იუსტიციის მინისტრი გიორგი ქავთარაძეც დარწმუნებულია, რომ "ქვეყანა რეალური საფრთხის წინაშე იდგა". მისი თქმით, მე-5 საპყრობილე თითქმის მთლიანად განადგურებულია და დაუზიანებლად მხოლოდ ორი საკანილაა გადარჩენილი. **"გარდაცვლილია შვიდი პატიმარი, 17 სხვადასხვა საავადმოყოფოშია გადაყვანილი... ერთადერთი დავალება, რაც სპეცრაზმს მივეცით, ის იყო, რომ ოპერაცია უსისხლოდ დასრულებულიყო, რაც სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა",** - განუცხადა იუსტიციის მინისტრმა დეპუტატებს.

საკმაოდ ემოციური იყო მომხდარის თვითმხილველის, პარლამენტარ ელენე თევდორაძის ნაამბობი, რომელიც ციხის ტერიტორიაზე სპეცრაზმის შესვლამდე იმყოფებოდა. **"ამბოხებულ პატიმრებთან შეხვედრას ვაპირებდი, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა დამიძახა, ახლოს არ მოხვიდეთ, ეგზალტირებულები ვართო (?!). ამის შემდეგ ამბოხებულებს მეგაფონით მოვუწოდე, საკნებში დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ამის ნაცვლად, ისინი კარებისკენ მოიწევდნენ. ამიტომ, მიმაჩნია, რომ სპეცოპერაცია, რომელიც ამ ამბიდან 10-15 წუთის შემდეგ დაიწყო, ძალიან დროული იყო... როდესაც ჩემს გვერდით მყოფმა ვანო მერაბიშვილმა შეიტყო, რომ ოპერაციას მსხვერპლი მოჰყვა, ეს ძალიან განიცადა და გიჟს დაემსგავსა",** - აღნიშნა თევდორაძემ.

იგი სამუშაო ჯგუფის შექმნის წინააღმდეგია, მაგრამ დასაშვებად მიაჩნია, რომ რუსთავისა და ქუთაისის საპყრობილეებში დეპუტატები პატიმართა ცალკეულ ჯგუფებს შეხვდნენ. ელენე თევდორაძე ასევე ამტკიცებს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია გუშინ აბსოლუტურად ფხიზელი იყო და ხმები იმის შესახებ, თითქოს, ის ნასვამ მდომარეობაში იმყოფებოდა, სიმართლეს არ შეეფერება.

სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას არც გიგა ბოკერია ეთანხმება. **"დაველოდოთ გამოძიების დასრულებას და თუ კითხვები დარჩება, ამაზე მერე ვიმსჯელოთ",** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

პასუხგაუცემელი კითხვები კი ნამდვილად არსებობს და მას თავად საპარლამენტო უმრავლესობის წევრები სვამენ.

**"როგორ მოახერხეს პატიმრებმა საკნების მასიური კარებების გადმონგრევა?", "თუ არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მზადდებოდა პატიმართა ამბოხი, რატომ ვერ მოხერხდა მისი თავიდან აცილება?",** - ამ და სხვა კითხვებზე ხელისუფლებას, ჯერჯერობით, პასუხი არა აქვს.

# გეგუთის კოლონიიდან თბილისელ პატიმრებს სოლიდარობას უცხადებენ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

გუშინ თბილისის N5 საპყრობილეში პატიმრებსა და სამართალდამცველებს შორის მომხდარ შეიარაღებულ დაპირისპირებას, გეგუთის მკაცრი რეჟიმის კოლონიის 662 პატიმარი ფანჯრების ჩამოლებითა და მინების მსხვრევით გამოეხმაურა.

**"დილის 7 საათზე, როცა თბილისში მომხდარ მოვლენებზე პირველი კომენტარი გაკეთდა ტელევიზიით, გეგუთის კოლონიის მსჯავრდებულებმა ჩაამსხვრიეს მინები და გადმოყარეს ფანჯრები, თუმცა თანამშრომლების მიმართ აგრესია არ ყოფილა, არ ყოფილა არავითარი გარჩევების მცდელობა, უბრალოდ, მსჯავრდებულებმა სოლიდარობის ნიშნად გააკეთეს ასეთი ჟესტი",** - აცხადებს გეგუთის კოლონიის უფროსი ლევან ფაჩულია.

სიტუაციის გასანეიტრალებლად კოლონიის ადმინისტრაციას ადგილზე შინაგანი ჯარისა და კრიმინალური პოლიციის მობილიზება დაჭირდა.

**"პოლიცია მოვიყვანეთ იმიტომ, რომ არ ყოფილიყო რაღაც ბუნტის ან გაქცევის მცდელობა,"** - ამბობს ლევან ფაჩულია.

კოლონიის ადმინიტრაციის თქმით, შეირაღებული სამართალდამცველები კოლონიაში არ შესულან და შესაბამისად, პატიმრების ცემის ან მათზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ეს ინფორმაცია მოგვიანებით, მსჯავრდებულთა მონახულების შემდეგ, იმერეთში სახალხო დამცველის რწმუნებულმა თეონა კუჭავამაც დაადასტურა: **"ჩვენ შევხვდით პატიმრებს და თითოეულ მათგანთან პირისპირ გასაუბრების საშუალება გვქონდა. პატიმრების თქმით, არავითარ ფიზიკურ ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია".**

სახალხო დამცველის რწმუნებულთან ერთად კოლონიაში შესვლასა და პატიმრებთან შეხვედრას იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრებიც შეეცადნენ, მაგრამ მსჯავრდებულების პირადად მონახულების უფლება მათ არ მისცეს.

კოლონიის მსჯავრდებულები მინებჩამსხვრეული ფანჯრებიდან ყვირილით ერთადერთს ითხოვდნენ: **"შემოუშვით ჟურნალისტები"**, მაგრამ ამის უფლება მედია საშუალებების წარმომადგენლებს, ცხადია, არ მიეცათ. იუსტიციის მინიტრის ბრძანებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, პატიმრებთან შეხვედრაზე უარი ადვოკატებმაც მიიღეს, მათ შორის ქუთაისის N2 საპყრობილეშიც, სადაც პატიმრების მხრიდან რაიმე გართულებებსა და ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

ქუთაისის N2 საპყრობილე მთელი კვირის მანძილზე იტვირთებოდა პატიმრების ახალ-ახალი კონტიგენტით. თბილისის, რუსთავისა და ქსნის საპყრობილეებიდან ახლადგადმოყვანილი მსჯავრდებულების ახლობლები აცხადებენ, რომ პატიმრები სასტიკად არიან ნაცემნი, ოღონდ არა ქუთაისის საპყრობილეში, არამედ ეპატირების პროცესის დროს. სახალხო დამცველის რწმუნებული ქუთაისის N2 საპყრობილეში განთავსებულ 1200 პატიმარსაც შეხვდა და მისი თქმით, ცემის ფაქტზე მასთან პატიმრებს არც N2 საპყრობილეში უსაუბრიათ.

გეგუთისა და ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯერჯერობით სიმშვიდეა, თუმცა გეგუთის კოლონიის გარე პერიმეტრს კვლავ გაძლიერებული დაცვა აკონტროლებს. ამასთან, ამჟამად გეგუთის კოლონიის ადმინისტრაცია მინებისა და ფანჯრების მსხვრევის შედეგად მიყენებულ მატერიალურ ზარალს ითვლის.

### მოკლედ

#### სამშვიდობოების პრეს-სამსახური ყაზარმების მშენებლობას კატეგორიულად უარყოფს

სეპარატისტული აფხაზეთის ხელმძღვანელობამ, რამდენიმე დღის წინ, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, რომელიც რუსეთის სამშვიდობოების მიერ ახალი ყაზარმების მშენებლობას ეხებოდა, განცხადება გააკეთა და საქართველოს "შეახსენა", რომ აფხაზეთი დამოუკიდებელია და მისი საქმე არაა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობოები რას ააშენებენ.ამ განცხადებით აფხაზურმა ხელისუფლებამ არ უარყო რუსი სამშვიდობოების წამოწყებული ახალი "მშენებლობის" ფაქტი. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში მყოფი რუსი სამშვიდობო ჯარების პრესსამსახურმა, გუშინ სულ სხვა ინფორმაცია გაავცელა."საქართველოს მასობრივი ინფორმაციებით გავრცელებული ცნობა, რუსეთის ჯარების მიერ ახალი ყაზარმების მშენებლობისა და სათვალთვალო მოწყობილობილობების დამონტაჟების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. ამგვარი რამ გეგმაშიც კი არა გვაქვს", - ნათქვამის განცხადებაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### სერგეი ჩაბანი: სამშვიდობოთა კონტინგენტი აფხაზეთს მხოლოდ დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურთა შეთანხმების შემდეგ დატოვებს

აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური სამშვიდობო კომისიის სარდალმა, გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანმა გუშინ განაცხადა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული სამშვიდობოების ყოფნას გაერო ყოველთვის დადებითად აფასებდა. "სამშვიდობოების ყოფნას აფხაზეთში პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუკი საჭირო გახდება, ჩვენ ყოველივეს ვიღონებთ და ჩვენი სამშვიდობოების მიერ მშვიდობის შენარჩუნების დარგში, გაწეული სამუშაოს შეფასებას, ყველაზე მაღალ დონეზე მოვითხოვთ", - განაცხადა კომისიის სარდალმა.

ჩაბანის ინფორმაციით, მარტის მიწურულს სამმხრივი შეხვედის გამართვა იგეგმება, სადაც მონაწილეები აფხაზეთში მყოფი სამშვიდობოების მისიასთან დაკავშირებით თავისეულ შეფასებებს წარადგენენ. "ეს აუცილებელია, რადგანაც, შესაძლოა, ამით პირველ ივლისს საქართველოს პარლამენტში დაგეგმილ მოსმენაზე (რუსი სამშვიდობოების თაობაზე) გამდენიმე მნიშვნელოვანი და სადავო საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან", - განაცხადა ჩაბანმა.

მისივე თქმით, საქართველოს არ გააჩნია რეალური პრეტენზიები, რომელთა მიხედვითაც, შესაძლოა, სამშვიდობოების რუსეთის აფხაზეთში ყოფნა ეჭქვეშ დადგეს. "ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ რუს სამშვიდობოთა აფხაზეთში მდგარი, კონტინგენტი, ამ ადგილს, მხოლოდ დსთ-ს წევრი ქვეყანების მეთაურთა შეთანხმების შემდეგ დატოვებს. თუკი საქართველოს მოთხოვნით ამგვარ გადაწყვეტილებას დსთ-ს წევრი ქვეყნები ხელს მოაწერენ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროდან ჩვენ აუცილებლად მოგვივა ანალოგიური შინაარსის ბრძანება. მანამდე კი სამშვიდობოები თავის ადგილზე რჩებიან", - დასძინა ჩაბანმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ორი სიტყვით

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე გაბაშვილი სამუშაო ვიზიტით ისლანდიაში იმყოფებიან. ვიზიტის მიზანს წარმოადგენს ისლანდიის მთავრობისთვის საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული განვითარების პროცესების გაცნობა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხში მხარდაჭერის მოპოვება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

პარლამენტის წევრი გია თორთლაძე მეხუთე საპყრობილეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სპეცსამსახურების მიერ გაკეთებულ ვიდეოჩანაწერში ტელეკომპანია იმედის ხსენებას სამომავლოდ ტელეკომპანიაზე შესაძლო ზეწოლას უკავშირებს. იგი არ გამორიცხავს, რომ ტელეკომპანია იმედზე ზეწოლა შეიძლება გაიგივებული იყოს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილზე ზეწოლასთან. "უახლოეს პერიოდში გამოჩნდება თუკი ხელისუფლებამ "იმედზე" რაიმე ფორმით ზეწოლა განახორციელა და არ გამოვრიცხავ, რომ ეს ზეწოლა ბიზნესმენებზე ზეწოლაც იყოს", - აცხადებს გია თორთლაძე. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ფონდ "პოლიტიკის" პრეზიდენტმა, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ნიკონოვმა განაცხადა, რომ რუსეთმა შესაძლოა, პოსტსაბჭოთა სივრცეში თვითაღიარებული რესპუბლიკების სტატუსთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას გადახედოს. მისი თქმით, რუსეთი დღემდე ემყარება საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მაგრამ რუსეთი საკუთარ პოლიტიკას ორ პრინციპზე ამყარებს; "ეს არის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის პრინციპი და მეორე - რუსების ან რუსეთის მოქალაქეთა დაცვა, რომლებიც ამ რესპუბლიკებში ცხოვრობენ. იქ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევის საფრთხე არსებობს და რუსეთს თანამემამულეთა ბედის ანაბარად მიტოვება არ შეუძლია და არც აპირებს," - აღნიშნა ვიაჩესლავ ნიკონოვმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# რამდენად მყარი აღმოჩნდება ნარინჯისფერთა ხელმეორე ქორწინება?

პირველი გვერდიდან

### დიდი ჩაის სმა დიდი კოალიციის წინ

იულია ტიმოშენკომ 26 მარტს პირველი ეგზიტპოლების შედეგების გამოქვეყნებისთანავე პარტიის პრეს-ცენტრში განაცხადა, რომ მზად არის კოალიცია გააფორმოს "ჩვენ უკრაინასთან" და "სოციალისტურ პარტიასთან". მემორანდუმის გაფორმების თარიღად გამოცხადდა 27 მარტის დილის 12 საათი. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, კოალიციის შესახებ შეთანხმების გაფორმება ჯერ რამდენიმე საათით გადაიდო. შემდეგ კი ვიქტორ იუშჩენკოს "ნაშა უკრაინამ" ერთდღიანი ტაიმ-აუტი ითხოვა. პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს თქმით, კოალიციის შექმნა არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებში შემდეგ უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ კოალიციის ვადების საკითხში ვიქტორ იუშჩენკოს მოსაზრება დაემთხვა პარტია "უკრაინის რეგიონების" ლიდერის, ვიქტორ იანუკოვიჩის პოზიციას. არჩევნების შედეგის ოფიციალურ გამოცხადებამდე "სეპარატული მოლაპარაკებები" ამ მოლაპარაკების პროცესის პოტენციური მონაწილეების მიმართ, არაკორექტულია, ნათქვამი "ჩვენი რეგიონების" პრესსამსახურის ოფიციალურ განცხადებაში. "ერთფეროვანი" კოალიციის შექმნა, რაზეც "ნარინჯისფერთა" რიგებში ლაპარაკობენ, ასევე მიუღებლად მიაჩნიათ ვიქტორ იანუკოვიჩის მიმდევრებს.

იანუკოვიჩის აზრის გაუთავლისწინებლობა კი ძალიან გაუჭირდებათ "ნარინჯისფერი" კოალიციის შექმნის მომხრეებს, როგორც უკრაინაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. **"ქმედუნარიანი მთავრობის ფორმირება უკრაინაში შეუძლებელია არჩევნების გამარჯვებულის - რეგიონის პარტიის გარეშე,"** - არაორაზროვნად არის ნათქვამი "რეგიონების პარტიის" განცხადებაში.



საპარლამენტო არჩევნების ლიდერი პარტიის ეს სიტყვები ერთგვარ გაფრთხილებად მიიჩნია მოქმედი პრეზიდენტის მხარდამჭერმა პოლიტიკურმა ბლოკმა და სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც არსებულ კაბინეტში უკვე ფლობს 4 პორტფელს და მომავალი კოალიციის პრეტედენტია. ამ საარჩევნო სუბიექტების ლიდერები, პრემიერ-მინისტრი იგორ ეხანუროვი და ალექსანდრ მოროზი, "ფინჯან ჩაიზე" შეიკრიბნენ და დახურულ კარს მიღმა ერთი საათი ისაუბრეს. შეხვედრიდან გამოსულმა მოროზმა ჟურნალისტებს მხოლოდ ის უთხრა, რომ "შეთანხმდნენ კოალიციის რეფერენდუმის პრინციპებზე" მმართველ პარტიასთან ერთად. თუმცა, შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება ეს პრინციპები ზოგადად უპასუხა: "ნორმალური, დემოკრატიული."

### მძიმეწონოსანი კანდიდატის ნოკაუტი

უკრაინაში პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ადგილობრივი თვიმმართველობის არჩევნების შედეგები, რაც კოალიციის კონფიგურაციით გატაცებულ მიმომხილველებს, რატომლაც, მხედველობიდან გამორჩათ. თუმცა, დღეს უკრაინაში ვერავინ იტყვის, თუ რომელი პარტია უფრო მეტ ადგილობრივ თვითმმართველობით სტრუქტურას დააკომპლექტებს.

თანაც, თვითმმართველობის შემთხვევაში გამოკვეთილი ლიდერი არ არსებობს. თუ აღმოსავლეთ ნაწილში "უკრაინის რეგიონები" ლიდერობენ, დასავლეთ ნაწილში "ბიუტმა" - იულია ტიმოშენკოს ბლოკმა მოიპოვა გამარჯვება.

რაც ყველაზე მთვარია, უკრაინის დედაქალაქის მერის პირდაპირ არჩევნებში იმარჯვებს ლეონიდ ჩერნოვეცკი, უკრაინაში სიდიდით მეხუთე ბანკის - "პრავექსბანკის" მფლობელი.

აღსანიშნავია, რომ ჩერნოვეცკი ფორმალურად შედიოდა მმართველი პარტიის "ჩვენი უკრაინის" რიგებში, მაგრამ მერის არჩევნებზე დამოუკიდებლად იყარა კენჭი და არც ის არის გამორიცხული, რომ იულია ტიმოშენკოსგანაც მიიღოს დახმარება. ჩერნოვეცკი ხმათა 10 პროცენტით უსწრებს უკრაინელთა სიამაყეს, პროფესიულ კრივში მსოფლიო მძიმეწონოსან ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს, რომელსაც მხარს რევოლუციური ახალგაზრდული ორგანიზაცია "პორა" უჭერდა. მაგრამ ის, რაც "ნარინჯისფერი რევოლუციის" დღეებში შეძლო "პორამ", ვეღარაფრით მოახერხა მერის არჩევნებში - კიეველმა ახალგაზრდებმა, რომლებზეც აკეთებდა აქცენტს "პორა" და მათი რჩეული, არ მოისურვეს საარჩევნო უბნებზე გრძელ რიგებში დგომა. რის გამოც პოლიტიკური ნოკაუტისათვის გაწირეს ფიცარნაგზე დაუმარცხებელი ვიტალი კლიჩკო.

# სუვერენიტეტის გადაფასება

პირველი გვერდიდან

მაგალითად, ეროვნული ხელისუფლებები თანახმანი არიან, დაემორჩილონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რადგანაც საერთაშორისო სავაჭრო წესრიგიდან თავადაც სარგებელს ნახულობენ. ასე იქცევიან ისინი მაშინაც კი, თუ სუვერენული უფლებიდან გამომდინარე, პრაქტიკის შეცვლა უწევთ.

ზოგიერთი სახელმწიფო მზადაა, საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი დათმოს, რომ, ვთქვათ, გლობალური დათბობის საფრთხე აიცილოს. მაგალითად, კიოტოს შეთანხმებით, რომელიც 2012 წლამდე მოქმედებს, მხარეებმა აიღეს ვალდებულება, სათბური გაზების გამონაბოლქვი გარკვეული რაოდენობით შეამცირონ. დღეს აუცილებელია თანმდევი შეთანხმება, რომლის თანახმადაც უფრო მეტი სახელმწიფო, მათ შორის - აშშ, ჩინეთი და ინდოეთი, დააწესებს შეზღუდვებს სათბური გაზების გამონაბოლქვზე და შეიმუშავებს საერთო სტანდარტებს, რითაც აღიარებს, რომ შესაბამისი ზომების მიღების გარეშე ყველა დაზარალდება.

ანუ, თუ სახელმწიფოებს სურთ, გლობალიზაციის პროცესთან ადაპტირება წარმატებით მოახდინონ, სუვერენიტეტის ცნება აუცილებლად უნდა გადაიხედოს. თავისი არსით გლობალიზაცია ნიშნავს ხალხის, იდეების, სათბური გაზების, საქონლის, დოლარების, ნარკოტიკების, ვირუსების, ელექტრონული გზავნილების, იარაღის და სხვა მრავალის ნაკადების მოცულობის, სიჩქარისა და მნიშვნელობის ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სახელმწიფოთა შორის. ეს კი გამოწვევას წარმოადგენს სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპისთვის - სახელმწიფოს შესაძლებლობა, გააკონტროლოს ყველაფერი, რაც მის საზღვრებს კვეთს ორივე მიმართულებით. სუვერენული სახელმწიფოები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ საფრთხე ემუქრებათ არა ერთმანეთისაგან, არამედ იმ ძალების მხრიდან, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებიან.

ამგვარად, გლობალიზაცია არამარტო სუვერენიტეტის შესუსტებას იწვევს, არამედ იმასაც გულისხმობს, რომ ის (სუვერენიტეტი) რეალურად უფრო სუსტი უნდა იყოს. სახელმწიფოებს თავდაცვის მიზნით მაინც უწევთ საკუთარი სუვერენიტეტის შესუსტება, რადგანაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან იზოლირებას ვერავინ შეძლებს. დღეს სუვერენიტეტი უკვე თავშესაფარს აღარ წარმოადგენს.

ეს პროცესი თვალსაჩინოდ დაგვანახა აშშ-სა და სხვა ქვეყნების რეაქციამ ტერორიზმზე. მაგალითად, "ალ ქაიდას" მხარდაჭერის გამო დაემხო ავღანეთის "თალიბთა" ხელისუფლება.

ასევე კარგი მაგალითი იყო აშშ-ს პრევენტული ომი ერაყთან, რომელსაც თითქოსდა მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. ამ შემთხვევაში გაერო-ს იგნორირებამ გვიჩვენა, რომ სუვერენიტეტი აბსოლუტურ დაცულობას აღარ იძლევა.

წარმოიდგინეთ, როგორი რეაქცია ექნებოდა მსოფლიოს, თუ ცნობილი გახდებოდა, რომ რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება სხვა ქვეყნისათვის ბირთვული იარაღის გადაცემას გეგმავს, ან თუ უკვე გააკეთა ეს. ბევრი სრულიად სამართლიანად იტყოდა, რომ სუვერენიტეტი ქვეყანას ასე ვერ დაიცავს.

შესაძლოა, აუცილებლობამ ასევე გამოიწვიოს სუვერენიტეტის სრულად დაკარგვა თუ არა, შემცირება მაინც, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (რესურსების ან გონიერი პოლიტიკის ნაკლებობის გამო) არ შეუძლია. ამის კარგი მაგალითია სახელმწიფოს უუნარობა და გენოციდი, რომელიც ლტოლვილთა მადესტაბილიზებელ ნაკადებს იწვევს და ტერორიზმის გავრცელების საფრთხეს ზრდის.

კოსოვოში ნატო-ს ინტერვენცია კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გადაწყვიტა რამდენიმე სახელმწიფომ, დაერღვია სხვა სახელმწიფოს (სერბეთის) სუვერენიტეტი, რათა ეთნიკური წმენდა და გენოციდი შეეჩერებინა.

და პირიქით, მასობრივი მკვლელობები რუანდაში ათი წლის წინ და დღეს დარფურში (სუდანი) ნათლად გვიჩვენებს, თუ რა იყო სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის სანაცვლოდ გაღებული ფასი და, აქედან გამომდინარე, უუნარობის შედეგი - უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობა.

შესაბამისად, სუვერენიტეტის ჩვენეული გაგება პირობითი, უფრო მეტიც, შეთანხმებითი უნდა იყოს, და არა აბსოლუტური. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს შეთანხმების თავისი ნაწილის შესრულება არ შეუძლია, ანუ მხარს უჭერს ტერორიზმს, ავრცელებს ან იყენებს მასობრივი განადგურების იარაღს, ან ახორციელებს გენოციდს, მაშინ მას ერთმევა სუვერენიტეტით მინიჭებული უფლებები და ინტერვენციის, დამხობის ან ოკუპაციის სამიზნე ხდება.

ჩვენს დროში დიპლომატიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს ქცევის პრინციპების ფართო მხარდაჭერა უზრუნველყოს და ამ პრინციპების დარღვევის შემთხვევაში საპასუხო ზომები გაამართლოს.

მიზანი კი უნდა იყოს სუვერენიტეტის გადახედვა გლობალიზაციის ეპოქაში, რათა გამოიძებნოს წონასწორობა აბსოლუტურად სუვერენული სახელმწიფოების სამყაროს, მსოფლიო წესრიგის საერთაშორისო სისტემასა და ანარქიას შორის.

აუცილებელია, შენარჩუნებული იქნეს სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოთაშორისი ძალადობის შემკავებლის ჯერ კიდევ გამოსადეგი ძირითადი იდეა.

თუმცა, იგი ადაპტირებული უნდა იქნეს ისეთ წესრიგთან, რომელშიც მთავარი გამოწვევები არა სახელმწიფოთა ურთიერთქმედებებიდან, არამედ გლობალურ ძალებსა და სახელმწიფოებს, ან მთავრობებსა და საკუთარ მოქალაქეებს შორის ურთიერთქმედებებიდან მომდინარეობს.

*პროექტი სინდიკატი, 2006წ.*

# მალაიზიაში სიკვდილით დასჯის გაუქმება არ სურთ

მალაიზიის სოციოლოგიური კვლევის სამსახურმა ქვეყანაში მსხვილმასშტაბიანი გამოკითხვა ჩაატარა და საკმაოდ საინტერესო სურათიც მიიღო. როგორც აღმოჩნდა, მალაიზიელთა უმრავლესობას სიკვდილით დასჯის სხვა ალტერნატიული ფორმით შეცვლა სულაც არ სურს. სოციოლოგიურ სამსახურს ასეთი კვლევის ჩატარება ქვეყნის იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა, მანამდე, ვიდრე კანონში ცვლილებას მიიღებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, მოსახლეობა ალტერნატიული სასჯელის მომხრე არ არის და სავსებით აკმაყოფილებს დასჯის ეს ფორმა - ჩამოხრჩობა. გამოკითხვაში მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით 25 000 კაცმა მიიღო, მათი უმრავლესობა კუალა-ლუმპურისა და ცენტრალური შტატების მცხოვრებია.

ხელისუფლებას კი, ალტერნატიული სასჯელის შემოღების თხოვნით, ადვოკატთა ეროვნულმა კომისიამ გასულ კვირას მიმართა.

**"ადამიანის სიცოცხლე უნიკალურია და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს. თუმცა, შარიათით გამიზნული მკვლელობა უმძიმესი დანაშაულია და ის სიკვდილით ისჯება,"** - ასეთი იყო გამოკითხულ მალაიზიელთა უმრავლესობის პასუხი.

უმძიმესი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის მიმართ რადიკალურად ურყევი პოზიციის მქონე აღმოჩნდა მალაიზიელთა 55 პროცენტი. მათ მკაცრად გააკრიტიკეს ადვოკატთა ეროვნული კოლეგიის მიერ შეთავაზებული, სასჯელის ალტერნატიული სახეობები - სამუდამო პატიმრობა და გრძელვადიანი პატიმრობა უმძიმეს პირობებში.

**"სიკვდილით დასჯის სამუდამო პატიმრობით შეცვლა ჩვენი ქვეყნის ისედაც უმძიმეს პრობლემას, რაც მოსახლეობის დიდ სიმჭიდროვეს უკავშირდება, კიდევ უფრო გაამძაფრებს. თანაც, ვის სიცოცხლეს უნდა გავუფრთხილდეთ ციხეებში - იმათ, ვინც თავიანთი არსებობით უდიდეს საფრთხეს უქმნიან სხვებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიცოცხლის შენარჩუნება დამნაშავის გათავისუფლების შანსს არ გამორიცხავს,"** - თქვა გამოკითხულთა 30 პროცენტმა.

გამოკითხულთა ნაწილი კი აცხადებს, რომ თუ ჩამოხრჩობა ადვოკატებს მეტისმეტად "ბარბაროსულ" ფორმად მიაჩნიათ, იქნებ გაცილებით ჰუმანური ფორმით შეეცვალათ იგი, ვთქვათ, როგორიცაა სხვა ქვეყნებში აპრობირებული სასიკვდილო ინექცია.

**"დანაშაული კიდევ უფრო მძიმე და დახვეწილ ფორმებს იღებს, ხოლო სასიცოცხლო მნიშვნელობის ღირებულებები ნელ-ნელა გადაფასებას განიცდის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუთმოთ იმ ძალებს, რომლებიც იმ შეხედულებების პროპაგანდას ეწევიან, რაც სხვა კონტინენტებზეა პოპულარული,"** - განაცხადა გამოკითხულთა საკმაოდ ტრადიციულად განწყობილმა ნაწილმა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგნი არა მარტო მუსლიმები არიან, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, არამედ ქრისტიანული და ბუდისტური აღმსარებლობის მქონენიც.

მალაიზიის კანონმდებლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკია. სტატისტიკური მონაცემებით, მალაიზია ჩამოხრჩობით დასჯის შემთხვევებით მხოლოდ მეზობელ სინგაპურს ჩამორჩება. 1975 წლიდან ჩამოხრჩობაა გათვალისწინებული 15 გრამზე მეტი ჰეროინისა თუ 200 გრამის მარიხუანის შენახვა-რეალიზაციისთვის. 1960 წელს უმძიმეს დანაშაულთა კატეგორიას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვა, განზრახ მკვლელობა და მალაიზიის უმაღლესი მეთაურის წინააღმდეგ ქმედებაც დაემატა.

სტატისტიკური მონაცემებით, დაახლოებით 24-მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში სახრჩობელაზე ყოველთვიურად ერთი მსჯავრდებული აჰყავთ, რომლის დანაშაულიც უმრავლეს შემთხვევაში ნარკოკონტრაბანდასა და ვაჭრობას უკავშირდება.

## ზურაბ ნოღაიდელი ავსტრიის ფედერალურ კანცლერს და პრეზიდენტს შეხვდა

ავსტრიაში ვიზიტად მყოფი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ავსტრიის ფედერალურ კანცლერს ვოლფგანგ შიუსელს და ფედერალურ პრეზიდენტს ჰაინც ფიშერს შეხვდა.

შეხვედრებზე ისაუბრეს საქართველოს ევრო-კავშირთან ინტეგრაციზე და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე.

ზურაბ ნოღაიდელი მიესალმა ევროკავშირის როლის გააქტიურებას საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით და გამოხატა კმაყოფილება იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ავსტრია, როგორც ევროპის კავშირის თავმჯდომარე ქვეყანა საქართველოს მიმართ ავლენს.

მან განსაკუთრებით აღნიშნა ევროპის კავშირის სახელით გაკეთებული განცხადებები (მათ შორის ეუთოს მუდმივი საბჭოს დღევანდელ სხდომაზე,) ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა ევროკავშირის სურვილი მიიღოს მონაწილეობა რეგიონის რეაბილიტაციის პროექტებში.

ვენაში ავსტრიის ფედერალურ კანცლერ ვოლფგანგ შიუსელთან გამართულ შეხედრაზე ზურაბ ნოღაიდელმა კმაყოფილება გამოთქვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმაზე მოლაპარაკებათა მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ნოღაიდელმა აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება პრაგმატულად აფასებს ვითარებას და ამ ეტაპზე დღის წესრიგში აყენებს რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ავსტრიულმა დელეგაციამ მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრის მიერ გამოთქმულ სურვილს დღის წესრიგში დადგეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ხოლო პირველ ეტაპზე ევროპის საბაჟო კავშირის წევრ თურქეთთან.

პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა იმედი, რომ ავსტრიელი ინვესტორები საქართველოს მიმართ დაინტერესებას გამოხატავენ. ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ საუბრისას, აღინიშნა, რომ მთელი ევროპის კონტინენტი დგას ერთიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების აუცილებლობის წინაშე, რომლის მთავარ ელემენტს წყაროთა დივერსიფიცირება უნდა წარმოადგენდეს.

ამ კუთხით ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალს და არსებული პროექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზერუმი) რეგიონული (ევროპული) დონის სისტემაში ჩართვასთან დაკავშირებით.

საუბარი ასევე შეეხო ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებს.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა სამშაბათს დაგეგმილი ბიზნეს-ფორუმის შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ ავსტრიელი ინვესტორები საქართველოს მიმართ დაინტერესებას გამოხატავენ. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ვიზიტის ფარგლებში საჰაერო ტრანსპორტის შესახებ შეთანხმების დამატების გაფორმება, რომელიც საგრძნობლად გაამარტივებს ორ ქვეყანას შორის საავიაციო მიმოსვლას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე მოსკოვში კონფლიქტების საკითხს განიხილავს

27-28 მარტს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენი მოსკოვს ეწვევა. იგი ქვეყნის ხელისუფლებასთან მაისიდან ოქტომბრამდე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტში რუსეთის ფედერაციის თავმჯდომარეობის პრიორიტეტებს განიხილავს.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის თქმით, რუსეთი ევროპის საბჭოსთვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ევროსაბჭო კი მნიშვნელოვანია რუსეთისთვის.

"ქვეყანა პირველად იქნება თავმჯდომარე ევროპულ დემოკრატიულ ორგანიზაციაში. დარწმუნებული ვარ, რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რათა კონტინენტზე ჩვენი ორგანიზაციის უნიკალური მდგომარეობა გაამყაროს," - აცხადებს რენე ვან დერ ლინდენი.

განსახილველ საკითხთა შორის იქნება რუსეთის ადგილი ევროპაში და ევროპულ ორგანიზაციებში, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ურთიერთობები, ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი ვითარება, ასევე, რეგიონული კონფლიქტების მოგვარების ინიციატივები.

*მედიანიუსი*

## სალომე ზურაბიშვილი - ქვეყანაში ხელისუფლების კრიზისია

ქვეყანაში ხელისუფლების კრიზისია. ასეთი შეფასება მისცა გუშინ პარტია "ახალი საქართველოსათვის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა საპატიმროებში განვითარებულ მოვლენებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

სალომე ზურაბიშვილი არ გამორიცხავს, რომ ოპოზიციის წინააღმდეგაც შესაძლოა გარკვეული ზომები გატარდეს.

"ქვეყანაში დეპუტატებზე თავდასხმა ჩვეულებრივი ამბავია და ვხედავთ, რომ პენიტენციალური სისტემა იქეთ მიდის, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ანგარიშსწორება მოახდინოს", - განაცხადა გია თორთლაძემ.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, წუხელ მისი პარტიის მეზობლად მდებარე ოფისიდან დაუდგენელმა პირებმა კომპიუტერები მოიპარეს. ზურაბიშვილის თქმით, როგორც ჩანს, ხელისუფლებას კარი შეეშალა.

"საზოგადოება სურთ რომ დააჯერონ, თითქოს უცხოეთიდან რაღაც კონსპირაციული ქმედებები არსებობს, როგორც ეს ენერგობლოკადის დროს იყო; რეალურად კი ხელისუფლება მიზანმიმართულად მოქმედებს", - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საწყისი საბრძოლო მომზადების მე-7 ეტაპი დაიწყო

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საწყისი საბრძოლო მომზადების მე-7 ეტაპი დაიწყო. ამჯერად BCT-ის პროგრამით ერთი ასეული მომზადდება. წვრთნის ცხრა კვირიან კურსს 150-მდე სამხედრო მოსამსახურე ქართველი ინსტრუქტორების დახმარებით გაივლის. სწავლების დასრულების შემდეგ რეკრუტები სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში გააგრძელებენ სამსახურს. მანამდე კი ისინი ორი თვის განმავლობაში საცეცხლე, ტაქტიკურ, კომუნიკაციების, ტოპოგრაფიულ, ჩასაფრებისა და დაზვერვის ელემენტებს შეისწავლიან. პროგრამა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მეთოდების შესწავლასაც ითვალისწინებს. საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამის დაწყება გუშინ "კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში" საზეიმოდ აღნიშნეს. ცერემონიას ცენტრის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი და უცხოელი დიპლომატები ესწრებოდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

28 მარტი, სამშაბათი 2006 წელი. №66 24 საათი

# ბუნტი ციხეში

პირველი გვერდიდან

ბაჩო ახალაიას ინიციატივით ორთაჭალის საპყრობილეში ჩატარებული სპეცოპერაციისა. თუმცა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას კომენტარი არ გაუკეთებია, შეკითხვებზე პასუხის გაცემა გია ქავთარაძეს მოუწია. იუსტიციის მინისტრს, რომელიც ამ თანამდებობაზე ორი თვის წინათ დაინიშნა და დღემდე კატეგორიულად თავს არიდებდა მის დაქვემდებარებაში ფიქტიურად მყოფი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროს - პენიტენციური სისტემის შესახებ საუბარს და თითს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიასკენ იშვერდა. იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე პენიტენციურ სისტემას ვერ აკონტროლებდა, რადგან მას სრულად განაგებდა ბაჩო ახალაია. არადა, გუშინ გია ქავთარაძემ სპეციალური ბრიფინგი მოიწვია და განაცხადა, რომ მათ აღკვეთეს კარგად ორგანიზებული ბუნტი. იუსტიციის მინისტრმა განცხადების გასამაგრებლად ოპერატიული მასალა გაავრცელა - 25 მარტს გაკეთებული ფარული ჩანაწერი, საუბარი სამ ავტორიტეტულ კრიმინალს შორის, რომლებიც, მინისტრის განცხადებით, ციხის ბუნტსა და გაქცევას გეგმავდნენ.

არადა, ციხის ბუნტის აღკვეთა მსხვერპლით დასრულდა და მას ქუჩის არეულობაც მოჰყვა. მაშინ, როცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოსალოდნელი არეულობის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია ორი დღით ადრე ჰქონდა და რომელზე რეაგირებაც, ასევე, ოპერატიულად უნდა მოეხდინათ - ბუნტის დამგეგმავ-შემსრულებელთა დროული "განიარაღებით". იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოსალოდნელი არეულობის ჩაქრობას კანონი ავალდებულებდათ. იმ შემთხვევაში კი, თუ


ციხის ბუნტის აღკვეთა მსხვერპლით დასრულდა.

დადასტურდება, რომ იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ციხეში ბუნტის მზადების შესახებ წინასწარი ინფორმაცია მართლაც გააჩნდათ, მაგრამ არანაირ პრევენციულ ზომებს არ მიმართეს, მათი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. ესეც კანონის მოთხოვნაა.

**"ეს იყო კარგად ორგანიზებული პროვოკაცია, რომელიც პენიტენციურ სისტემაში დაწყებულ რეფორმებს ვერ შეაჩერებს",** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ.

სამწუხაროდ, რეალურად, ქართული პენიტენციური სისტემა რეფორმებისა და საერთაშორისო სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორსაა. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა; მოლოდინი იმისა, რომ შოთა კოპაძის თანამდებობიდან გადაყენებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სისტემური სარეფორმო ცვლილებები მოჰყვებოდა.

საკადრო ცვლილებების შემდეგ საპატიმრო დაწესებულებებში კანონის დასამყარებლად და "ქურდული მმართველობის" დასანგრევად ხელისუფლების მიერ გადადგმული სარეფორმო კონკრეტული ნაბიჯი ქუთაისის ახალი საპყრობილის გახსნა, ციხის სლენგით, მისი გაწითლება და ავტორიტეტულ კრიმინალთა დიდი ნაწილის იზოლირება გახდა. ხელისუფლების მიერ "შავი სამყაროს" ავტორიტეტებისთვის გამოცხადებული ბრძოლა საკანონმდებლო ნოვაციით - "ორგანიზებულ დანაშაულთან და რეკეტთან ბრძოლის შესახებ" კანონის მიღებით დაიწყო, რამაც პრაქტიკული გაგრძელება საპატიმროებში ჰპოვა. "კანონიერი ქურდები" ე.წ. დახურული რეჟიმის საპყრობილეში - №7 საპყრობილეში, გადაიყვანეს. ეს იყო და ეს, სხვა სარეფორმო სვლები პენიტენციურ სისტემაში არ გაკეთებულა. ცხადია, რამდენიმე "კანონიერი ქურდის" იზოლირება პენიტენციური სისტემის რეფორმირებას არ ნიშნავს. ცხადია ისიც, რომ სისტემური ცვლილებებისა და დიდი ფინანსების გარეშე, მხოლოდ კადრების ჩანაცვლებით საქმე არ კეთდება; მით უმეტეს, ისეთი დანგრეული სისტემა, როგორიც ქართული პენიტენციური სისტემაა, ფეხზე ადვილად ვერ დადგება.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: საპატიმრო დაწესებულებები ყველა ქვეყანაში სტრატეგიულ ობიექტად ითვლება და ციხის ბუნტი ქვეყნის ბუნტის ტოლფასია. საქართველოში მყოფი 9 ათაზე მეტი პატიმრის უკან მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და ის სოციალური ინტერესები დგას, რომელიც საბოლოოდ ისევ ქვეყანაზე აისახება. თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლება, რომლის ძირითადი საყრდენი, "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, მის მიმართ საზოგადოების მიერ გამოცხადებული ნდობის ფაქტორი იყო, სწორედ ამ ნდობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგება.

# მსხვერპლის საფასურად აცილებული საფრთხე

პირველი გვერდიდან

ციხიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია ღამით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მთვრალი შევიდა, ეგრეთ წოდებული მაყურებლები გამოიძახა და უმოწყალოდ დაუწყო ცემა. "რესბალნიცაზე" დაწყებულ ხმაურს მეზობლად განლაგებული N1, N5 სასჯელაღსრულების დაწესებულებების პატიმრები სოლიდარობის ნიშნად გამოეხმაურნენ და სპონტანური ბუნტიც დაიწყო, რასაც ციხეში სპეცდანიშნულების რაზმის მისვლა მოჰყვა. პატიმრების მიერვე მოწოდებული ინფორმაციით, სპეცრაზმელებმა დახსნეს საკნების კარებები და დერეფანში გამოსული პატიმრების მიმართ უმისამართო სროლა დაიწყეს. რამდენიმესაათიანი სროლისა და პატიმრების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შედეგად, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, თბილისის პირველ კლინიკურ და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში ოცამდე დაჭრილი პატიმარი გადაიყვანეს, შვიდი პატიმარი მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა, დაიჭრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორი თანამშრომელი, ათამდე სპეცრაზმელმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო, მე-5 საპყრობილის შენობაში თითქმის ყველა რკინის კარი ჩამოღებულია, გამონგრეულია კედლები. შენობა ისეთი დაზიანებულია, რომ იქიდან პატიმართა დიდი ნაწილის გადაყვანის აუცილებლობა დადგა. ასამდე პატიმარი გუშინ უკვე გადაიყვანეს რუსთავის მე-6 საპყრობილეში, გავრცელებული ინფორმაციით, იქ კიდევ 800 პატიმრის გადაყვანა იგეგმება.

მომხდარის შემდეგ, გუშინ მთელი დღის მანძილზე ორთაჭალაში მდებარე საპყრობილეებთან, პატიმრების ოჯახის წევრები იქ განთავსებული თავიანთი ახლობლების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეტყობას სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ. არაერთხელ ჰქონდა ადგილი საპყრობილეების გარშემორტყმულ სამართალდამცველებსა და იქ შეკრებილ, პატიმრების გულშემატკივართა შორის შეხლა-შემოხლას. დაპირისპირება იქამდეც კი მივიდა, რომ დღის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ერთ-ერთი პატიმრის დედის სუსანა ტოროსიანის ცემის შესახებ.

თვად ტოროსიანის თქმით, ნიღბიანმა სამართალდამცველებმა მას მას შემდეგ სცემეს, რაც აღელვების ნიადაგზე პოლიციელების წყევლა დაიწყო და შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაგებას მოითხოვდა.


ორთაჭალაში მდებარე საპყრობილეებთან, პატიმრების ოჯახის წევრები იქ განთავსებული თავიანთი ახლობლების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეტყობას სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ.

ტოროსიანის თქმით, ნიღბოსნებმა მას ხელკეტებით თავის და ბარძაყის არეში სცემეს და პასპორტი ჩამოართვეს. საპყრობილეებთან შეკრებილთ პერიოდულად იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას აწოდებდნენ დაჭრილი პატიმრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა, სიტუაციის განტვირთვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი აღმოჩნდა.

მაინც რა მოხდა გუშინ ღამით ორთაჭალის საპყრობილეებსა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ამის ასახსნელად გუშინ დილით, საპყრობილეში სროლის შეწყვეტიდან რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა:

**"გამთენიისას, დაახლოებით 02.30 საათზე სასჯელაღსრულების დაწესებულების N5 საპყრობილეში ადგილი ჰქონდა ბუნტს და გაქცევის მცდელობას.**

**ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დილით ჩვენი დედაქალაქი რეალურად იდგა უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული ადამიანების ციხიდან გაქცევის საფრთხის წინაშე. ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ გაქცევის მცდელობა, რასაც წინ უძღოდა ბუნტი, იყო კარგად დაგეგმილი და კარგად მომზადებული ოპერაცია და გვაქვს ამის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერიც.**

**ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, თუკი N5 საპყრობილიდან მასობრივი გაქცევა მოხერხდებოდა, ანალოგიური მოვლენები განვითარდებოდა ყველა სხვა დაწესებულებაში.**

**მაგრამ, საბედნიეროდ, დროულად იქნა მობილიზებული სპეციალური დანიშნულების ნაწილები, ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებულ მუშაობას. ერთი საათის განმავლობაში ჩვენი სამართალდამცველები აფრთხილებდნენ ბუნტის მონაწილეებს, რომ თუკი არ დაწყნარდებოდნენ და არ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ საკნებს, აუცილებლად დაიწყებოდა ოპერაცია. სამწუხაროდ, ამ გაფრთხილებამ შედეგი ვერ გამოიღო. დაიწყო ოპერაცია, რომელმაც დაახლოებით 2 საათს გასტანა. გულისწუხილით და შეშფოთებით მინდა ვთქვა, რომ ოპერაციის შედეგად არიან გარდაცვლილები. ოპერაციის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნაპოვნია ორი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი და სამი ცალი საფანტის ტიპის იარაღი, რაც ცალკე განსჯის საგანია და გამოძიება დაადგენს, როგორ მოხვდა იარაღი ამ დაწესებულებაში.**

**ქართველმა სამართალდამცველებმა იმოქმედეს ჩვენი კანონების სრული შესაბამისობის ფარგლებში. ისინი მოიქცნენ ისე, როგორ მოიქცეოდნენ ანალოგიურ უმძიმეს შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებები.**

**ის, რაც დღეს გამთენიისას მოხდა, კარგად ორგანიზებული პროვოკაცია იყო, თუმცა ეს ჩვენ ვერ შეგვაფერხებს. რეფორმები პენიტენციარულ სისტემაში დაიწყო და გრძელდება და მას ჩვენ აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე - სასჯელაღსრულების სისტემაში სახელმწიფო სრულ კონტროლს და წესრიგს დაამყარებს".**

ამავე ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინა საკუთარი სიტყვების დამადასტურებელი ვიდეოფირი. ვიდეოფირის ჩვენებამდე კი გია ქავთარაძემ ჟურნალისტებს უამბო: **"2006 წლის 25 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქმეს საფუძვლად დაედო შემოსული ოპერატიული ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა ბუნტი და გაქცევა. მოხდა ოპერატიული, ფარული ჩაწერა, რომელიც სასამართლოს ნებართვით განხორციელდა".**

ბრიფინგზე ნაჩვენებ ვიდეოფირზე კი აღბეჭდილია, როგორ ხვდებიან ციხის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული ე.წ. "კანონიერი ქურდები" მალხაზ ზედელაშვილი და პაატა მამარდაშვილი კრიმინალურ ავტორიტეტს, ზურაბ ვიბლიანს და მოუწოდებენ ბუნტის ორგანიზებისა და უწესრიგობისაკენ, მეტიც, ვიდეოჩანაწერში სწორედ იმ ვერსიის განვითარებაზეა საუბარი, რომლის შესახებაც გუშინ ღამით პატიმრები საუბრობდნენ და, რომელიც მთვრალი ბაჩო ახალაიას ციხეში მისვლას უკავშირდება.

გუშინვე, ამ კადრებზე აღბეჭდილი პირები თბილისის მე-7 იზოლატორში, ანუ იქ გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე თვეა კანონიერი ქურდები არიან მოთავსებულნი.

დაბოლოს, საქართველოში მოქმედი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, მიუხედავად მომხდარის შესახებ გავრცელებული ოფიციალური ვერსიისა, ციხეში განვითარებულ მოვლენებში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას ადანაშაულებენ და კატეგორიულად ითხოვენ მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

*24 საათი*

## კომენტარები

### "ჩვენ დავამყარებთ წესრიგს ქვეყანაში"

საქართველოს პრეზიდენტი სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული სპეცოპერაციისთვის იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებსა და სპეცრაზმელებს მადლობას უხდის.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ხელისუფლება კრიმინალებთან მოლაპარაკებას არ აპირებს და ორგანიზებულ დანაშაულს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს.

**"მას შემდეგ, რაც ჩვენ ყველამ ერთად გამოვუცხადეთ ბროლა ორგანიზებულ დანაშაულს და კანონიერი ქურდების ინსტიტუტს, არ წყდება მუქარები მათი მხრიდან, რომ მოხდება მასობრივი არეულობა. არანაირი მოლაპარაკება ამ ხალხთან, რადგან ამ ხალხმა გადაწყვიტა ჩვენი გამოწვევა, ჩვენ ამ გამოწვევას ვიღებთ. იცოდეს ყველამ, კრიმინალებმა და მათმა პოლიტიკურმა და სხვა სახის მფარველებმა - სულ რომ ყირაზე დადგნენ, ჩვენ დავამყარებთ წესრიგს ქვეყანაში",** - აცხადებს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ბუნტის შედეგად საზოგადოება სერიოზული საშიშროების წინაშე დადგებოდა. მან 90-იანი წლების მაგალითი გაიხსენა, როდესაც ციხიდან გაქცეული კრიმინალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, რასაც სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვა.

პრეზიდენტის განცხადებით, მას შემდეგ ციხეს და მთელ ქვეყანას 15 წლის განმავლობაში მართავდა არა ხელისუფლება, არამედ მართავდნენ კანონიერი ქურდები. **"ისინი მართავდნენ პოლიტიკას, ეკონომიკას, ქუჩას და ა.შ ციხიდან ხდებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობა, გატაცებული მანქანების დაბრუნება, ხალხის დაშანტაჟება. რა შეიძლება მოჰყოლოდა 4 ათასი დამნაშავის თბილისში გასვლას? ეს ნიშნავდა ასობით უბედურებას, ასობით ყაჩაღობას",** - აცხადებს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ორთაჭალის ციხე, პრაქტიკულად, უკვე დასანგრევია და წლის ბოლომდე აუცილებელია ახალი საპატიმრო დაწესებულების აშენება.

### პატრიარქის მიმართვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დიდ გულისტკივილს გამოთქვამს გუშინწინ, გამთენიისას, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში განვითარებული მოვლენების გამო.

**"გამოვთქვამთ დიდ გულისტკივილს 27 მარტს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში განვითარებული მოვლენების გამო, რის შედეგადაც დაიჭრა მრავალი ადამიანი, სამწუხაროდ, არის მსხვერპლი. საქართველოს ეკლესიის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, დაჭრილებსა და მათ ახლობლებს",** - ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პატიმრებს მოუწოდებს ლოცვისკენ, ხელისუფალთ კი მიმართავს თხოვნით, სამღვდელოების წარმომადგენლებს საპატიმროებში შესვლის ნება დართონ, რათა ხელი შეეწყოს პროცესების ნორმალიზაციას და მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნას.

### "ქართული საზოგადოება კატასტროფას გადაურჩა"

**"საქართველოს ყველა სახელმწიფო სტრუქტურას შესწევს ძალა სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარი მსგავსი "გამოხტომები" აღკვეთოს. ქართული საზოგადოება სერიოზულ კატასტროფას გადაურჩა, რადგან დროულად აღიკვეთა 6 ათასი პატიმრის ციხიდან გაქცევა. პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს დანაყოფებმა საკმაოდ პროფესიულ დონეზე იმოქმედეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა პატიმრების დიდი მასშტაბით დანაკარგი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ ვითარება მძიმე იყო, სიტუაციის განმუხტვაში არ გახდა საჭირო თავდაცვის სამინისტროს ძალების დახმარება. არ ვურჩევ პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს დანაყოფებს, ასეთი სახის დახმარება ოდესმე დასჭირდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ასეთ ღონისძიებებზე ფარებითა და ავტომატებით არ დავდივართ",** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი.

### "ხელისუფლებამ ყველანაირი ძალა უნდა გამოიყენოს"

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების შეფასებით, ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ, როცა ციხეებში დაწყებულ ბუნტი ძალის გამოყენებით ჩაახშო. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე ორთაჭალის საპყრობილეებში ჩატარებულ სპეცოპერაციას გამართლებულს უწოდებს და ხელისუფლების ქმედებით კმაყოფილია. **"გუშინდელი ბუნტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დამნაშავეთა სამყარო ასეთი გზით ცდილობს, გავლენა შეინარჩუნოს ციხეებში. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო უკან ვერ დაიხევს. თუ არ გამოიჩენს სიმკაცრეს, მაშინ ის სახელმწიფო აღარ იქნება. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველანაირი ძალა ასეთი ბუნტის ჩასახშობად. ბუნტში ძალიან ბევრი პატიმარი დამნაშავეთა კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს შეეწირა. სამწუხაროა, რომ ამ სიტუაციაში მოყვნენ ჩვეულებრივი პატიმრები, მაგრამ ასეთ დროს მათი გარჩევა კრიმინალური ავტორიტეტებისაგან შეუძლებელია. რომ არა ოპერატიული ინფორმაცია, საპყრობილეებში ბუნტის ჩახშობას უარესი შედეგები მოჰყვებოდა",** - აცხადებს თუთბერიძე.

### "მარწმუნებდნენ, რომ მსხვერპლი არ იქნებოდა"

**"თუ დადასტურდა, რომ იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს ციხეში ბუნტის მზადების შესახებ წინასწარი ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ არანაირ პრევენციულ ზომებს არ მიმართეს, მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს",** - აცხადებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე.

დეპუტატის ინფორმაციით, საპრყობილეში დაგეგმილი ბუნტის თაობაზე ერთ-ერთმა გათავისუფლებულმა პატიმარმა წინასწარ გააფრთხილა. **"ღამით, დაახლოებით, ორი საათისთვის ერთ-ერთი პატიმარი უკვე მე-5 საპყრობილიდან დამიკავშირდა და მითხრა, - არ გვესროლონ, ჩვენ ციხე უკვე ავიღეთო. მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ამ ინციდენტამდე იზოლატორში ციხის საავადმყოფოდან ერთ-ერთი პატიმრის ცემის ამბავი მივიდა. ეს ინციდენტი, სავარაუდოდ, ინსცენირებული იყო, რომ შემდეგ ყველაფერი ბაჩო ახალაიასთვის დაებრალებინათ",** - აცხადებს ელენე თევდორაძე. მისი განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით ანალიზის გაკეთება ჯერჯერობით შეუძლებელია.

როგორც ელენე თევდორაძე აცხადებს, იგი სამართალდამცველებს სთხოვდა, რომ ოპერაცია უმსხვერპლოდ ჩაეტარებინათ. **"მარწმუნებდნენ, რომ მსხვერპლი არ იქნებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, წუხანდელი ინციდენტი მსხვერპლით დასრულდა",** - ამბობს დეპუტატი და ციხეში ბუნტის ჩაქრობას გონივრულ ნაბიჯსაც უწოდებს.

### "სპეცრაზმელებმა სერიოზული თავგანწირვა გამოავლინეს"

**"არავის სჭირდება იმის შეხსენება, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა პატიმრების მიერ ბუნტის განხორციელებას და მათ მიერ საპატიმროს ტერიტორიის დატოვებას. მიმაჩნია, რომ მხოლოდ მთავრობის მიერ განხორციელებული ადეკვატური ღონისძიებების შედეგად მოხერხდა გაცილებით დიდი ტრაგედიისა და ქვეყანაში მასიური დესტაბილიზაციის თავიდან აცილება. მივმართავ პატიმრების ოჯახის წევრებს - მათი შვილები საზარბაზნე ხორცად აქციეს მათ, ვინც ეს ბუნტი დაგეგმა",** - ასე აფასებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოსა და ორთაჭალის საპყრობილეში განვითარებულ მოვლენებს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, თითოეულმა სპეცრაზმელმა, რომელმაც ბუნტის აღკვეთაში მიიღო მონაწილეობა, სერიოზული თავგანწირვა გამოავლინა და ქვეყანა სერიოზულ პრობლემებს გადაარჩინა.

**"ნურავის ექნება იმის იმედი და მცდელობა, რომ ქვეყნის ციხიდან მართვის საშუალებას მივცემთ",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

### "ხელისუფლებას ყველგან აქვს ძალის გამოყენების უფლება"

**"ხელისუფლებას ყველგან აქვს ძალის გამოყენების უფლება ექსტრემალურ სიტუაციებში, ხოლო გადაამეტეს თუ არა სამართალდამცველებმა ოპერაციის განხორციელებისას საკუთარ უფლებამოსილებას, ამას გამოძიება მოგვიანებით დაადგენს",** - აცხადებს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.

ომბუდსმენი დარწმუნებულია, რომ თბილისის N5 საპყრობილეში მომხდარი ინციდენტი პატიმრების მხრიდან წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია იყო.

ომბუდსმენი პატიმართა სატელეფონო ზარებზეც საუბრობს. მისი განცხადებით, წინა დღეების განმავლობაში მას სისტემატურად უკავშირდებოდნენ მსჯავრდებულები და ატყობინებდნენ, რომ მათთან სპეცდანიშნულების რაზმები შეჰყავდათ და სცემდნენ, თუმცა, როგორც ომბუდსმენი ირწმუნება, შემოწმების შედეგად მსგავსი ფაქტები არ დადასტურებულა. ომბუდსმენის ინფორმაციით, პატიმრების ამბოხი რამდენიმე დღე მზადდებოდა და სპეცოპერაცია დროულად რომ არ ჩატარებულიყო, შესაძლოა, მსხვერპლი გაცილებით დიდი ყოფილიყო.

სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარი ინციდენტის დეტალურ გამოძიებას მოითხოვს. სოზარ სუბარის აზრით, აუცილებელია, გაირკვეს საიდან მოხვდა იარაღი პატიმრების ხელში და რამდენად შესაძლებელი იყო ბუნტის თავიდან აცილება.

სუბარის ინფორმაციით, სპეცრაზმი თავდაპირველად რეზინის ტყვიების გამოყენებას აპირებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც პატიმრებმა თავად გახსნეს ცეცხლი, სპეცრაზმელები იძულებულები გახდნენ, იარაღი გამოეყენებინათ.

### არასამთავრობოების სპეციალური მიმართვა

არასამთავრობო ორგანიზაციები სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარი ინციდენტის გამო, N1 და N5 საპყრობილეების ადმინისტრაციის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გადაყენებას, ასევე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ.

იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, რომელთაც, მონიტორინგის მიზნით, ციხეებში შესვლის უფლება აქვთ, ამ მოთხოვნით სპეციალური მიმართვა შეიმუშავეს. არასამთავრობოები საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორს, სახალხო დამცველს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და საელჩოებს მიმართავენ და ინციდენტზე რეაგირებას მოითხოვენ. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს აინტერესებთ, რატომ არ მიიღო იუსტიციის სამინისტრომ პრევენციული ზომები მოსალოდნელი ბუნტის თავიდან ასაცილებლად, მაშინ, როდესაც სასჯელაღსრულების სისტემაში აცხადებენ, რომ აჯანყების შესახებ მათთვის ცნობილი იყო. ამის დასტურად იუსტიციის სამინისტრომ ოპერატიული ვიდეო-მასალაც კი გაავრცელა.

მიმართვაში არასამთავრობოები პასუხს იმაზეც ითხოვენ, რატომ არ გამოიყენა სპეცდანიშნულების რაზმმა ისეთი სპეცსაშუალებები, როგორიცაა - ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და სხვა.

მიმართვის ავტორები დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობისთვის კომპლექსური ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვენ.

არასამთავრობოების პროტესტს ისიც იწვევს, რომ ისინი გუშინ საპყრობილეში არ შეუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პრეზიდენტის მიერ არიან ნომინირებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგის ჩასატარებლად.

### ადვოკატები სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ

"საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრები საკუთარი უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე უარს აცხადებენ. ასოციაციის წევრები მოუწოდებენ სხვა ადვოკატებსაც, ბოიკოტი გამოუცხადონ სასამართლო პროცესებს და სხდომებში მონაწილეობა არ მიიღონ. ეს გადაწყვეტილება ადვოკატებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარი ინციდენტის შემდეგ მათ პატიმრებთან შეხვედრის საშუალება არ მიეცათ.

როგორც "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი აცხადებს, პროტესტის მიზეზი მათ გუშინწინ, გამთენიისას, N5 საპყრობილეში განვითარებულმა "ვანდალურმა ფაქტმა" მისცა. მისი განმარტებით, ბუნტის არსებობის შემთხვევაშიც კი, იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, რომლებმაც ადამიანის სიცოცხლე ხელყვეს.

ადვოკატ ეკა ბესელიას განცხადებით, ბოიკოტს ადვოკატთა მთელი კორპუსი უერთდება. მისივე თქმით, ადვოკატები ყველგან იცავენ ადამიანის უფლებებს - ციხეშიც და თავისუფლებში ყოფნის პერიოდშიც. **"დღეს, გამთენიისას ხელისუფლებამ ხელყო ადამიანის კონსტიტუციით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება",** - აცხადებენ ადვოკატები.

**"სასაცილო იყო ის ოპერატიული მასალა, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ თავის დაცვის მიზნით გაავრცელა". ამოღებული რამდენიმე ერთეული იარაღი არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ იუსტიციის სამინისტროს ამგვარი პრევენციული ღონისძიებები განეხორციელებინა",** - აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია.

### "დასრულდეს ღამ-ღამობით საპყრობილეებში შევარდნა"

ქვეყანაში ხელისუფლების კრიზისია. ასეთი შეფასება მისცა პარტია "ახალი საქართველოსათვის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა საპატიმროებში განვითარებულ მოვლენებს. პარტია მოუწოდებს ხელისუფლებას, სასწრაფოდ გადააყენოს თანამდებობიდან ბაჩო ახალაია, რათა დასრულდეს შუაღამით საპყრობილეებში შევარდნა და პატიმრებთან შეტაკებები. პარტია, ასევე, ყველა პატიმარს სიმშვიდისკენ მოუწოდებს, რათა არ განხორციელდეს ხელისუფლების პროვოკაციული გეგმა.

### "სიკვდილის სახელისუფლო ბრიგადები მოქმედებას განაგრძობენ"

**"ორთაჭალის ციხეში მომხდარი ინციდენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ "სიკვდილის სახელისუფლო ბრიგადები მოქმედებას განაგრძობენ და მათ უკან კვლავ ახალაიები და შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი დგანან",** - აცხადებს დეპუტატი დავით გამყრელიძე. მისი პარტია მოითხოვს, გადადგეს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია და იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე. თუმცა, დავით გამყრელიძის განცხადებითვე, გია ქავთარაძის პასუხისმგებლობაზე საუბარი ცოტა უხერხულია, რადგანაც **"როგორც ჩანს, მან დღეს დილით გაიგო, რომ პენიტენციური სისტემა იუსტიციის სისტემის დაქვემდებარებაშია",** - აცხადებს დეპუტატი.

"მემარჯვენე ოპოზიცია" ეჭვის თვალით უყურებს ხელისუფლების ვერსიას ციხეში დაგეგმილი ბუნტის შესახებ და აცხადებს, რომ ხელისუფლებამ შექმნილი მდგომარეობიდან შეთითხნილი გამოსავალი მოძებნა.

**"თუ ასეთი ბუნტი მზადდებოდა, ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ამძიმებს. მათ ამის პრევენცია ვერ მოახდინეს და ავტომატების ჯერით პირდაპირ ჩახოცეს პატიმრები",** - აცხადებს გამყრელიძე.

# ბოლონიის პროცესი - გზა ევროპისკენ

"ბოლონიის პროცესზე" საქართველოში ბოლო 2-3 წლის წინ ალაპარაკდნენ. მაშინ, როცა ქართული საზოგადოება ამ სიახლეში ერკვეოდა, 2005 წელს ბოლონიაში მყოფმა საქართველოს განათლების მინისტრმა, ალექსანდრე ლომაიამ, ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას.

განათლების სფეროს "რევოლუცია", ერთი შეხედვით, თავდაყირა აყენებს წლების განმავლობაში დანერგილ სისტემას. მაგრამ იმაში, რომ განათლების რეფორმა ერთნაირად მისაღები და მოსაწონია ქვეყნისთვის, სტუდენტისა და უმაღლესი სასწავლებლისთვის, თავად დარწმუნდებით.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 1998 წელს საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის განათლების მინისტრებმა გადაწყვიტეს, რაიმე ღონნათ, რათა ევროპის ქვეყნებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტების გადინება შეეჩერებინათ.

ევროპის ოთხი წამყვანი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები ამერიკაში მიდიოდნენ, იქ აგრძელებდნენ სწავლას, იღებდნენ უმაღლეს კვალიფიკაციას და იქ რჩებოდნენ სამუშაოდ. ამდენად, ბოლონიის პროცესს საფუძვლად დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემას შორის კონკურენცია დაედო.

ოთხი მინისტრის მოლაპარაკებიდან ერთი წლის თავზე, ბოლონიაში, უნივერსიტეტის იუბილეს აღნიშვნის დროს, 29 ქვეყნის განათლების მინისტრმა გაიზიარა ამ იდეის ინიციატორთა შეხედულებები და ბოლონიის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, რითიც 2010 წლისთვის განათლების საერთო ევროპული სისტემის შექმნაზე აიღო პასუხისმგებლობა.

ქართული მხარე ბოლონიის პროცესს 2005 წელს უკრაინასთან, მოლდოვასთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად შეუერთდა, რის შემდეგაც ამ პროცესში ევროპის ქვეყნების გაერთიანება პრაქტიკულად, დასრულდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ბოლონიის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, ბელორუსია გახლავთ.

ბოლონიის დეკლარაციაზე ხელის მოწერა ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის პირველი ნაბიჯი იყო. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო დეკლარაციით დაკისრებულ ვალდებულებას არ შეასრულებს, ევროპა არ ცნობს ქართულ დიპლომს.



ბუნებრივია, ყველა ქვეყანას თავისი საგანმანათლებლო სისტემა აქვს. ბოლონიის ხელშეკრულება ქართველ სტუდენტს სხვა ქვეყანაში სწავლის გაგრძელების საშუალებას, სხვა ქვეყანაში მუშაობის უფლებას აძლევს. ამისთვის კი აუცილებელია, პირველი (ქართული) და მეორე (ევროპული) უმაღლესი სასწავლებელი სწავლების ერთ დონეს აკმაყოფილებდეს. სწორედ ამიტომ მოხდა უმაღლესი განათლების სფეროს სამ ეტაპად დაყოფა: ესაა ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

ეტაპების შემოღებასთან ერთად დღეს თავად სასწავლო პროცესის დიზაინიც იცვლება. "ბოლონიის პროცესის" თანახმად შემოღებული კრედიტების სისტემა და სხვა სტანდარტები ქართველ სტუდენტს ევროპის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების საშუალებას ისე მისცემს, რომ ის საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას აღარ დაკარგავს. "კრედიტი არის სტუდენტის დატვირთვის ერთეული. აქამდე ვთვლიდით, თუ რამდენი საათი მოისმინა სტუდენტმა ლექცია. ახლა კი დავითვლით, თუ რამდენი დრო დახარჯა იმისთვის, რომ კონკრეტულ საგანში კვალიფიკაცია მიეღო. სტუდენტი იღებს ნიშანს და პარალელურად აგროვებს კრედიტს, ანუ ბაკალავრიატში 4 წლიანი სწავლება გამოიხატება 240 კრედიტით. სტუდენტს შეუძლია კრედიტის აუცილებელი რაოდენობა თავის ქვეყნის უნივერსიტეტშიც დააგროვოს და უცხო ქვეყნის უნივერსიტეტშიც.

სტუდენტი ისწავლის 10 სავალდებულო და 10 ნებაყოფლობით საგანს. ნებაყოფლობითი საგნების არჩევაში მას კონსულტანტი დაეხმარება. მაგალითად, სტუდენტს შეუძლია მიიღოს აკადემიური კვალიფიკაცია ჟურნალისტიკაში და დამატებითი კვალიფიკაცია ფსიქოლოგიაში. გამონაკლისი, მედიცინა და სამართალმცოდნეობაა, რადგან პროგრამა ძალზე დატვირთულია," - აღნიშნავს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლიკა ღლონტი.

რეფორმა განათლების სისტემაში სტუდენტების მობილურობის მიღმა მათ ევროპის მოქალაქეებად ჩამოყალიბებასც გულისხობს.

ორ (მშობლიურ და ევროპის) უნივერსიტეტში ნასწავლი სტუდენტი გაცილებით ტოლერანტულ ადამიანად, ფართო ჰორიზონტისა და დიდი შესაძლებლობების პიროვნებად ჩამოყალიბდება.

"ბოლონიის პროცესის" ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, სტუდენტებს მარტივად მიეცემათ ევროპაში გასვლის შესაძლებლობა. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებული ხდება, რომ სწავლის ხარისხი აამაღლოს, დახვეწოს სასწავლო პროგრამები და ევროპულ პროგრამებთან ადაპტირდეს. ეს ყოველივე კი სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნაზე ქვეყნის გარეთაც ზრდის მოთხოვნილებას და ქვეყნის შიგნითაც, რაც სტუდენტების დასაქმების და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკური წარმატების მყარი გარანტიაა.

სახელმწიფოსთვის "ბოლონიის ხელშეკრულება" ევროინტეგრაციის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. იგი ძალიან სერიოზული განაცხადია ევროპელობაზე. ეს პროცესი გვაძლევს უნიკალურ შანსს პოლიტიკურადაც ევროპის ნაწილი გავხდეთ, გავხსნათ ჩვენი ქვეყანა ევროპული აკადემიური წრეებისთვის, ავამაღლოთ ჩვენი განათლების ხარისხი და თავი ევროპელებად ვიგრძნოთ.

# უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის ოფისის შექმნის იდეა უნივერსიტეტის რექტორს ეკუთვნის. პირველობის პრეტენზიის მქონე უნივერსიტეტს საზოგადოებაში დამკვიდრებული ადგილის შენარჩუნება სურს. ამისთვის კი საჭიროა სამომავლო გეგმების ზუსტად გათვლა, რეფორმების განხორციელება და არამხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მოთხოვნის შესატყვისი კადრების აღზრდა. სწორედ ამ მიზნით სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პროექტი.

კონცეფციის სახით წარმოდგენილი ნოვაციის რეალურად განხორციელების შემთხვევაში, მისი ავტორების განცხადებით, სახელმწიფო უნივერსიტეტს 2010 წლისთვის ევროპის 100 საუკეთესო უნივერსიტეტის სიაში მოხვედრის რეალური შანსი ექნება.

"ჩვენი მიზანია, აბსოლუტურად დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნები, რასაც ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს. ანუ, მაქსიმალურად იყოს შესრულებული ის მინიმალური მოთხოვნები, რაც ამ დოკუმენტშია ჩადებული," - აცხადებენ უნივერსიტეტში და ფიქრობენ, რომ რამდენიმე მიმართულებით იმ სტანდარტებზე გაცილებით მაღლა დგანან, რასაც ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს.

პროექტზე, რომელშიც უნივერსიტეტის მისია და რეფორმის პლატფორმაა ჩამოყალიბებული და მასში შემავალ რამდენიმე ძირითად საკითხზე, რაც უნივერსიტეტის - საქართველოს უმაღლესი განათლების უპირველესი ცენტრის - მოვალეობებსა და მიზნებს განსაზღვრავს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის საუნივერსიტეტო ოფისის ხელმძღვანელი პროფესორი ავთანდილ გაგნიძე საუბრობს: **"უნივერსიტეტის განვითარების მთავარი მიზანი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდა, მთავარი პრიორიტეტი კი ეფექტიანი სასწავლო - კვლევითი გარემოს შექმნაა. უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძველი სწავლებისა და კვლევების ერთიანობა უნდა იყოს. ეს ადვილი საქმე არ არის, თუმცა უნივერსიტეტში ამის რეალური საფუძველი და ტრადიციები ნამდვილად არსებობს.**

**პროექტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის სამომავლო საქმიანობის თითოეული დეტალი და მიმართულება. ყველა ძირითადი მიმართულებისათვის დასახულია ძირითადი სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების შესასრულებლად გადასაწყვეტი ამოცანები. უნდა ითქვას, რომ დღეს ყველა იმ მიმართულებით, რაც ჩვენს სტრატეგიაშია გაწერილი, პატარ-პატარა ნაბიჯებით წინ მივიწევთ.**

**საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ერთიანი ევროპული სტანდარტების შექმნას გულისხმობს. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ სტანდარტებზე უნდა შევჩერდეთ. ჩვენი მიზანი, ამ ეტაპზე, ერთიანი ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილებაა. შემდგომ კი უნდა გავაძლიეროთ ის მიმართულებები, სადაც ამ სტანდარტებზე მაღლა დადგომა შეგვიძლია. ეს კი სავსებით რეალურია.**

**ჩვენთან დამკვიდრებული განათლების სისტემა ევროპული სტანდარტებისგან შორს დგას. გვინდა, რომ ჩვენი დიპლომი და სპეციალისტი ყველგან იყოს აღიარებული. უკვე დაწყებულია ევროპული საკრედიტო ტრანსფერების სისტემის შემოღება, სასწავლო გეგმების და პროგრამების ცვლილებები. თუმცა, ამ ცვლილებების ერთი ბრძანებითა და ერთი გადაწყვეტილებით განხორციელება შეუძლებელია. ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი და გასაკეთებელი. ზოგადად კი, მთავარია გენერალური მიმართულება იყოს სწორი.**

**ძალზე მნიშვნელოვანია პროექტი ინფორმატიზაციის მიმართულებით, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ყველა კორპუსში ინტერნეტ-კლასები უნდა შეიქმნას და ელექტრონული სწავლების მეთოდები დაინერგოს. ამჟამად უნივერსიტეტში იქმნება სერთიფიცირებული სატესტო ცენტრი, სადაც სტუდენტებს საერთაშორისო დონის სერთიფიკატების მიღების შესაძლებლობა ექნებათ.**

**სიახლემ, რომელიც განათლების შესახებ კანონში შევიდა ფაკულტეტების უფლებები გაზარდა. ეს არაფერს ცვლის, უნივერსიტეტში ერთიანი სტრატეგიული ხედვაა, ხოლო ცალკეული ფაკულტეტები, თუ საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით იმუშავებენ, ამაში ცუდი არაფერია.**

**ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განვითარება, მან სრულიად ახლებური ფუნქციები უნდა შეიძინოს. ცალკე საუბრის თემაა უნივერსიტეტის თანამშრომლების სოციალური დაცვის სისტემის განვითარებაც, რომელიც ასევე ამ პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია,"** - აღნიშნავს ავთანდილ გაგნიძე.

პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს უფრო მეტად განათლებული საზოგადოება ეყოლება. განათლება ხომ გრძელვადიანი ინვესტიციაა, რომელიც ნაყოფს 10-15 წლის მერე ისხამს.

# ჟურნალისტებს გაერო-ს ოფისთან იცავენ

თამარ მაისურაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჟურნალისტს ნინო გიორგობიანისა და ოპერატორ გიორგი ლაღიძისთვის ბელარუსის მთავრობის მიერ გუშინ გამოტანილი განაჩენი საზოგადოებამ გაეროს ოფისთან გააპროტესტა.

როგორც ცნობილია, ბელარუსში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნინო გოირგობიანს 5 დღით, ხოლო გიორგი ლაღიძეს 15 დღით თავისუფლების აღკვეთა ხულიგნობის მუხლით მიუსაჯეს.

გაეროს ოფისთან შეკრებილებმა განაცხადეს, რომ გაერო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ლუკაშენკოს რეჟიმზე ახდენს გავლენას. **"გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, თქვენი უდიდესი ავტორიტეტი და გამოცდილება ასეთი პრობლემების მოგვარების საქმეში და აიძულოთ დიქტატორი ლუკაშენკო დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს უკანონოდ დაპატიმრებული ქართველი ჟურნალისტები,"** - ვკითხულობთ პეტიციაში.

გაეროს ოფისთან საქართველოს სამი მოქალაქე, ვასილ კობახიძე, მალხაზ სონღულაშვილი და ლადო გოგიაშვილი იყვნენ. რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ ბელარუსის ციხეში 24 საათი გაატარეს. ვასილ კობახიძე: **"არავინ იცის, ბელარუსში მოქმედი კანონმდებლობით, ქართველი ჟურნალისტებისთვის გამოტანილი განაჩენი რამდენ ხანს გასტანს."**

ლადო გოგიაშვილი: ბელარუსის ციხეში გატარებულ 24 საათს იხსენებს: **"ლუკაშენკოს ხელისუფლება ყველა ქართველს აგენტად აღიქვამს. ბელარუსის ციხე კი საბჭოთა კგბ-ს იდენტურია. ჩვენ, როგორც გვითხრეს, არასანქცირებულ მიტინგში მონაწილეობისთვის დაგვაკავეს, ეს კი ბელარუსის კანონით, ისჯება. ჩვენ ვიყავით მათთვის არასასურველი პიროვნებები.** Грузины где мандарины? **- ასე მოგვმართავდნენ ციხეში. ერთი სიტყვით, ბელარუსში აპატიმრებენ ყველას, ლუკაშენკოს განწყობის მიხედვით."**

გუშინ, საქართველოს დროშასთან ერთად, დამოუკიდებელი ბელარუსის დროშაც ეკავათ, რომელსაც ლუკაშენკოს ხელისუფლება არ ცნობს. გაეროს ოფისთან მივიდა განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაიაც, რომელმაც განაცხადა, რომ მისი მოქალაქეობრივი მოვალეობაა იდგეს იქ, სადაც გამოხატავენ პროტესტს ქართველი ჟურნალისტების დაკავების გამო. ქართველი ჟურნალისტების მიმართ თანაგრძნობა და მხარდაჭერა საზოგადოების სხვადასხვა წევრებმაც გამოხატეს. ერთადერთი, რაც გუშინ გაეროს ოფისთან არ იგრძნობოდა ე.წ. "პროფესიული სოლიდარობა" გახლდათ.

# ნარკოტიკების მოხმარება ფსიქოლოგის თვალით

ნარკოტიკების გამოყენება ცხოვრებისეული პრობლემების არაადექვატურ გადაჭრის გზაა. ზოგჯერ, საწყის ეტაპზე, ეს პროცესი შეიძლება შეფასდეს, როგორც თვითმკურნალობა, ზოგჯერ როგორც მიბაძვა, ზოგჯერ - როგორც პიროვნული პრობლემების დაძლევის საშუალება. გარკვეული ეტიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ამაღლებული შფოთიანობა, დეპრესიისაკენ მიდრეკილება, სოციალური კონტაქტების მიმართ აკვიატებული შიში და ა.შ. დროთა განმავლობაში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება ხდება კომპულსიური (იძულებითი, დაუოკებელი) და მომხმარებელი ცხოვრებისეული სფეროში პროგრესირებად გაუარესობისაკენ მიყავს. ნარკოტიკული ნივთიერებების კომპულსიური გამოყენება არის დამოკიდებულება, რომელიც განისაზღვრება, როგორც დაავადება და აზიანებს ავადმყოფს ფიზიკურად, მენტალურად და სულიერად. პრინციპული განსხვავებებია ნარკოტიკების გამოყენების საწყის ეტაპსა და დამოკიდებულების განვითარების დასაწყის შორის.

წამალთდამოკიდებულება კომპლექსური დაავადებაა - ეს რთული, ქრონიკული და რეციდივირებადი პროცესია. თერაპია და რეაბილიტაცია საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს მოიცავს. ამასთან ერთად, 5-6 წლის განმავლობაში რეციდივის რისკი საკმაოდ მაღალია, უფრო სწორედ, რეციდივი, ამ დაავადების პირობაა და არა გამოჯანმრთელების პროცესის უბრალოდ გართულება. ამგვარად, იმისათვის რომ, უზრუნველვყოთ წარმატებული ფუნქციონირება, საჭიროა ხანგრძლივი, მხარდამჭერი თერაპიის ორგანიზება - პიროვნებას უნდა ვასწავლოთ ქცევა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა რეციდივის ალბათობასა და მაქსიმალურად შეაჩერებდა პათოლოგიური შედეგების განვითარებას, რომელიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების შედეგად შეიძლება განვითარდეს.

არსებობს საფუძველი იმისა, რომ დამოკიდებულებას გააჩნია, მინიმუმ ორი ასპექტი:

- ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ პროცესებთან, რომლებიც წარმოიქმნება როგორც ქრონიკული ინტოქსიკაციის რეაქცია, და შეიძლება ავღნიშნოთ, როგორც საკუთრივ ბოროტად გამოყენება;
- მეორე, უპირატესად ფსიქოლოგიური ასპექტი, გამოიხატება სპეციფიური ნიშნებით, რომელიც ახასიათებს ნებისმიერ დამოკიდებულ ქცევას.

ყველას გააჩნია შინაგანი რესურსი დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად და აბსტინენცია ეს არის პირველი ნაბიჯი, მაგრამ არა საბოლოო მიზანი. ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელიც ქიმიური დამოკიდებულებისაგან გამოჯანმრთელდა, იმსახურებს, რომ შეიგრძნოს მხარდაჭერა და იგრძნოს, რომ იგი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია.

საჭიროა, ნარკოტიკების მომხმარებელს დავეხმაროთ გააცნობიეროს და მიიღოს პრობლემის არსებობა, და მასთან დაკავშირებული საკუთარი აზროვნების ირაციონალურობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალკოჰოლური დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც პიროვნება კატეგორიულად უარყოფს, რომ იგი ალკოჰოლიკია, ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე ადამიანი ადვილად თანხმდება მის ნარკომანად აღიარებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფა ნარკომანიის დამოკიდებულების დროს არ Aარსებობს. იგი სხვა სახით ვლინდება. მომხმარებლები, როგორც წესი, აღიარებენ ფიზიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ უარყოფენ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. პრაქტიკაში, ეს ხშირად ვლინდება, მაშინ, როდესაც მკურნალობის კურსის გავლისას, იგი დარწმუნებულია, რომ: ყველაფერი უნდა ეფუძნებოდეს მძიმე აბსტინენციური სინდრომის სიმპტომების ფარმაკოლოგიურ აღმოფხვრას. ხოლო ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიური მოთხოვნილებებს, იგი თვითონ გაუმკლავდება.

ამასთანავე, ნარკოტიკების მომხმარებლები აბსტინენციას აზვიადებენ ფიზიკური აშლილობის ინტენსიობას და აქვთ უნარი წარმოაჩინონ იგი, როგორც აუტანელი ტკივილი და სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი. მაგრამ ძლიერი აბსტინენციის სინდრომის სიმპტომატიკაში ლომის წილი ფსიქოლოგიურ კომპონენტებს უჭირავს.

საკმაოდ ხშირად, როდესაც ნარკოტიკის მომხმარებელი დაკავების საკანში აღმოჩენილა, იძულებულია გადაიტანოს აბსტინენცია ყველანაირი მედიკამენტოზური დახმარების გარეშე და ამასთან ერთად, თუ არ ჩავთვლით ფსიქოლოგიურ დისკომფორტს და ვეგეტატიურ სიმპტომატიკას, არანაირი მძიმე შედეგები არ აღინიშნება.

ამგვარად, წარმატებები ფიზიკური გამოჯანმრთელების პროცესში - ფსიქოლოგიურ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესის ნიადაგს ქმნის.

ნარკოტიკის მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ემოციასა და ქცევას შორის. ქცევა საკმაოდ ხშირად დეტერმინირებას ახდენს ემოციონალურ განცდებში, მაგრამ გარკვეული უნარებით შეიძლება განიცადო ემოციები და არ ჩაიდინო შესაბამისი ქცევები. აქ საჭიროა აღინიშნოს სექსუალურ იმპულსებთან ანალოგია. ხშირად საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელი არსების დანახვისას შეიძლება აღიძრას გარკვეული ემოციები და განზრახვაც კი. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ისინი იქვე ტრანსფორმირდეს სექსუალურ ქცევაში, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებაში მიღებულია ამგვარი ემოციების შეკავებაა და მათი ქცევებში რეალიზება არ ხდება.

დამოკიდებულ პიროვნებათა თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი დიდი ძალისხმევის შედეგად - თუ შეუძლიათ ეს საერთოდ - არ (ან ვერ) ეწინააღმდეგებიან თავიანთ სურვილს. მათ ჰგონიათ, რომ თუ სურვილი წარმოიშვა, იგი აუცილებლად უნდა რეალიზდეს.

მნიშვნელოვანია მომხმარებელმა გააცნობიეროს, რომ მისი ძირითადი პრობლემაა - ნარკოტიკების მიღებისაკენ სწრაფვა. უნდა მოხდეს გამოჯანმრთელების შესახებ წარმოდგენის ფორმირება, როგორც პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. გამოჯანმრთელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თვით ინდივიდს, მან აუცილებლად დახმარებისათვის უნდა მიმართოს და მიიღოს იგი სხვა უკვე გამოჯანმრთელებული პირისაგან. ეს მიდგომა ყველაზე კარგად შემდეგი დევიზით ფორმულირდება: **"მხოლოდ შენ შეგიძლია ამის გაკეთება, მაგრამ შენ ამის გაკეთებას მარტო ვერ შეძლებ".**

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები ყვებიან საკუთარი თავის შესახებ, საზოგადოებაში მთელი მათი ცხოვრება, ასე თუ ისე, ტრიალებს მათი დამოკიდებულების გარშემო. დამოკიდებულება სოციალური ურთიერთობის შესაძლებლობების საზღვრებს შემოსაზღვრავს, რომელშიც პრაქტიკულად ყველა არაფორმალური ურთიერთობა მიმდინარეობს მხოლოდ ნარკოტიკების მომხმარებელთან.

ეს გარკვეულწილად ქმნის მნიშვნელოვან სოციალურ ზეწოლას, რისი წყალობითაც ნარკოტიკების მოხმარება აღმოჩნდება შიდაჯგუფური კავშირების შენარჩუნების საშუალება. ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული პირები, რომლებსაც გამოჯანმრთელების პროცესი აქვთ დაწყებული, მეტი გამოსავალი არ აქვთ, რომ შეეწინააღმდეგონ ამგვარ ზეწოლას. სხვა ნარკოტიკების მომხმარებლებს ხშირად არ სურთ, რომ მათი მეგობარი გამოჯანმრთელდეს, ვინაიდან ეს მათ დაავადებასთან ბრძოლის საკუთარ მარცხსა და მცდელობებს ახსენებს. ამის გამო, ისინი, შეეცდებიან ზეწოლა მოახდინონ იმ ადამიანზე, რომელიც შეეცდება დამოკიდებულების წრე გაარღვიოს.

ზეწოლა შეიძლება იყოს ღია, მაგალითად, ნარკოტიკების შეთავაზება გამოჯანმრთელების პროცესში. იგი შეიძლება შენიღბული იყოს, უფრო გამჭრიახი ხერხების გამოყენებით, როგორიცაა - "ძველი, კეთილი დროის" - გახსენება, ან ირონიულად "გამოცდის" თვალსაზრისით ნარკოტიკის შეთავაზება თუ რამდენად ეფექტური აღმოჩნდა მკურნალობა და შეიძლება თუ არა ნარკოტიკების "კონტროლირებადი გამოყენება".

ერთიანპიროვნული (ჰოლისტური) მიდგომა გამოჯანმრთელებას ხედავს, როგორც პიროვნების თვითპატივისცემის დაბრუნების პროცესს. და ბოლოს, თუ ვაღიარებთ, რომ ნარკომანია ეს დაავადებაა, მომხმარებელს აღმოვუჩინოთ ინტეგრირებული დახმარება და მხარდაჭერა, იმისათვის რომ მივაღწიოთ ფიზიკურ, ემოციონალურ, პიროვნებათაშორისი და სულიერი ასპექტების გაუმჯობესებას. გამოჯანმრთელებულმა პიროვნებამ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად უნდა იგრძნოს თავი, რაშიც თითოეული ჩვენთაგანის როლი მნიშვნელოვანია.

**ეკა კაპანაძე**
ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია

სტატია დაწერილია სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიული პროგრამის (SCAD) პროექტის ფარგლებში, დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ



## დავით კოვზირიძის სვეტი

# ახალი გართობა თვეში ერთხელ

ევროპაში ოთხი ჯანიანი ჩემპიონატია და მსოფლიოს თითქმის ყველა ბრილიანტი სწორედ იქაა შეკოწიწებული. ამიტომ ჩვენი ყურადღებაც უმეტესად ესპანეთი-იტალია-ინგლისი-გერმანიისკენაა მიშვერილი. შეიძლება ვინმე შემეკამათოს, რომ სიას საფრანგეთი და ჰოლანდია აკლია, თუმცა, მე თუ მკითხავთ, დროა გერმანიაც ამოვშალოთ დიდი კვარტეტიდან და მომდევნო კალათაში გადავისროლოთ.

ასეთი გართობა გამოვიგონე - თვეში ერთხელ ამ ოთხ პირველობას სხვადასხვა ნომინაციებში შევადარებ ერთმანეთს. დავიწყებ წმინდა წყლის სპორტული კუთხით, ანუ იმით, თუ რომელია ყველაზე ძლიერი. მერე და მერე იქნება ყველაზე სიმპათიური, ყველაზე შეუხედავი, ყველაზე სკანდალური სიმბოლური ნაკრებები. თითოეულიდან წარმოდგენილი იქნება 11 ფეხბურთელი (მეკარე, ოთხი მცველი, სამი ნახევარმცველი, სამი თავდამსხმელი) და მწვრთნელი.

მაშ ასე, გადავხედოთ ამ ოთხი ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებებს და ერთად გავარკვიოთ, რომელია საუკეთესო.

**ესპანეთი**

***სანტიაგო კანისარესი*** *(ვალენსია, ესპანეთი)*
***რობერტო კარლოსი*** *(რეალი, ბრაზილია),* ***კარლეს პუიოლი*** *(ბარსელონა, ესპანეთი),* ***რაფაელ მარკესი*** *(ბარსელონა, მექსიკა),* ***ოლეგერი*** *(ბარსელონა, ესპანეთი)*
***ხუან რომან რიკელმე*** *(ვილიარეალი, არგენტინა),* ***ზინედინ ზიდანი*** *(რეალი, საფრანგეთი),* ***რონალდინიო*** *(ბარსელონა, ბრაზილია)*
***სამუელ ეტოო*** *(ბარსელონა, კამერუნი),* ***ფერნანდო ტორესი*** *(ატლეტიკო, ესპანეთი),* ***ლეო მესი*** *(ბარსელონა, არგენტინა)*
***მწვრთნელი:*** *ფრანკ რაიკაარდი (ბარსელონა, ჰოლანდია)*

**იტალია**

***ჯანლუიჯი ბუფონი*** *(იუვენტუსი, იტალია)*
***ლილიან ტურამი*** *(იუვენტუსი, საფრანგეთი),* ***ალესანდრო ნესტა*** *(მილანი, იტალია),* ***კახი კალაძე*** *(მილანი, საქართველო),* ***ჯანლუკა ძამბროტა*** *(იუვენტუსი, იტალია)*
***ემერსონი*** *(იუვენტუსი, ბრაზილია),* ***კაკა*** *(მილანი, ბრაზილია),* ***ფრანჩესკო ტოტი*** *(რომა, იტალია)*
***ანდრეი შევჩენკო*** *(მილანი, უკრაინა),* ***ლუკა ტონი*** *(ფიორენტინა, იტალია),* ***დავიდ ტრეზეგე*** *(იუვენტუსი, საფრანგეთი)*
***მწვრთნელი:*** *ფაბიო კაპელო (იუვენტუსი, იტალია)*

**ინგლისი**

***პეტრ ჩეხი*** *(ჩელსი, ჩეხეთი)*
***უილიამ გალასი*** *(ჩელსი, საფრანგეთი),* ***სოლ კემპბელი*** *(არსენალი, ინგლისი),* ***ჯონ ტერი*** *(ჩელსი, ინგლისი),* ***პაოლო ფერეირა*** *(ჩელსი, პორტუგალია)*
***სტივენ ჯერარდი*** *(ლივერპული, ინგლისი),* ***ფრენკ ლამპარდი*** *(ჩელსი, ინგლისი),* ***ჯო კოული*** *(ჩელსი, ინგლისი)*
***ტიერი ანრი*** *(არსენალი, საფრანგეთი),* ***დიდიე დროგბა*** *(ჩელსი, კოტ დივუარი),* ***რუუდ ვან ნისტელროოი*** *(მანჩესტერ იუნაიტედი, ჰოლანდია)*
***მწვრთნელი:*** *ჟოზე მოურინიო (ჩელსი, პორტუგალია)*

**გერმანია**

***ოლივერ კანი*** *(ბაიერნი, გერმანია)*
***ბიქსენტ ლიზარაზუ*** *(ბაიერნი, საფრანგეთი),* ***ლუსიო*** *(ბაიერნი, ბრაზილია),* ***ტორსტენ ფრინგსი*** *(ვერდერი, გერმანია),* ***ფილიპ ლამი*** *(ბაიერნი, გერმანია)*
***მიხაელ ბალაკი*** *(ბაიერნი, გერმანია),* ***ლევან კობიაშვილი*** *(შალკე, საქართველო),* ***ლინკოლნი*** *(შალკე, ბრაზილია)*
***მიროსლავ კლოზე*** *(ვერდერი, გერმანია),* ***ჰალილ ალტინტოპი*** *(კაიზერსლაუტერნი, თურქეთი),* ***როი მაკაი*** *(ბაიერნი, ჰოლანდია)*
***მწვრთნელი:*** *ფელიქს მაგათი (ბაიერნი, გერმანია)*

ამპლუების მიხედვით შევადაროთ. მეკარეებში პირველი, ალბათ, მაინც ბუფონია, რადგან კანისარესი ჩრდილშია მოქცეული და ჩუმად აკეთებს თავის საქმეს, ჩეხს ბოლო ხანებში მოუმრავლდა პატარ-პატარა შეცდომები, ხოლო ოლივერ კანმა ამერიკელებთან მორიგი ძალიან სასაცილო გოლი გაუშვა და ამ მიმართულებით გამდიდრებულ კოლექციას ახალი შედევრი შემატა. შესაბამისად, ერთ ქულას იღებს სერია ა.

დაცვა. აქ ორი ჩემპიონატი დაწინაურდა შეხედვისთანავე, იტალია და პრემიერლიგა. დიდხანს ვიფიქრე, რომელი ჯობდა, სახელდახელო ინტერაქტიული გამოკითხვაც ჩავატარე, კინაღამ ნდობის ტელეფონზეც დავრეკე, მაგრამ ერთი გამარჯვებული ვერ გამოვავლინე და ქულა შუაზე გავტეხე.

ნახევარდაცვა. დააკვრდით, რა ზღაპრული არჩევანია, თითქოს ყველა ღირსია გამარჯვების, მაგრამ პრიმერადივიზიონის უპირატესობა ერთმა ფაქტორმა გადაწონა - იქ, სადაც ზიდანი და რონალდინიო არიან, ლაპარაკი და დისკუსია უნდა დამთავრდეს.

თავდასხმა. აქაც უნდა გავყო ქულები, სხვანაირად არ გამოდის. ნახევარი ესპანეთს და ნახევარი ინგლისს. რაც შეეხება მწვრთნელებს, მიუხედავად დიდი სიმპათიებისა რაიკაარდის და შემტევი ფეხბურთის მიმართ, უნდა ვაღიარო, რომ კაპელომდე მას ძალიან ბევრი უკლია.

შევაჯამოთ: იტალია - 2,5 ქულა, ესპანეთი - 1,5, ინგლისი - 1, გერმანია - 0. თუ განსხვავებული აზრი გაქვთ, შეგიძლიათ მომწეროთ მისამართზე kowzira3@yahoo.com

*მომავალ სამშაბათამდე*

**United Nations Development Programme**
**UNDP Georgia**

**გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი პროექტის "საქართველოს კონტროლის პალატის დახმარება" ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს დაშვების შეზღუდვისა და კონტროლის სისტემის მისაწოდებლად.**

**სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ან ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:**

1. ქ.თბილისი, ერისთავის ქ. № 9, გაეროს სახლი, ოფისი 112 (საკონტაქტო პირი: პროექტის აღმასრულებელი კოორდინატორი, ქ-ნი მანანა სალუქვაძე, ტელ: 253203)
2. http://www.undp.org.ge/news/tenders.html
3. http://www.conrol.ge

*ფიგურული სრიალი*

# ყინული თბილისისკენ დაიძრა

## ფიგურული სრიალის ვარსკვლავები მოდიან

გიგა გურასაშვილი

*მათ, ვისაც ფიგურული სრიალი გიყვართ ან ტურინის ოლიმპიური თამაშების ნოსტალგია მოგძალებიათ, "იტალიური კარნავალი" გეპატიჟებათ. 4-5 მაისს სპორტის სასახლე ფიგურულ სრიალში გრანდიოზულ სანახაობას მასპინძლობს. ასეთი რამ საქართველოში 30 წელიწადია არ ყოფილა.*

ამაზე, ალბათ, ბევრი ვერც იოცნებებდა, მაგრამ ფაქტია, მოდიან და იცით ვინ? ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონები და ელენე გედევანიშვილი, რომლის გამოც საქართველოში ფიგურულ სრიალს ბევრი გულშემატკივარი გაუჩნდა. საპატიო სტუმრების დასახვედრად და საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად მოციგურავეებმა სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ილია ავერბუხი გამოგვიგზავნეს (ავერბუხმა ირინა ლობაჩოვასთან წყვილში მიაღწია ასეთ წარმატებებს).

ლობაჩოვა-ავერბუხის ვარსკვლავურ წყვილს თბილისელი მაყურებელიც იხილავს. და არა მარტო მათ.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის, საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კომპანია "MMG Georgia"-ს თაოსნობით სპორტის სასახლეში იხილავთ: ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს სპორტულ ცეკვებში ტატიანა ნავკასა და რომან კოსტომაროვის წყვილს; სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ჩემპიონებს ალექსეი იაგუდინს, ელენა ბერეჟნაიასა და ანტონ სიხარულიძის წყვილს; ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა წყვილს მარია პეტროვასა და ალექსეი ტიხონოვს, რომლებმაც, სხვათა შორის, რამენიმე დღის წინ დამთავრებულ კალგარის (კანადა) მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს; ელენა სოკოლოვას, რომელმაც კალგარის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ილია კლიმკინს, წყვილებს: ოქსანა დომნინასა და მაქსიმ შაბალინს, ფედერიკა ფაიელასა და მასიმო სკალის, მარგარიტა დრობიაზკოსა და პოვილას ვანაგასს (კალგარიში მეოთხე შედეგი ჰქონდათ); სპეციალურ სტუმრებს: ელენე გედევანიშვილს, ევროპის ჩემპიონს ბრაიან ჟუბერს, რომელმაც ამავე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ვახტანგ მურვანიძეს, ეკატერინა ზაიკინასა და ოთარ ჯაფარიძის წყვილს.



*ავერბუხისა და ლობაჩოვას წყვილს თბილისშიც ვიხილავთ.*

ილია ავერბუხი განმარტავს, თუ რატომ ჰქვია წარმოდგენას "იტალიური კარნავალი":

"ტურინის ოლიმპიური თამაშების სული დღესაც იგრძნობა, თანაც "იტალიური კარნავალი" თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ მხიარული და ლაღი სანახაობა იქნება. იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ახლა საქართველოში ყინულისადმი განსაკუთრებული ინტერესია, რაც ელენე გედევანიშვილის დამსახურებაა. ეს იქნება საუკეთესო მოციგურავეთა შოუ. ანალოგიური სანახაობა რუსეთის 70-ზე მეტ ქალაქში გვქონდა.

გვინდა, რომ ფიგურული სრიალისადმი ინტერესი უფრო ამაღლდეს, რასაც ემსახურება კიდეც თბილისში ჩვენი ჩამოსვლა. ისიც ვიცით, რომ ბორჯომში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა გსურთ. პროექტის რეკლამირებას ნაწილობრივ ესეც შეუწყობს ხელს".

P.S. იმის გამო, რომ საქართველოში სტანდარტული ყინულის მოედანი არ არსებობს, მისთვის საჭირო კონსტრუქციას თავად შოუს ორგანიზატორები ჩამოიტანენ.

*ფეხბურთი*

# ფერნანდო იერო ჯერ დაისვენებს

ფერნანდო იერო ჯერ არ აპირებს მადრიდის "რეალში" დაბრუნებას. თვლის, რომ ახლა ამის დრო არ არის. ამასთან, გუნდის ყოფილი კაპიტანი, რომელსაც ამ დღეებში 38 წელი შეუსრულდა, ფეხბურთისგან დასვენებას და ოჯახურ გარემოში ყოფნას აპირებს.

**- რატომ არ ილტვით იმისკენ, რომ მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელი გახდეთ ან კლუბში რომელიმე ხელმძღვანელი პოსტი დაიკავოთ?**

- იმიტომ, რომ ოჯახთან ერთად მინდა ვიყო და ამით ის დანაკლისი ავინაზღაურო, რაც აქტიური საფეხბურთო კარიერის დროს შემექმნა. 18 წლის ასაკიდან შეუსვენებლად ვმოგზაურობდი და დღეს უბრალოდ მსურს, ოჯახის გარემოცვაში ვიყო და ფეხბურთს მხოლოდ გულშემატკივრის პოზიციიდან ვუყურო. ამ მომენტისთვის მადრიდის "რეალში" პოსტის მიღება ჩემთვის პრიორიტეტული არ არის.

**- ამ გადაწყვეტილებაზე ისიც ხომ არ მოქმედებს, რომ კლუბის დირექტორატის ზოგიერთ წევრს არ სურს "რეალში" თქვენი დაბრუნება?**

- პირდაპირ გეტყვით: კლუბიდან ჯერ ერთი ოფიციალური შეთავაზებაც კი არ მიმიღია. ამ საკითხზე არავინ დამკავშირებია, თუმცა, არ უარვყოფ, რომ შარშან ამ თემაზე სერიოზული კონტაქტები მქონდა. ჯერ არ ვიცი, მომავალში რა მოხდება. მცირე არდადეგებს ვიწყობ. "რეალი" ძალიან მიყვარს, მაგრამ ამით დაავადებული არ ვარ, რომ ყველა საშუალებას მივმართო კლუბში დასაბრუნებლად.

**- გარედან როგორ გესახებათ მადრიდის "რეალი"?**

- "რეალი" მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, საორგანიზაციო მხარე საფრთხის ქვეშ დგას.

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- პირველ რიგში, კლუბს ნათელი მიზნები და იდეები უნდა ჰქონდეს. ხელმძღვანელობამ კარგად უნდა იცოდეს, თუ რა სურს. ახლანდელი სიტუაცია არაკომფორტულია და კლუბმა უნდა მოძებნოს გამოსავალი. ამ ბრძოლაში, ხელისუფლებისთვის მიმდინარე ამ ომში არ ჩავერევი. მე მიყვარს "რეალი", მაგრამ ასეთი "რეალი" არ მომწონს. იმ "რეალს", რომელიც მომწონს, გამოკვეთილი იდეები აქვს. მას უნდა ჰქონდეს სოლიდური ფუნდამენტი.

**- როგორ ფიქრობთ, უნდა მოიწვიოს თუ არა ფერნანდო მარტინმა არჩევნები?**

- ეს პრეზიდენტის საქმეა. მან უკეთ იცის. მას აქვს საკუთარი იდეები, ის პატიოსანია, მაგრამ სჭირდება ძალები, მოქმედების



თავისუფლება, დამოუკიდებლობა იმისთვის, რომ პროექტი განახორციელოს. თუ სურს დარჩეს პრეზიდენტის პოსტზე, ვისურვებდი, ჰქონდეს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების ნიჭი და ნება, რათა მის საქმიანობაში არ ჩაერიონ კლუბის ყოფილი ხელმძღვანელები.

**- ცნობილია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ფერნანდო მარტინიმ "ლა მორალეხას" სამეფო რეზიდენციაში თქვენთან, ვისენტე დელ ბოსკესთან, კამაჩოსთან და გარსია რემონთან ერთად ისაუზმა. რას გვეტყვით ამ შეხვედრაზე?**

- ამ შეხვედრიდან ყველამ სარგებელი მიიღო. ეს იყო იმ ადამიანების მეგობრული შეხვედრა, რომლებსაც უყვართ მადრიდის "რეალი". თუმცა, პირველ რიგში ეს იყო მეგობრული სადილი. თუმცა ისიც სიმართლეა, რომ ამ შეხვედრამ ბევრი განაცვიფრა. ჩემთვის მოულოდნელი იყო, თუ რატომ გაუკვირდა ბევრს პრეზიდენტის შეხვედრა იმ ხალხთან, რომლებმაც საერთო ჯამში 70 წელი მიუძღვნეს "რეალს". როგორც ჩანს, დღეს ფეხბურთელებთან მსგავსი შეხვედრები მოდაში აღარ არის. დღეს "რეალში" კრიზისია, მაგრამ ნურავის ავიწყდება, რომ ამ კლუბს უდიდესი ისტორია და ტრადიციები აქვს, რომ კლუბი ჩვენზე, ყველაზე მაღლა დგას.

**- რა განწყობაა ახლა მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებს შორის?**

- სწორედ ასეთ დროს გუნდმა ბრძოლისუნარიანობა უნდა გამოიჩინოს. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე სეზონში "რეალი" კიდევ დაგვანახებს თავის სახეს. "მადრიდი" თავის მეტოქეს არასდროს არაფერს არ აჩუქებს. თუ "ბარსელონას" ჩემპიონობა სურს, ეს უნდა დაიმსახუროს და ნუ დაელოდება, რომ ასეთ სამსახურს მას ჩვენ გავუწევთ. ჩემი პარტნიორები იბრძვიან და მე მათ მხარს ვუჭერ. ბოლო გზა დავუთმოთ "ბარსელონას", განზე გავდგეთ - ეს არასდროს მოხდება.

**- ვინ არის იდეალური კანდიდატი "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე?**

- ამ სეზონში მთავარ მწვრთნელად ლოპეს კარო მუშაობს. იგი ჩვენიანია, კარგი მწვრთნელია და სანამ "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტზეა, მე უფლება არ მაქვს, სხვა კანდიდატურებზე ვისაუბრო. თუმცა, ისიც ვერ გამიგია, რატომ არ უნდა მიეცეს მას შანსი, მეტი ხნით დარჩეს ამ პოსტზე?

**- ზოგი ფიქრობს, რომ შემადგენლობა ზემოდან ფორმირდება...**

- ადგილს შემადგენლობაში ყოველთვის ვარჯიშებზე გამოიმუშავებს ფეხბურთელი. ვერ წარმომიდგენია, სხვაგვარად მოხდეს. მაშინ ფეხბურთს რაღაც სხვა სახელი უნდა დაერქვას. ვფიქრობ, რომ ასეთი არაფერი ხდება.

**- თქვენ რომ იყოთ პრეზიდენტი, "რეალის" კრიზისიდან გამოსაყვანად პირველ რიგში რას მოიმოქმედებდით?**

- დღეს ის დროა, რომ უნდა დაივიწყო მარკეტინგი, იმიჯი და "რეალის" ემბლემატიკიანი ამუნიციის გაყიდვა. "რეალმა" კონცენტრირება უნდა მოახდინოს ფეხბურთის თამაშზე. ხელმძღვანელობამ მთელი ძალების მობილიზაცია და კონცენტრაცია "რეალის" სპორტულ მხარეზე უნდა მიმართოს. ახლო წარსულში "რეალს" სხვა პრიორიტეტები ჰქონდა, რომელთა ავკარგიანობაზე არაფერს ვიტყვი, რადგან "რეალი" ტიტულებს იგებდა და სხვა რამეებზე მუშაობისთვისაც იცლიდა. დღეს ასე აღარ არის. დღეს სხვა დინებას უნდა გავყვეთ და ასი პროცენტით სპორტულ შედეგებზე ვიზრუნოთ.

**- საჭიროა თუ არა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლომდე მოცდა, რათა "რეალი" ახალი სეზონისთვის დაკომპლექტდეს?**

- არა, ცდა არ არის საჭირო. თუ მსოფლიოში საუკეთესო სპორტული ბაზა გვაქვს, მაშინ მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელები და ახალგაზრდობაც უნდა გვყავდეს. "რეალმა" საკუთარ თავში უნდა მონახოს კრიზისიდან გამოსვლის რესურსები, თუმცა, გონივრული სატრანსფერო პოლიტიკაც მნიშვნელოვანია.

**- როგორ ფიქრობთ, დელ ბოსკე მალე დაბრუნდება კლუბში?**

- ისეთი ადამიანისთვის, როგორიც ვისენტე დელ ბოსკეა, კლუბის კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს. ასეთი ადამიანები კლუბის სიმბოლოები არიან. მან "რეალში" 38 წელი გაატარა, კარგი ადამიანია, ამასთან, ბრძენიცაა და ეს უნდა გამოვიყენოთ. ვინ იტყვის უარს დელ ბოსკეზე? მე, როგორც რეალელს, ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმე რეალელს არ სურს კლუბში მისი ხილვა.

**- კამაჩო?**

- იგივეს ვიტყვი. განა ვინმეს ეპარება ეჭვი, რა დიდი სამსახური აქვს გაწეული კამაჩოს, პირის, მიჩელს, რედონდოს ან გარსია რამონს "რეალისთვის"?

**- რას იტყვით ფეხბურთში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესზე?**

- ამის თაობაზე გამოკვეთილი მოსაზრება მაქვს. თუ სკოლაში ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები არ მყავს, მაშინ ისინი მეზობელ რაიონებში უნდა მოვძებნო და როცა დავპატიჟებ, მის პასპორტში არ უნდა ჩავიხედო. სულ არ მაინტერესებს, საიდან არის - კამერუნიდან თუ კოტ დიუარიდან, საფრანგეთიდან თუ სერბეთიდან. თუ კარგი ფეხბურთელია, კეთილი იყოს მისი მობრძანება.

**- დღემდე რატომ საუბრობენ იმ სარჩელზე, რომელიც თქვენ თავის დროზე "რეალის" წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანეთ?**

- ბედად, ის ადამიანი, ვისი დახმარებითაც თავის დროზე ეს პრობლემა მოვაგვარე, დღეს "რეალის" პრეზიდენტია. მან იცის სრული სიმართლე. ხოლო მათ, ვისაც ეჭვები აქვთ, თავად ჰკითხონ პრეზიდენტს. ფერნანდო მარტინთან პრობლემა არასდროს მქონია. მეტიც - რამდენიმე წლის წინ მე მას ვაჩუქე მიწის ნაკვეთი, რომელიც მერე უკან დამიბრუნა და ამ ნაკვეთზე ავიშენე სახლი. ეს ყველაფერზე მეტყველებს. რაც შეეხება იმ სარჩელს, გეტყვით, რომ არა მგონია, ისეთ ფეხბურთელს, რომელმაც თავის კლუბს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის 70 პროცენტი აპატია, სინდისი ქენჯნიდეს და თავს დამნაშავედ გრძნობდეს. მე კი სწორედ ასე მოვიქეცი.

**ცვლილება სატენდერო განცხადებაში**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მ\წლის 14 მარტს გაზეთ “24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ავტობუსების შესყიდვის შესახებ შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

**- მიწოდების სასურველი ვადა -** ავტობუსები მიწოდებული იქნეს 2006 წლის 21 აგვისტოსთვის;

**- ადგილთა რაოდენობა -** არანაკლებ 21 ადგილისა.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

# რესტიტუციის გეგმა

*საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს დაზარალებულები, ბოლოს და ბოლოს, კუთვნილ კომპენსაციას მიიღებენ. თუმცა მხარეებს შორის არსებულმა უნდობლობამ ამ პროცესს შესაძლოა გზა გადაუღობოს.*

ვიქტორია გუჯელაშვილი, თბილისი

საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებული კანონპროექტის მიზანი სამხრეთ ოსეთის 15 წლის წინანდელი კონფლიქტის დროს დაზარალებული მოქალაქეებისთვის დაკარგული ქონებისთვის კომპენსაციის გაცემაა. გეგმა ევროპის საბჭოს ექსპერტებმაც მოიწონეს. თუმცა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მთავრობათა შორის დაძაბული ურთიერთობის გამო ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა მეტად პრობლემური ხდება.

ჯერჯერობით, კანონპროექტის მიღებით ათობით ათასი (როგორც ქართველი, ისე ოსი) მოქალაქისთვის 1991-92 წლების ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი კონფლიქტის დროს დაკარგულ ბინებზე, სახლებსა და სხვა ქონებაზე უფლების განცხადების ან მათ სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მიღების პროცესი უნდა დაიწყოს.

თეორიულად, ეს პროცესი უკვე წელს უნდა დაიწყოს. 17-18 მარტს კანონი ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანომ – ვენეციის კომისიამ მოიწონა, რომელიც დოკუმენტის იურიდიული მხარის მიუკერძოებელ ექსპერტიზას ატარებდა. თბილისმა კომისიის მიერ შეტანილი შესწორებები მიიღო. მალე დოკუმენტი განსახილველად პარლამენტს გადაეცემა.

თუმცა კანონპროექტი ჯერ სამხრეთ ოსეთის მთავრობამ უნდა განიხილოს. კანონის შინაარსს თითქმის არ იცნობენ მისი მომავალი პოტენციური მოსარგებლეები – ლტოლვილები ორივე მხრიდან.

სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა 1989 წელს დაიძაბა, ხოლო 1991 წელს ავტონომიური ოლქის საქართველოდან გამოყოფის სურვილის დაფიქსირებამ საომარი შეტაკებები გამოიწვია, რის შედეგადაც დაახლოებით 2 ათასი ადამიანი დაიღუპა, 100 ათასამდე კი ლტოლვილად იქცა.

ეს იყო უმძიმესი დრო ყველასთვის, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ, კონფლიქტში ჩარეული აღმოჩნდა.

ეროვნებით ოსი ლიანა ელბაქიძის (კონფლიქტამდე იგი ქარელის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა), მისი მეუღლისა და ორი შვილის ცხოვრება ერთ წამში დაინგრა.

,,1991 წლის 25 თებერვალს სახლიდან წასვლა გვაიძულეს. თან მხოლოდ ერთი ჩანთის წამოღება მოვასწარი. მეზობლებთან კი (ასევე ოსებთან) ადრეც მიდიოდნენ, ბავშვების წართმევით ემუქრებოდნენ, ფულსა და ოქროეულობას ართმევდნენ. ერთი ჩვენი ნათესავი ისე სცემეს, რომ გვეგონა, ველარ გადარჩებოდა", – გვიყვება იგი.

საქართველოში მცხოვრები მრავალი სხვა ოსის მსგავსად, ლიანა საცხოვრებლად სამხრეთ ოსეთის ნაცვლად, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა. იგი უკვე 15 წელია, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებით თავშესაფარში ცხოვრობს და თავს ვაჭრობით ირჩენს.

ეროვნებით ქართველი, ცხინვალის ყოფილი მკვიდრი გია გიგაური ამჟამად თბილისში ცხოვრობს. საკუთარი სახლიდან ისიც გამოაძევეს.

,,ჩვენ 1990 წლის ზამთარში წამოვედით. თოვლი იყო. მხოლოდ ის წამოვიღეთ, რის ხელით ტარებაც შეგვეძლო", – იხსენებს გია.

ქართული მხარის მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, ყოველმა მსურველმა ქართული და ოსური მხარეების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შექმნილ კომისიაში განაცხადი უნდა შეიტანოს. ვენეციის კომისიის წინადადებით, ამ პროცესში მთავარი როლი გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესმა კომისარიატმა, ასევე ევროსაბჭომ, ეუთო-მ და ევროკავშირმა უნდა შეასრულონ.

ქართულმა მხარემ კომპენსაციის დაფინანსების პირობა დადო. თუმცა ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ ამ თანხების გარკვეული ნაწილი საერთაშორისო დონორებმა უნდა გაიღონ.

თუმცა უცნობია, მიიღებენ თუ არა თავად ლტოლვილები შეთავაზებულ კომპენსაციებს და ისარგებლებენ თუ არა სახლში დაბრუნების შანსით.

,,ლტოლვილებს ძალიან უჭირთ... და ისინი დაბრუნდებიან", – განუცხადა IWPR-ს საერთაშორისო კრიზისული ცენტრის წარმომადგენელმა გიორგი გოგიამ.

,,თუნდაც ისინი მხოლოდ დაბრუნებული სახლების გასაყიდად დაბრუნდნენ, თავად მათი უფლებების დაფიქსირების ფაქტი ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს", – დასძინა მან.

თუმცა ლტოლვილთა უმრავლესობა (ორივე მხრიდან), რომლებთანაც IWPR-მა მოახერხა გასაუბრება, ამ გეგმის პერსპექტიულობაში ასე დარწმუნებული არ არის.

,,არ მჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება რაიმეს დაგვიბრუნებს. ამ წლების განმავლობაში ჩემს რაიონში რამდენჯერმე დავბრუნდი, მაგრამ არა მხოლოდ მატყუებდნენ, არამედ ჩემს მეუღლეს ემუქრებოდნენ კიდეც", – ამბობს ამჟამად ვლადიკავკაზში მცხოვრები ლიანა ელბაქიძე.

მეტ ოპტიმიზმს არც გორიდან ლტოლვილი, ამჟამად ცხინვალში მცხოვრები ინესა ბოლოთაევა ამჟღავნებს.

,,ჩვენ ქართველებმა გამოგვაგდეს, სახლები წაგვართვეს, სადაც ახლა თავად ცხოვრობენ. დიახ, ამ კანონის შესახებ რაღაც მსმენია, მაგრამ ჩვენ იქ არაფრით დავბრუნდებით, არანაირი ფულის სანაცვლოდ. ადრე თუ გვიან ისინი ისევ დაგვემუქრებიან", – ამბობს ინესა.

თბილისში მდებარე პატარა ბინაში მცხოვრებ გია გიგაურს იმედი საბოლოოდ არ დაუკარგავს. ,,თუ შესაძლებლობა იქნება, მე და ჩემი მეუღლე ცხინვალში აუცილებლად დავბრუნდებით", – ამბობს იგი.

ევროსაბჭოს ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ახალი კანონპროექტის ზოგიერთი პუნქტის უფრო ზუსტად ჩამოყალიბებაა აუცილებელი. მაგალითად, დასაზუსტებელია კომპენსაციის გამოყოფის კრიტერიუმები, მათი ოდენობა. ექსპერტთა განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ასევე უნდა განსაზღვროს კომპენსაციის მიახლოებითი ოდენობა, იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც განაცხადის გაკეთების უფლება აქვს და ასევე ისიც, რა ხარჯებთანაა ეს ყველაფერი დაკავშირებული.

თუმცა ძირითად წინააღმდეგობასთან შედარებით ტექნიკური საკითხები უმნიშვნელოდ გამოიყურება. ძირითადი სადავო თემა – ტერიტორიული საკითხი უკვე 15 წელია, გადაუჭრელი რჩება, მხარეთა ხელმძღვანელობები კი შეთანხმებას ვერ აღწევენ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კონსტანტინე ვარძელაშვილმა IWPR-ს განუცხადა, რომ კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება თბილისმა ოსურ მხარეს არაერთხელ შესთავაზა. ,,ჩვენ ჯერ კონცეფცია გავუგზავნეთ, შემდეგ თავად კანონპროექტი და ველოდით რეაგირებას, რომელიც ვერ მივიღეთ", – თქვა მან.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება კანონპროექტის განხილვაზე, ჯერჯერობით, უარს აცხადებს.

,,ჩვენ სხვა სახელმწიფოს კანონის შემუშავების პროცესში მონაწილეობას არ ვაპირებთ", – განუცხადა IWPR-ს სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ბორის ჩოჩიევმა.

თუმცა ჩოჩიევს თანამშრომლობაზე ბოლომდე უარი არ განუცხადებია. მან აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა შეუძლიათ, მხოლოდ ,,საერთაშორისო ექსპერტების" რანგში.

ვარძელაშვილის განცხადებით, ,,მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას თანამშრომლობა", ქართული მხარე კანონპროექტზე მუშაობას განაგრძობს.

ვენეციის კომისიის ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ ,,დიალოგი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, როგორც ჩანს, მეტად შეზღუდულია".

კომისიის წარმომადგენელთა აზრით, არსებობს საშიშროება, რომ სამხრეთ ოსეთი არ ითანამშრომლებს საქართველოსთან ამ საკითხში, თუ მათთან კონსულტაციისთვის ,,სერიოზული ნაბიჯები" არ გადაიდგმება. თუმცა ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ,,მეორე მხრივ, თანამშრომლობაზე ერთ-ერთი მხარის მიერ უარის თქმა რესტიტუციის გადავადების მიზეზად არ უნდა იქცეს".

ორივე მხარისა და ასევე მოსკოვის მიერ გაკეთებული მწვავე პოლიტიკური განცხადებები რესტიტუციის საკითხების მშვიდ გარემოში განხილვას ხელს უშლის.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ირგვლივ მიმდინარე ,,სიტყვათა ომში" რუსეთის შემადგენლობაში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ საუბრები გახშირდა, რასაც თბილისი მხარს ვერ დაუჭერს.

22 მარტს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ 1774 წლის შეთანხმების საფუძველზე სამხრეთ ოსეთის რუსეთის ნაწილად აღიარების თაობაზე სარჩელს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანს.

ამ დროს საქართველოს პარლამენტი მოსკოვისაგან რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტების უკანონო მხარდაჭერის გამო საქართველოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიღწევას ცდილობს. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ქართველმა კანონმდებლებმა 17 მარტიდან მთავრობას მიყენებული ზარალის დაანგარიშება მოსთხოვეს.

გაცილებით პოზიტიური ნაბიჯების გადადგმაა მოსალოდნელი 30-31 მარტს ვლადიკავკაზში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ორივე მხარის წარმომადგენლები კომპენსაციის პრობლემას განიხილავენ.

,,შეხვედრაში ყველა ოფიციალური თანამდებობების გაუთვალისწინებლად იღებს მონაწილეობას", – განაცხადა შეხვედრის ორგანიზატორმა, სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების დირექტორმა ოქსანა ანტონენკომ.

ანტონენკომ IWPR-ს განუცხადა, რომ ქართული და ოსური მხარეების წარმომადგენლებს იმის გარკვევა მოუწევთ, თუ როგორ აფასებს თითოეული მათგანი არსებულ პრობლემას. გარდა ამისა, მათ კომპენსაციის სამართლიანად გაცემის შესაძლებლობებზეც უნდა მოილაპარაკონ.

,,დღეს ცოტას თუ წარმოუდგენია, რამდენ ადამიანს ეკუთვნის კომპენსაცია, რა განწყობა აქვთ მათ, ვინ არის დაბრუნებისთვის მზად და ვინ – არა, რა მოთხოვნებს აყენებენ ისინი. ლტოლვილებთან არანაირი დიალოგი არ გამართულა", – დასძინა მან.

პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, დღეს მთავარი ოსური მხარის უნდობლობის დაძლევაა.

,,შედეგებს მომავალი გვიჩვენებს. რესტიტუცია – ჩვენი ვალი და ჩვენი ღირსების საკითხია", – თქვა მან.

www.iwpr.net

# სომხეთი: ბრძოლა გარდაცვლილთა კულტთან

*სომხეთის პარლამენტი გარდაცვლილთა დასაკრძალად საჭიროზე მეტი ტერიტორიის გამოყენების წინააღმდეგ ზომებს იღებს.*

მარიანა გრიგორიანი, გაიანე მკრტიჩიანი, ერევანი

დამწუხრებული მამაკაცის მარმარილოს უზარმაზარი ქანდაკება ეჩმიაძინის სასაფლაოზე დანარჩენ საფლავის ქვებს შორის ყველაზე მაღალია. თუმცა, ის ერთადერთი არაა; მახლობლად სამმეტრიან პედესტალზე კიდევ ერთი ბიუსტი დგას.

ასეთი შთამბეჭდავი ქანდაკებების დამზადება დაახლოებით 60 ათასიდან 80 ათას აშშ დოლარამდე ღირს, რაც ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც სომხეთია, უზარმაზარ თანხად ითვლება. თუმცა, ეს იმ ,,ფენომენის" გამოვლენაა, როცა მკვდრებს ცოცხლებზე მეტ თანხას ახარჯავენ.

„დღეს მდიდრები ერთმანეთს ეჯიბრებიან. პირდაპირ მოდიან და მეუბნებიან, რომ მათი გარდაცვლილის ძეგლი სხვებთან შედარებით უფრო მაღალი და მიმზიდველი უნდა იყოს, ამისათვის კი მზად არიან, დამატებით 500 დოლარი გადაიხადონ", – გვითხრა მოქანდაკე სარგის ხოჯოიანმა.

გარდაცვლილების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ნაწილობრივ ადათ-წესების მიხედვით ცხოვრებასა და ტრადიციების დაცვას უკავშირდება. ხშირად კი ადამიანები ამას ერთმანეთის ჯიბრით აკეთებენ.

ერთ-ერთი მხატვარი ქალბატონის თქმით, დედამისი კიბოთი იყო დაავადებული და მისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში მკურნალობის ფული არ ჰქონდათ. მაგრამ როცა დედა გარდაიცვალა, ოჯახმა დაკრძალვის ხარჯების დასაფარად და საფლავის ქვის გასაკეთებლად 10 ათას დოლარზე მეტი ისესხა.

„ეს თანხა რომ ადრე გვესესხებინა, შესაძლოა, დედას უფრო დიდხანს ეცოცხლა და ნაკლებად დატანჯულიყო. თუმცა, ჩემი ნათესავებისთვის ეს პრიორიტეტი არ ყოფილა", – თქვა მან.

დაკრძალვის ცერემონია ყველა წესის დაცვით შედგა, მაგრამ აღებული ვალი მომავალი წლების განმავლობაში ოჯახს მძიმე ტვირთად დააწვება.

როგორც ჩანს, ამ ტენდენციამ პარლამენტის დეპუტატთა შეშფოთებაც გამოიწვია. თებერვლის ბოლოს მათ ახალი კანონი მიიღეს, რომელიც დაკრძალვის ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს. შეზღუდვები არა მხოლოდ უზარმაზარ ქანდაკებებზე, არამედ საფლავის მიწის ფართობზეც ვრცელდება.

სომხური ტრადიციის მიხედვით, დაკრძალვის პომპეზური ცერემონია, დიდი საფლავი და შთამბეჭდავი საფლავის ქვა გარდაცვლილის მიმართ ნათესავების პატივისცემის გამომხატველია.

პარლამენტარ ვლადიმერ ბადალიანს, რომელმაც ზემოაღნიშნული კანონპროექტი შეიმუშავა, „დიდი და ძვირადღირებული საფლავების ყიდვის მზარდი ტენდენციისთვის" ბოლოს მოღება სურს.

„მინახავს საფლავი, რომელსაც 260 კვადრატული მეტრი უჭირავს. განა ეს ნორმალურია?" – იკითხა ბადალიანმა.

„ოფიციალური მონაცემებით, სასაფლაოებს ერევანში ქალაქის ტერიტორიის 5 პროცენტი უჭირავს. თუმცა, სინამდვილეში, ფართობი, სულ მცირე, ორჯერ მეტი მაინც არის", – განაცხადა დამკრძალავი ბიუროს „მოქალაქეთა სარიტუალო სერვისის" ინჟინერმა რაზმიკ ჰარუთინიანმა.

ჰარუთინიანის გათვლით, თუ ასე გაგრძელდა ერევანის ნახევარი, შესაძლოა, სასაფლაოებმა შთანთქას. მაგრამ თუ ბადალიანის მიერ ინიცირებული კანონი რეალურად ამოქმედდება, ეს აღარ მოხდება. აღნიშნული კანონი ერთ ადამიანზე 2,5 კვადრატული მეტრი ფართობის, ხოლო ოთხსულიან ოჯახზე არაუმეტეს 12,2 კვადრატული მეტრის საფლავის ადგილის გამოყოფას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით მცირე ზომის საფლავები კი უფასო იქნება.

ძველი სისტემის მიხედვით, საფლავის მიწა არც ისე ძვირი ღირს. ოფიციალური გადასახადი 12 ათას დრამს ანუ დაახლოებით 26 დოლარს შეადგენს.

მაგრამ რადგან აქამდე არსებული კანონმდებლობა საფლავის დასაშვებ ფართობს ზუსტად არ განსაზღვრავდა, არაოფიციალური ფასებიც არსებობდა. ერევანში 5 ან 6 კვადრატული მეტრი მიწის ფასი შესაძლოა ათასიდან 6 ათას დოლარამდე მერყეობდეს. ყველაფერს მდებარეობა განსაზღვრავს – უფრო პრესტიჟულად სასაფლაოს შესასვლელთან ახლოს მდებარე ადგილი ითვლება.

პერიფერიებში საფლავის მიწის ფასები უფრო დაბალია. კვადრატული მეტრის ფასი 30-დან 50 დოლარამდე მერყეობს. ძნელად მისადგომ სოფლებში კი საფლავის მიწა უფასოა. ამიტომ ზოგი საფლავის ადგილს იმის მიხედვით ირჩევს, რის საშუალებაც აქვს.

„ერთ ჩემს ნაცნობს ისეთი თანხა მოსთხოვეს, რომ იძულებული გახდა, მშობლიურ სოფელში ჩასულიყო და მამამისი დედამისის საფლავზე დაემარხა. ამას ბევრი აკეთებს", – განაცხადა ეჩმიაძინის მცხოვრებმა აიდა ალასიანმა.

კანონის ერთ-ერთი მუხლი სარიტუალო ნივთების თავისუფლად გაყიდვას კრძალავს. ერევნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, ნარდოსზე ყველა ზომისა და გაფორმების სასახლეა გამოფენილი. ბევრი ცდილობს, როგორმე თავი აარიდოს ამ ქუჩაზე გავლას.

„კანონი სარიტუალო ნივთების ყველგან გაყიდვას კრძალავს, რადგან ეს ხალხს აღიზიანებს. ასეთი ნივთები ქალაქგარეთ ან სპეციალურ მაღაზიებში უნდა იყიდებოდეს, სადაც ფანჯრები შეღებილი ან ფარდით დაფარული იქნება", – განაცხადა ბადალიანმა.

კანონის ერთ-ერთი პუნქტი, რომელმაც შესაძლოა წინააღმდეგობა გამოიწვიოს, კრემატორიუმის აშენებასაც ითვალისწინებს, ეს კი სომხურ ტრადიციას ეწინააღმდეგება. მთავრობამ კრემატორიუმის ასაშენებლად თანხა უკვე გამოყო.

კანონმდებლები იმედოვნებენ, რომ კრემატორიუმის აშენება სასაფლაოების რაოდენობის ზრდას შეაჩერებს.

„10 ჰექტარი მიწა და მემორიალური კედელი მოთხოვნას ათი წლის განმავლობაში სრულად დააკმაყოფილებს. მეტი ფართობი არ დაგვჭირდება", – განაცხადა ვლადიმერ ბადალიანმა.

ინიციატივამ, რომელიც ცხედრის დასაფლავების ნაცვლად მის დაწვას ითვალისწინებს, საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. კრემაციას სომხეთის სამოციქულო ეკლესიაც ეწინააღმდეგება.

„ეკლესია კრემაციის წინააღმდეგია. უფალმა გვითხრა „მიწა იყავ და მიწადვე იქეც". როცა გარდაცვლილის სხეულს ვწვავთ, ამით ღვთის ნებას წინ აღვუდგებით", – განაცხადა წმინდა სარგისის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ჰაკობ ხაჩატრიანმა.

მამა ჰაკობს სჯერა, რომ თუ ხალხი უზარმაზარი ქანდაკებების დადგმასა და მავზოლეუმების აშენებას შეწყვეტს, პრობლემა მოგვარდება. ვლადიმერ ბადალიანის აზრით, საბოლოოდ ხალხი ამ აზრს შეეგუება.

„ერევანში, შაჰუმიანის უბანში არსებული ბაღები, რომლებიც ხეხილის ხეებით იყო ცნობილი, შვიდი თუ რვა წლის წინ სასაფლაოდ გადააქციეს. 100 წლის შემდეგ ამ სასაფლაოზე გავლა მოგვიწევს. მაგრამ მინდა, რომ ჩემს ქალაქში უფრო მეტი ბაღი და დასასვენებელი ადგილი იყოს", – განაცხადა დეპუტატმა.

www.iwpr.net



ერევანის ერთ-ერთი სასაფლაოზე

# ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი ქალებს თავსაფრის ტარებისკენ მოუწოდებს

*ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც მოსკოვის მხარდაჭერით სარგებლობს, ამბობს, რომ ქალებმა თავსაფარი უნდა ატარონ. ადამიანის უფლებათა დამცველებს კი მიაჩნიათ, რომ ასეთი ტენდენცია ქვეყანას შარიათის კანონთან კიდევ ერთი ნაბიჯით აახლოებს.*

ტიმურ ალიევი, გროზნო

ჩეჩნეთის მთავარი სატელევიზიო არხის წამყვანები, რომლებიც აქამდე თავს მოდური თმის ვარცხნილობებით იწონებდნენ, მარტის შუა რიცხვებიდან თავსაფრებს დაიხურავენ. თავსაფრის ,,წაკვრა" სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომელ ქალებსა და სტუდენტებსაც მოუწევთ.

ჩეჩნეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ თავსაფრის დახურვა აუცილებელი არ არის და ეს არც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, პრემიერ-მინისტრი რამზან კადიროვი კი, რომელმაც ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქალებმა თავსაფარი უნდა დაიფარონ, მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას გამოხატავდა.

,,კადიროვმა უბრალოდ შეახსენა ხალხს, რომ საუკუნოვანი ტრადიციების თანახმად, ქალებს თავსაფრები, ხოლო მამაკაცებს – ფაფახები ეხურათ", – განმარტა ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ოდეს ბაისულტანოვმა რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთან ,,რია ნოვოსტისთან" საუბრისას.

თავად კადიროვმა ,,როსიისკაია გაზეტასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ თავსაფრიანი ქალები უფრო კდემამოსილად გამოიყურებიან. ,,მაგალითად, მართლმადიდებელ ქრისტიან ქალებს თავსაფრის გარეშე ეკლესიაში შესვლის უფლება არ აქვთ. რატომ არის ასეთი რამ ქრისტიანებისთვის ნორმალური, ხოლო მუსლიმანებისთვის კი – არა?" – თქვა მან.

თუმცა, ჩეჩენი ქალები კადიროვის წინადადებას ბრძანებად აღიქვამენ და სამსახურის დაკარგვის შიშით მის შესრულებასაც აპირებენ. თავსაფრის გარეშე ხალხში გამოჩენას მხოლოდ ერთეულები თუ ბედავენ.

კადიროვი, რომელიც მოსკოვის მომხრე შეიარაღებული ფორმირების ლიდერია, პრემიერ-მინისტრად ცოტა ხნის წინ დაინიშნა. ადამიანის უფლებათა დამცველები მის დაჯგუფებას ადამიანთა გატაცებაში, მკვლელობასა და წამებაში ადანაშაულებენ. თუმცა კადიროვი ყველა ბრალდებას უარყოფს.

მისმა ბოლო განცხადებებმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მით უმეტეს, რომ ისლამური ტრადიციები, რომლებსაც კადიროვი ეყრდნობა, მის მოსისხლე მტრებთან – ჩეჩნეთის მეამბოხეთა მოძრაობასთან ასოცირდება.

ზოგიერთი ქალბატონი, მაგალითად, გროზნოს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი სატსიტა ისრაილოვა თავსაფრის დახურვის წინააღმდეგია. სხვები კი პრემიერს ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ ჩეჩნეთმა ტრადიციები უნდა შეინარჩუნოს. პრემიერის პოზიციას ეროვნული პოლიტიკის მინისტრი აზა გაზიევაც იზიარებს, თუმცა, მისი აზრით, ქალებმა გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ.

,,თავსაფარი ყოველთვის ჩეჩენი ქალების ჩაცმულობის შემადგენელი ნაწილი იყო. მაგრამ დაიხურავს თუ არა თავსაფარს, ქალის პირადი საქმეა. ეს საკითხი თითოეულმა ოჯახმა თავად უნდა გადაწყვიტოს", – ამბობს იგი.

თავსაფრის საკითხი კადიროვის მიერ ბოლო დროს წამოწყებული კამპანიის ნაწილია, რომელიც ჩეჩნური საზოგადოების ,,მორალური სახის გაკეთილშობილებას" ითვალისწინებს. გასულ ზაფხულს მან სათამაშო ავტომატები იმ მიზეზით აკრძალა, რომ აზარტული თამაშები ახალგაზრდობაზე ცუდ გავლენას ახდენს. მფლობელებს სათამაშო აპარატების ლიკვიდირებისთვის მხოლოდ ათიოდე დღე მისცეს.

ამის შემდეგ კადიროვმა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს შეუტია, ხოლო მიმდინარე წლის დასაწყისში ყურადღება მობილური ტელეფონებით გადაცემულ პორნოგრაფიულ სურათებს მიაპყრო. მოგვიანებით მან მრავალცოლიანობასაც დაუჭირა მხარი, რაც რუსეთის კანონმდებლობით აკრძალულია. წინასწარმეტყველი მუჰამედის კარიკატურების გარშემო საერთაშორისო სკანდალის აგორების შემდეგ კი ჩეჩნეთიდან დანიური ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომლები განდევნა.

მიმომხილველთა აზრით, პუტინის მეკავშირის ასეთი ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯები მიანიშნებს, რომ კადიროვი ჩეჩნეთში შარიათის კანონის დამკვიდრებას ცდილობს. მაგრამ მაშინ, როცა მოსკოვი დაუნდობლად ებრძვის ჩეჩენ მეამბოხეებს (რომელთათვისაც ისლამი გამაერთიანებელი ძალაა) ასეთი ქმედებები ირონიას იწვევს.

,,დღეს მოსკოვის პატრონაჟით ხორციელდება ყველაფერი, რასაც ჩეჩნეთში ებრძოდნენ – შარიათის კანონების ,,ბატონობასა" და რუსეთის კანონების იგნორირებას, ანუ იმას, რაშიც ჯოხარ დუდაევსა და ასლან მასხადოვს ადანაშაულებდნენ", – ამბობს რუსეთის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტი ლევ ლევინსონი.

,,ეს ყველაფერი რუსეთის კონსტიტუციისა და რუსეთის ყველა კანონის დარღვევაა", – მიიჩნევს იგი.

ანალიტიკოსთა აზრით, ჩეჩნურ და ისლამურ ღირებულებებზე ფოკუსირება სხვა არაფერია, თუ არა კადიროვის მიერ კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობის გულის მოგების მცდელობა.

,,ეს საკუთარი პოპულარობის გაზრდის მცდელობაა", – განაცხადა პოლიტოლოგმა ედილბეკ კასმაგომედოვმა.

რუსეთის ახალი ამბების სააგენტოს რედაქტორის მოადგილემ და პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა ილია მაქსაკოვმა IWPR-ს განუცხადა, რომ კადიროვისეულ ,,მორალის კამპანიას" ჩეჩნეთში სკეპტიკურად უყურებენ.

,,კადიროვის პიროვნების ,,დემონიზაციის" დონე ჩეჩნეთში ჯერ კიდევ მაღალია და ამდენად, მისი ნებისმიერი განცხადება თუ მტრულად არა, ყოველ შემთხვევაში, სერიოზული ეჭვით მაინც აღიქმება", – განაცხადა მან.

,,ბევრი სვამს კითხვას – ვინ გვესაუბრება მორალზე? განა ეს ის რამზანი არ არის, რომელსაც საიდუმლო ციხეები აქვს და რომლისაც ყველა ჩეჩენს ეშინია?", – დასძინა მაქსაკოვმა.

ჩეჩნეთის ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი კი შედარებით ლმობიერი აღმოჩნდა. ,,რამზანი ჩვენთვის ამდენს აკეთებს. ნუთუ არ შეგვიძლია სანაცვლოდ ამ ყბადაღებული თავსაფრის დახურება?" – თქვა მან.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# გამოიცა უნიკალური კინოკატალოგი

საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა გამოსცა კატალოგი "ქართული ფილმი 2000-2005". კატალოგში შევიდა 2000 წლიდან დღემდე გადაღებული ყველა მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმი.

წიგნში მოცემულია 105 რეჟისორის მიერ გადაღებული 170 ფილმის ანოტაცია, სინოფსისი, კადრები. ასევე საქართველოში ჩატარებული და არსებული ფესტივალები და მოქმედი კინოსტუდიები.

კატალოგი ორენოვანია. იგი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ეროვნული კინოცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ნინო ანჯაფარიძის თქმით, მსგავს კატალოგებს კინოცენტრი ამიერიდან ყოველწლიურად გამოუშვებს. იგი გაიყიდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

კატალოგის "ქართული ფილმი 2000-2005" პრეზენტაცია გაიმართება 30 მარტს წიგნის მაღაზია "პარნასში".

TV5MONDE

## 28 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ამერიკის ფრანკოფონია. ფლორიდა. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** რომ გახდე კაცი. კუნძული კონტუ. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** პატარა სავანე. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-პიერ დენი. 2005. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. სატანის ოქრო. 1943-1949. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. **05.40** გადაცემა: თვალსაზრისი.

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



**დედა, ნინა ჟღენტი, დები - მარიამ, ქეთევან, ნინო ღოღობერიძეები; მამიდაშვილი ცისანა ნიკოლეიშვილი; სიძე ვახტანგ ნინიკაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მანანა (ხატია) ღოღობერიძე**

**პანაშვიდი: 30, 31 მარტს; დაკრძალვა შაბათს, 1 აპრილს, 15 საათზე. მისამართი: წყალტუბოს რაიონი, სოფელი ხომული.**

# ძველი ტელევიზორი და ჯორჯ კლუნი



სიმპათიურმა კლუნიმ კინოკარიერის მოწყობის საინტერესო გზა გამონახა. ე.წ. პურის ფულს ის კომედიებსა და ბოევიკებში თამაშით შოულობს, სადაც სიამოვნებით ძარცვავს კაზინოებს და ჯულია რობერტსთან სიყვარულს ეძლევა. "შეკოწიწებული" თანხით კი კამერულ ფილმებს იღებს და რეჟისორ-პროდიუსერის როლში გვევლინება. "ღამე მშვიდობისა და წარმატებებს გისურვებ" სწორედ ამ სერიიდანაა. ფილმისთვის შერჩეული ფორმა რადიკალურ-ექსპერიმენტულია. ის შავ-თეთრია და მასში კლუნის მსგავსი სანტიმენტალური მსახიობები არიან დაკავებულნი. მთავარი გმირები მხოლოდ პოლიტიკაზე საუბრობენ, ამიტომ საშუალო სტატისტიკური მაყურებელი ასეთ ფილმს თხუთმეტ წუთზე დიდხანს ვერ უყურებს. თუმცა რეჟისორს ეს ნაკლებად ანაღვლებს. მოვლენები 50-იანების დასაწყისში ვითარდება, როცა ტელეეთერის 90 პროცენტი "მოლაპარაკე თავებს" უკავიათ და კინომაყურებელი იძულებულია ტელევიზორს მიეჯაჭვოს. ტელეწამყვან ნიკ კლუნის ვაჟიშვილი, რომელიც ხუთი წლის ასაკიდან მამის სტუდიაში იზრდება, ძალიან პირადულ ფილმს იღებს. ფილმი ამერიკული ტელეჟურნალისტიკის ლეგენდას ედვარდ მიუროუს ეძღვნება. მიუროუს (მოლუშულ დევიდ სტრეტეირნს) CBS არხზე ყოველკვირეული ანალიტიკური პროგრამა მიჰყავს. მას ერთგული მეგობრები და თანამოაზრეები ჰყავს (ერთ-ერთს, პროდიუსერ ფრედ ფრენდლის ჯორჯ კლუნი თამაშობს) და ის ბედნიერია. სტუდიის უფროსი ნიჭიერ წამყვანს ეთერში ნებისმიერ თემაზე ღიად საუბრის უფლებას აძლევს. ჟურნალისტთა მეგობრული ჯგუფი დემაგოგ სენატორ ჯოზეფ მაკარტის უპირისპირდება. პოპულისტი მაკარტი კომუნისტებზე ნადირობს, მიუროუ კი ამ ბაქანალიას მოგვითხრობს, თან ირწმუნება, რომ მაკარტის "გამოძიება" ადამიანთა დევნად გადაიქცა.

კლუნი სიტყვას სენატორსაც უთმობს, უხვად იყენებს არქივის ქრონიკებს და აიძულებს მაყურებელს სამართლიან ტელეჟურნალისტებს მიემხროს. ფინალი ტრიუმფალურია. თუმცა შევცდებოდით, ეს ფილმი მხოლოდ ისტორიულ ჭრილში რომ შეგვეფასებინა ან თავისუფალი მედიის ჰიმნად მიგვეჩნია. მაკარტი მხოლოდ მას შემდეგ იხევს უკან, რაც საქმეში ერევა პენტაგონი. სინამდვილეში მიუროუ და მისი მეგობრები მარცხდებიან. ტელეგადაცემას კი არარენტაბელურობის გამო ხურავენ. მიუროუს საკუთარი ჯიბიდან უწევს სარეკლამო ვალების გადახდა. ფილმის პროლოგში ნაჩვენებია მიუროუს გამოსვლა ჟურნალსტთა ყრილობაზე, სადაც ის ტელევიზიას "განათლების იარაღს" უწოდებს და ამბობს, რომ ის არ უნდა იყოს მხოლოდ "გართობასა და მხიარულებაზე" ორიენტირებული. დღეს მისი მოწოდება წარსულს ჩაბარდა და სატელევიზიო ბიზნესი სწორედ გართობის მიმართულებით განვითარდა.

# "ბეჭდების მბრძანებელი" - ამჯერად სცენაზე



ტორონტოში გამართული თეატრალური პრემიერის შემდეგ მაყურებელი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ტოლკიენის ტრილოგიის ნამდვილი გასაღების მოძებნა ერთადერთმა კაცმა შეძლო და ეს კაცი პიტერ ჯექსონია.

არადა, "ბეჭდების მბრძანებლის" სასცენო ვერსიის შექმნაზე პროდიუსერებმა 25 მილიონი დოლარი დახარჯეს. სპექტაკლმა, რომელიც თითქმის 4 საათს გრძელდება, თეატრში მისული მაყურებელი საშინლად დაღალა. "ტორონტო სტარმა" დაუფარავად დაწერა, რომ სპეტაკლი "მოსაწყენია". იგივე აზრი იდო "ტორონტო სანის", "ტორონტო გლოუბის", "ნიუ იორკ ტაიმსის" და "დეილი ტელეგრაფის" პუბლიკაციებშიც.

პრინციპში, ერთადერთი, ვინც რეჟისორსა და თეატრალურ დასს შრომა დაუფასა, თავად ტოლკიენის შვილთაშვილი რეიჩელ ტოლკიენი გახლდათ. მან პრესას განუცხადა, რომ: "სცენაზე გადაუტანიათ ყველაფერი ის, რაც წიგნში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სამახსოვრო იყო. დასი ნამდვილად იმსახურებს ქებას იმისთვის, რომ ამხელა წიგნი სამსაათნახევრიან წარმოდგენაში ჩატია".

მართლაც, ტორონტოელების "ბეჭდების მბრძანებლის" ვერსია მთელ რამდენიმეტომიან საგას ერთ საღამოს უჩვენებს პუბლიკას. სცენარის ასე ადაპტირებას და სპექტაკლზე მუშაობას ოთხი წელი დასჭირდა და, როგორც ამბობენ, ის გახლავთ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული თეატრალური დადგმა. როგორც ჩანს, მსოფლიო პრესა - ევროპიდან თუ შტატებიდან ტორონტოში სწორედ ამ სატყუარამ ჩაიყვანა. აღარაფერს ვამბობთ თავად პროექტზე - ოთხი წლის განმავლობაში დამუშავებად ტოლკიენის ტრილოგიასა და რეჟისორის ამბიციაზე - ის, რაც პიტერ ჯექსონმა კინოში მოახერხა, სცენაზე უნდა გადავიტანოო. შედეგად კი მან სხვადასხვა გაზეთისგან აი, ასეთი კომენტარები დაიმსახურა:

"ეს გახლდათ მოსაწყენი იმიტაცია არა მხოლოდ ტოლკიენის ტომებისა და ჯექსონის ფილმების, არამედ, რაც ყველაზე სამწუხაროა, ზოგადად თეატრისაც კი" - "ტორონტო გლოუბი".

"ეს სპექტაკლი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა ყოველთვის არ არის, უამრავი ფული ჩაყარო საქმეში", - "დეილი ტელეგრაფი".

"სპექტალი, ძირათადად, გაუგებარი იყო. დარბაზიდან არავინ გამოსულა თავატკიებული, თვალებჩაწითლებული და სმენადაგუბებული... თუმცა, შოუში გამოყენებული ტექნიკის გამო სპექტაკლი ხელოვნებისა და ხელობის ნამდვილი ზეიმიც გახლდათ" - "ნიუ იორკ ტაიმსი".

მართლაც, როგორც თავად რეჟისორი მეთიუ უორჩესი აცხადებს, "სპექტაკლი ერთია, მაგრამ ათს უდრის. გვაქვს საჰაერო ეპიზოდები, მოძრავი იატაკი, 500-მდე სამხედრო იარაღი, 17 ლიფტი, სპექტაკლში დაკავებულია 55 მსახიობი და გამოყენებულია თანამედროვეობის ყველაზე რთული ტექნიკა".

ტექნიკით (თუ სპექტაკლით არა) ტკბობა მაყურებელს ერთი წლის განმავლობაში შეეძლება. მომავალი წლიდან "ბეჭდების მბრძანებელი", წესით, ტორონტოს მთავარ თეატრ "დომინიონში" უნდა გადაიტანონ.

# "პილარი" გაცოცხლდება



არსებობენ ჰემინგუეის ერთგული მკითხველები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ მწერალმა თავისი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების, მათ შორის, "მოხუცი და ზღვის" დაწერის იდეა თავის საყვარელ სათევზაო გემზე დაებადა. ასეთი ჰიპოთეზა მართლაც არსებობს, რის გამოც ჰემინგუეის გემის "პილარის" ფასი კიდევ უფრო იზრდება. იმდენად იზრდება, რომ რამდენიმე ხნის წინ "პილარი" ამერიკის ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის ნაციონალურმა ფონდმა ყველაზე მეტი საფრთხის წინაშე მყოფი ისტორიული ადგილების 2005 წლის ნუსხაში შეიტანა; მიუხედავად იმისა, რომ "პილარი" შტატების ტერიტორიის გარეთ - კუბაზე დგას.

ამ 40-ფუტიანი გემით მწერალი 1939-1960 წლებში დაცურავდა. ახლა "პილარი" მის კუბურ მამულში "ფინკა ვიჯაში" ინახება. ჰემინგუეის მემკვიდრეობის დაცვის ფონდი კი (ეს ბოსტონში დაფუძნებული ორგანიზაცია გახლავთ) აპირებს, "პილარი" გააახალგაზრდაოს და თავის თავზე აიღოს მისი შეძლებისდაგვარად სრული რესტავრაცია. ორგანიზაციის წარმომადგენლები "ფინკა ვიჯას" ეწვევიან, გემს ფოტოებს გადაუღებენ და შემდეგ პროექტიც დაიწყება.

ეს ბოსტონური ჯგუფი კუბის მთავრობასთან ჰემინგუეის დანარჩენი მემკვიდრეობის დაცვის თემაზეც მუშაობს. გემის გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას ითხოვს მწერლის ხელნაწერები, დაუმთავრებელი ტექსტები, წერილები, ფოტოები და წიგნები, რომლებიც მის მამულში ინახება. კუბის ჰავა - თბილი და ნესტიანი - ქაღალდზე ცუდად მოქმედებს. თუ შესაბამის ზომებს არ მიიღებენ, საფრთხის წინაშე აღმოჩნდება მრავალთა შორის ერთი უნიკალური ტექსტიც For Whom the Bell Call-ის დღემდე გამოუქვეყნებელი ეპილოგი.

# ივანე ჯავახიშვილის იუბილესთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტის დამაარსებლის, 1919-1926 წლებში მისივე რექტორის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 130-ე წლისთავის აღსანიშნავად ემზადება.

საიუბილეო ღონისძიებათა მომზადებისა და ჩატარებისთვის შეიქმნა სპეციალური საუნივერსიტეტო კომისია, რომელსაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. კომისიის გადაწყვეტილებით, 25 აპრილს თსუ-ს ისტორიის მუზეუმში გაიმართება ფოტოგამოფენა "ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან"; გამოიცემა "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმები (1917-1926 წწ)", რომლის პრეზენტაციაც იმავე დღეს ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართება; ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და საზეიმო კონცერტი.

23 აპრილს, საზოგადო მოღვაწისა და დიდი ქართველი მეცნიერის დაბადების დღეს კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ივანე ჯავახიშვილის სულის მოსახსენებელ პანაშვიდს გადაიხდის.

# აკროპოლისის ახალი მუზეუმი

ათენის აკროპოლისის ახალი მუზეუმი, რომელიც 23 ათას კვ/მ ფართობზე განთავსდება, 2007 წელს გაიხსნება. მის ასაგებად 129 მილიონი ევრო გამოიყო. საბერძნეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ბრიტანეთის მუზეუმს პართენონის ცნობილი ქანდაკებებისა და რელიეფების დაბრუნების აუცილებლობაში დაარწმუნებდა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში ისინი საბერძნეთიდან ლორდმა ელგინმა გაიტანა.

ბერძნული მხარე ბრიტანელი დიპლომატის საქციელს "კულტურულ ძარცვას" უწოდებდა და აცხადებდა, რომ პართენონის შედევრები დამთვალიერებელს ტაძრის არქიტექტურასთან ანსამბლში უნდა ეხილა. თუმცა ბრიტანეთმა ფასდაუდებელი ექსპონატების დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

ბრიტანელების თვალსაზრისით, ლორდმა ელგინმა პართენონის ექსპონატები იურიდიულად კანონიერი გზით შეიძინა, ქანდაკებები და რელიეფები ბრიტანეთის მუზეუმში უსაფრთხოების ზომების დაცვით ინახება და მათი დათვალიერება ყველა მსურველს შეუძლია. ამის მიუხედავად, საბერძნეთი მაინც ცდილობს ინგლისთან კონსენსუსს მიაღწიოს.

"ამ მიმართულებით მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას, უფრო მეგობრული მანერებით, მით უმეტეს, რომ ახლა საერთაშორისო საზოგადოებრიობა, როგორც ჩანს, უფრო მზადაა იმისთვის, რომ ასეთი თხოვნა მიიღოს", - განაცხადა საბერძნეთის კულტურის მინისტრმა გეორგიოს ვულგარაკისმა.

# ნინო ლეჟავა გერმანიაში მიიწვიეს

29 მარტს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი წარმოადგენს "დონ პასკუალეს". სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს სოპრანო ნინო ლეჟავა.

ლეჟავა რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა სცენას. როგორც თვითონ ამბობს, ამ ხნის განმავლობაში საინტერესო საგასტროლო პროგრამა მოამზადა, რომელსაც ჯერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, შემდეგ კი ევროპის სამ ქვეყანაში ქართველი ემიგრანტებისთვის წარადგენს.

ივნისის ბოლოს დაგეგმილია ლეჟავას პერსონალური საათნახევრიანი საკონცერტო პროგრამა გერმანიის რამდენიმე ქალაქში. გასტროლში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ცნობილი სახე, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.

# იტალიის კულტურის დღეები პირველ აპრილს დასრულდება

იტალიის კულტურის დღეები თბილისში, რომელიც საქართველოში იტალიის საელჩოსა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით ტარდება, პირველ აპრილს დასრულდება.

დღეს "ქარვასლაში" გაიხსნება ჯუზეპე დელ გრეკოს გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. დასკვნით საღამოს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი უმასპინძლებს. ნაჩვენები იქნება ჯუზეპე ვერდის ოპერა "ბალ-მასკარადი", რომელსაც იტალიელი მაესტრო მანლიო ბენცი უდირიჟორებს.

საქართველოში იტალიის ელჩის ფაბრიციო რომანოს განცხადებით, თბილისში გამართულმა საღამომ მას ნათლად დაანახა, როგორ უყვართ ქართველებს იტალიური კულტურა და როგორი ახლობელია მათთვის იტალიური სამყარო.

"ვფიქრობდი, რომ ეს გამოფენები და კონცერტები ჩემი საჩუქარი იქნებოდა ქართველი ხალხისადმი. სინამდვილეში ქართულმა საზოგადოებამ მომიძღვნა საჩუქარი, თავისი თბილი დამოკიდებულებითა და დიდი ინტერესით იტალიური ხელოვნებისადმი," - განაცხადა რომანომ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდი

დღეს თბილისში ოფიციალურად დაარსდება "მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდი". "ფონდი არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედთა ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. რადგან თეატრი სინთეზური ხელოვნებაა, იგი ყველა დარგის განვითარებაზეა დამოკიდებული. ფონდის საქმიანობის მიზნებია: მიხეილ თუმანიშვილის მემკვიდრეობის დაცვა, საქართველოში თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისთვის ხელის შეწყობა, ახალგაზრდული სტუდიების შექმნა და მათი ჩართვა საერთაშორისო პროექტებში", - განაცხადა "თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის" თავმჯდომარემ მანანა ანთაძემ.

მისივე თქმით, უახლოეს მომავალში ფონდის საქმიანობა ფართოდ გაიშლება. მზად არის პროექტები, რომელთა განხორციელებასაც ფონდი უახლოეს მომავალში აპირებს. "პირველ რიგში, განხორციელდება ამერიკულ-ქართული პროექტი AGICR - კულტურათა ურთიერთობის ამერიკულ-ქართული ინიციატივა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს ამერიკელი რეჟისორის საქართველოში ჩამოსვლას და ამერიკული პიესის დადგმას, ხოლო მეორე ნაწილი - ქართული თეატრის ჩასვლას ამერიკაში და სპექტაკლების ჩვენებას ნიუ იორკსა და ვაშინგტონში. მზად არის პროექტები სხვადასხვა კონკურსების შესახებ. იგეგმება მჭიდრო ურთიერთობების დამყარება საფრანგეთთან და ბალტიის ქვეყნებთან. ფონდის საქმიანობას სრულად 28 მარტს დაგეგმილ პრეზენტაციაზე განვსაზღვრავთ", - განაცხადა მანანა ანთაძემ.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## მორიგი ბიზნესფორუმი ვენაში



B2

## ამერიკული საფონდო ბირჟა ფედერალური სარეზერვო ფონდის სხდომას ელის

## Bertelsmann-მა Sony BMG-ში წილის გაყიდვა გადაწყვიტა

## Hyundai ქარხანას ჩეხეთში ააშენებს

B3

## როგორი უნდა იყოს ელექტროენერგიის ტარიფი



B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2981 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0088 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8280 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8500 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1193 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2934 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3189 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1887 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,3991 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3515 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3581 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1549 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1659 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,2004 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2546 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3906 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5656 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1355 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3880 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,4072 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2745 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5603 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6141 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0656 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1276 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4068 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5690 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,5136 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6104 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8286 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2571 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1431 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4418 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2340 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3883 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0763 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2277 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2356 |



# პოლიტიკა ღვინის თანხლებით

B2

დიანა ჩაჩუა

*ღვინის ქართველ მწარმოებელს რუსეთმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა. რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ადამიანის კეთილდღეობის სფეროში ზედამხედველობის ფედერალურმა სამსახურმა 27 მარტიდან საქართველოდან და მოლდოვადან რუსეთში ღვინის შეტანაზე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნების მოქმედება შეწყვიტა. როგორც სამსახურის ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს წერილშია ნათქვამი, მოლდოვადან და საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე შეტანილი ღვინო და ღვინომასალები რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება.*

GWS და "თბილღვინო" ღვინის მწარმოებელი ის ქართული კომპანიები არიან, რომელთა გაყიდვების 50 პროცენტი სწორედ რუსეთის ბაზარზე მოდის. შესაბამისად, ამ კომპანიებში, რუსეთის მხრიდან სიტუაციის მოუგვარებლობის შემთხვევაში, სერიოზულ ფინანსურ ზარალს ელიან.

იმ მოსაზრებას, რომ ამ მოვლენას პოლიტიკური ელფერი დაკრავს, ქართველი ღვინის მწარმოებლები და ხელისუფლების წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. **"ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსული არაყი, ადგილზე წარმოებული ღვინოები (თუნდაც, რუსული) და სხვა უცხოური სასმელები არანაკლებ ფალსიფიცირებულია. თუმცა რუსეთმა მაინცდამაინც მოლდოვა და საქართველო აირჩია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ეჭვი, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, უფრო საფუძვლიანი ხდება,"** - განაცხადა კომპანია GWS-ის მარკეტინგის მენეჯერმა ლევან კობერიძემ "24 საათთან" საუბარში.



- რუსეთმა 27 მარტიდან საქართველოდან და მოლდოვადან ღვინის შეტანაზე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნების მოქმედება შეწყვიტა.
- GWS და "თბილღვინო" ღვინის მწარმოებელი ის ქართული კომპანიები არიან, რომელთა გაყიდვების 50 პროცენტი სწორედ რუსეთის ბაზარზე მოდის.
- ქართული კომპანიები რუსეთის მხრიდან სიტუაციის მოუგვარებლობის შემთხვევაში, სერიოზულ ფინანსურ ზარალს ელიან.
- არაოფიციალური ინფორმაციით, რუსეთში უკვე უკრაინულ არყებთან დაკავშირებითაც "მსჯელობენ". რუსეთის ბაზარზე ყველაზე დიდი ზრდა სწორედ ქართულ ღვინოებს (15 პროცენტით) და უკრაინულ არყებს (40 პროცენტით) აქვთ.

# ორი სტივის პირმშო

## Apple-ის ნოვატორული მილიარდები

მათი პირველი ერთობლივი პროექტი კომპიუტერებთან არ ყოფილა დაკავშირებული. 1972 წელს ვოზნიაკს ხელში ჩაუვარდა ჰაკერული მოწყობილობის, Bluebox-ის სქემა, რომლის საშუალებით მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უფასოდ დარეკვა შეიძლებოდა. მას ბევრი არ უფიქრია, სქემის მეშვეობით ახალი ტიპის ხელსაწყო ააწყო და რამდენიმე კვირის განმავლობაში სად აღარ დარეკა. ალბათ, ამგვარი გართობა მალე მობეზრდებოდა, საქმეში გამჭრიახი ჯობსი რომ არ ჩარეულიყო. იგი უმალ მიხვდა, რომ ფულის შოვნის მშვენიერი შანსი ჰქონდათ.







B3

გოჩა ქიმუცაძე

*შვიდფერა ვაშლის გამოსახულებით დამშვენებული კომპიუტერები, კარგა ხანია, იშვიათობას არ წარმოადგენს. მათ უკვე ყველგან შეხვდებით. მაღალმა ხარისხმა, საიმედოობამ, ელეგანტურმა დიზაინმა და მისაღებმა ფასებმა კომპანია Apple-ი მთელს მსოფლიოში კომპიუტერების ერთ-ერთ წამყვან მწარმოებლად აქცია.*
*კომპანიის მიერ გამოშვებული კომპიუტერების გაყიდვამ განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში იმატა. კერძოდ, 2005 წლის განმავლობაში 75 პროცენტით მეტი Apple-ის კომპიუტერი გაიყიდა, ვიდრე 2004 წელს. შედეგად, გასული ფინანსური წლის ბოლო კვარტალში, 3,53 მილიარდი დოლარის ოდენობის ფინანსური ბრუნვის პირობებში, კომპანიის მოგებამ 320 მილიონი დოლარი შეადგინა.*

## გაზის ტარიფის სუბსიდირებას 30 მილიონი ლარი მოხმარდა

ცენტრალური ბიუჯეტიდან ელექტროენერგიისა და გაზის სექტორის სუბსიდირებისათვის გამოყოფილი 100 მილიონი ლარიდან 30 მილიონი ლარი გაზის ტარიფის სუბსიდირებას მოხმარდა. კერძოდ, აღნიშნული თანხა საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის მიერ შესყიდული გაზის ტარიფის სუბსიდირებაზე დაიხარჯა, რომელიც მიმდინარე წლის იანვრიდან ხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ კომპანია "გაზპრომის" მიერ საქართველოსათვის მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გაორმაგების შემდეგ, რაც 1000 კუბურ მეტრზე 110 დოლარს შეადგენს, გაზის სამომხმარებლო ტარიფი 7,6 თეთრით გაიზარდა. კერძოდ, საქართველო ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) 2005 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, კუბური მეტრი გაზის საფასური თბილისში 26,55 თეთრიდან 34,2 თეთრამდე, ხოლო რეგიონებშიც, შესაბამისად, 29 პროცენტით გაიზარდა.

სწორედ ძველ და ახალ ტარიფებს შორის სხვაობას აფინანსებდა ენერგეტიკის სამინისტრო, რისთვისაც მან სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი ასიგნებებიდან 30 მილიონი ლარი გაიღო. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, თუ როდიდან მოუწევს მოსახლეობას გაზრდილი ტარიფის გადახდა, უახლოეს დღეებში გადაწყდება.

სემეკის 2005 წლის 29 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობისათვის გაზის ტარიფის სუბსიდირება მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე უნდა განხორციელდეს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## მორიგი ბიზნესფორუმი ვენაში

28 მარტს, ვენაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ქართულ-ავსტრიული ბიზნესფორუმი გაიმართება. ფორუმზე სიტყვით გამოვლენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი. ასევე, ქართული მხრიდან ბიზნესფორუმზე წარმოდგენილნი იქნებიან შემდეგი კომპანიები: "ჯჯრს", "ვაზიანი", "თბილისის მარანი", "სამგორი ჯგუფი", "საქართველოს ბანკი", "თიბისი ბანკი" და "წყალი მარგებელი".

როგორც საქართველოს პრემიერის აპარატში განაცხადეს, ბიზნეს-საბჭოს სესიაზე ენერგეტიკის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის და საბანკო სექტორების შესახებ მოხსენებებით გამოვლენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე არჩილ მამათელაშვილი, სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი, "სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორი ჯო კორბეტი, "სილ ქროუდ გრუფის" ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ბორგერი, ასევე, "თი-ბი-სი ბანკისა" და "ბანკ რესპუბლიკის" წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ნოღაიდელის შეხვედრები ავსტრიის პრეზიდენტ ჰანს ფიშერთან, კანცლერ ვოლფგანგ შიუსელთან, ავსტრიის ფედერალური ეკონომიკის პალატის პრეზიდენტ კრისტოფ ლაიტლისთან და ეუთოს გენერალურ მდივან მარკ პერი დე ბრიშამბოსთან.

ფორუმის დასრულების შემდეგ ქართველ და ავსტრიელ ბიზნესმენებს შესაძლებლობა ექნებათ, ორმხრივი შეხვედრები და მოლაპარაკებები გამართონ.



ზურაბ ნოღაიდელი

ამასთან, პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვა ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე. გაიმართება საქართველოს დელეგაციის შეხვედრები ავსტრიის ბიზნესწრეებთან. ნოღაიდელი, დელეგაციის თანხლებით, ოფიციალური ვიზიტით ავსტრიაში 26 მარტს გაემგზავრა და საქართველოში 30 მარტს დაბრუნდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## "მაგთიკომი" მე-3 თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირეებზე აუქციონში არ ჩაერთვება

კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში 2000 მეგაჰერც სიხშირულ დიაპაზონში მე-3 თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირეებზე სატენდერო განაცხადების მიღების ვადა 9 დღეში იწურება. როგორც კომისიის წევრმა ელისო ასანიძემ განაცხადა, ტენდერი გამოცხადებულია სიხშირეებზე, რომლის მომავალი მფლობელი კომპანია UMTS-ის ტექნოლოგიით იმუშავებს.

ეს სიხშირული დიაპაზონი ვიდეოგამოსახულების გადაცემის და ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს. როგორც მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ გურგენიძემ განაცხადა, "მაგთიკომი" ტენდერში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან კომპანიამ ამ დიაპაზონში სიხშირეები 2005 წლის აგვისტოში გამართულ აუქციონზე 20 მილიონ ლარად უკვე შეისყიდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში ნავთობმა თურქეთის მესამე სატუმბ სადგურს მიაღწია

მილსადენის კომპანია BTC Co-მ თურქეთის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მესამე მონაკვეთის შევსება დაასრულა. როგორც სააგენტო ტრენდს ნავთობსადენის ოპერატორი კომპანია BP-დან აცნობეს, მილსადენის მესამე სატუმბ სადგურამდე შევსებას 0,9 მილიონი ბარელი ნავთობი დაჭირდა. დღეისათივს მიმდინარეობს მესამე სამუმბი სადგურის ტესტირება. თურქეთის ტერიტორიაზე მილსადენს სულ 4 ძირითადი და რიგი შუალედური სატუმბი სადგურებისა ემსახურება. კომპანიის მონაცემებით, დღეისათვის მილსადენში სულ ჩატვირთულია 6 მილიონ ბარელზე მეტი Azeri Light-ის სახეობის ტექნიკური ნავთობი. ნავთობსადენის ტექნიკური ნავთობით შევსება 2005 წლის მაისში დაიწყო. მილსადენის ბოლომდე შესავსებათ დაახლოებით 10 მილიონი ბარელი ნავთობია საჭირო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

# პოლიტიკა ღვინის თანხლებით

პირველი გვერდიდან

მოსკოვის ტერიტორიული სამმართველოს მონაცემებით, ამ ქვეყნების გამოკვლეული პროდუქციის 60 პროცენტზე მეტი დადგენილ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ წესებს და უსაფრთხოების ნორმებს არ შეესაბამება. მეტიც, ამ პროდუქციას თან არ ახლავს ინფორმაცია მისი წარმოებისას გამოყენებული პესტიციდების შესახებ. რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ადამიანის კეთილდღეობის სფეროში ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელს ალექსანდრ ჟერიხოვს სთხოვს, საქართველოში და მოლდოვაში დამზადებული ღვინის და ღვინომასალების რუსეთის ტერიტორიაზე შეტანა არ დაუშვას. **"ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო რუსეთმა მოლდოვურ ღვინოსთან დაკავშირებითაც. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ზეწოლის ასეთ მეთოდებს იყენებს. თუმცა რუსეთის ზემოხსენებული გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა,"** - ბიუროს სხდომაზე აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

ღვინის ქართველ მწარმოებლებს რუსული მხარის პრეტენზიებში ეჭვი ეპარებათ. კერძოდ, ლევან კობერიძის თქმით, აღნიშნული სამსახურის მიერ არც ერთი დოკუმენტი არ გამოქვეყნებულა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ღვინოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა და ა.შ. **"ქართული ღვინოები რუსეთშიც ისხმება. მათ ფალსიფიცირებულობაზე ეჭვი არავის ეპარება. თუმცა საუბარი არა მათზე, არამედ ექსპორტირებულ პროდუქციაზეა. ეჭვი მეპარება, რომ რუსეთის ფიტოსანიტარულ სამსახურს ღვინოების პესტიციდებზე შემოწმება ასე ოპერატიულად შეეძლოს, რადგან ეს ძალიან ძვირადღირებული პროცესია,"** - განაცხადა კობერიძემ და იქვე დასძინა, რომ "სიტუაცია დროზე თუ არ გაირკვა და ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე არ მივედით, ცუდ შედეგებს მივიღებთ. ქართული ღვინის 70 პროცენტი რუსეთში გადის. კერძოდ, ჩვენი კომპანიის პროდუქციის 50 პროცენტი რუსეთის ბაზარზე მოდის. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ღვინო ქვეყნისთვის მესამე საექსპორტო პროდუქტია..."



საინტერესოა, რომ არაოფიციალური ინფორმაციით, რუსეთში უკვე უკრაინულ არყებთან დაკავშირებითაც "მსჯელობენ". გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ბაზარზე ყველაზე დიდი ზრდა ქართულ ღვინოებს (15 პროცენტით) და უკრაინულ არყებს (40 პროცენტით) აქვთ. ამიტომ ქართველი მწარმოებლების აზრით, თუ უკრაინაში მოვლენები საქართველოს მსგავსად განვითარდება, "ეს ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება." **"არც საქართველო და არც სხვა რომელიმე ქვეყანა არ არის დაზღვეული, რომ ვინმე მართლაც ნორმების დარღვევით არ გააგზავნის ღვინოს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნიდან ღვინის ექსპორტი სრულად აიკრძალოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის,"** - "24 საათთან" საუბარში აღნიშნა "თბილღვინოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ მარგველაშვილმა.

# ეკონომიკა და ბიზნესი ძალადობას ვერ იტანს

თინა შავაძე

საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიგებშია. რა როლი აკისრია მთავრობას ეკონომიკის განვითარებაში? ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხზე დავა დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც გრძელდება. საერთაშორისო სივრცეში განსაზღვრულია ის ძირითადი ფუნქციები, რომელთა ფარგლებშიც განვითარებული ქვეყნების ხელისუფლება მოქმედებს. მათ შორისაა: კანონიერების და კერძო საკუთრების უფლების დადგენა და დაცვა; გარე დანახარჯებისა და სარგებლიანობის საკითხების მოგვარება; საბაზრო კონკურენციის უზრუნველყოფა; მომხმარებელთა დაცვა; ეკონომიკის სტაბილიზება; ეკონომიკური უსაფრთხოების ხელის შეწყობა; საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის.

ექსპერტების განმარტებით, ბაზრები თამაშის წესებს ავტომატურად არ ადგენენ. საჭიროა ნეიტრალური მხარის ჩარევა საბაზრო სისტემის სათანადო და სამართლიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, მკაფიოდ განსაზღვრული და საიმედოd დაცული საკუთრების უფლების გარეშე ადამიანები ვერ შეძლებდნენ, თავისუფლად ეწარმოებინათ გაცვლა ბაზრებზე; საკუთრების უფლებები თუ დაცული არ არის, ხალხს იმის შიში ექნება, რომ ვინმემ შეიძლება მათი სახლები, მაქანენი, ან პირადი ნივთები მიითვისოს; საზოგადოებაში, სადაც წესებს არ იცავენ, ხალხს ნაკლები სტიმული ექნება, რესურსებზე ან ინვესტირებაზე იზრუნოს; კონტრაქტების დარღვევა რომ არ ისჯებოდეს, კონტრაქტებს აღარც არავინ დადებდა.

“24 საათთან” საუბარში ექსპერტი დიმიტრი ჯაფარიძე ამბობს: **"ძალიან გაგვიჭირდება წარმატების მიღწევა, თუკი გვექნება, ერთის მხრივ, მუდმივი პრესი, სულ დამნაშავის ძიება, სკანდალები, ქონების ჩამორთმევის პრეცედენტები, მეორეს მხრივ კი, სამთავრობო დონეზე დეკლარირება იმისა, რომ მეწარმე და ინვესტიცია დაცულია. ეს ორი მიმართულება რეალურ ცხოვრებაში ერთად არ იმუშავებს. ეკონომიკა და ფინანსები ვერ იტანს ძალადობას, წყალივით არის - ვერ დაიჭერ. ქვეყანაში, სადაც ტელევიზიით აჩვენებენ, რომ ეკონომიკას ებრძვიან ავტომატით, სამთავრობო ჯიპებიდან, გარემო იმუხტება. მასმედიის საშუალებით ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, ეკონომიკის წინააღმდეგ ძალის დემონსტრირება კი ყველაზე მეტად ინვესტორზე მოქმედებს და არა იმ ვიწრო ჯგუფის ცნობიერებაზე, რომელიც შემოვლითი გზებით კონტრაბანდის შემოტანას ცდილობს."**

აშკარაა, რომ ამ ეტაპზე, მსოფლიოში არსებული კაპიტალის საქართველოში შემოსვლაზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში კაპიტალის კონცენტრაცია დიდია, მაგრამ იქაური საქმიანი წრეების ინტერესები განვითარებულ ბაზრებს უკავშირდება. დღემდე არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთლიანად დსთ-ს სივრცის ქვეყნები ვერ პასუხობს კაპიტალის მოზიდვის პირობებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ბოლო შეფასებით, საქართველოში კერძო საკუთრების უფლება დაუცველია. ცნობილია, რომ თუ ბაზარი არ ემყარება ნდობას, იგი კრახს განიცდის, ვინაიდან არ არის კოორდინაცია კრედიტორებს, საწარმოებს და შრომას შორის. მოკლედ, საკუთრების უფლებები საჭიროა თავისუფალი მეწარმეობის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ზრდისათვის. მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის და სასამართლოების მეშვეობით შეუძლია ხალხს, აუცილებელი წესებისა და ნორმების დადგენა და კერძო კონტრაქტების აღსრულება.

დსთ-ს სივრცის ქვეყნებში საკუთრების უფლება დღემდე დაუცველია. სახელისუფლებო ცვლილება ანგრევს მესაკუთრეთა ინსტიტუტს. იწყება ქონების ხელმეორე გადანაწილება. ადრინდელი მესაკუთრეები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს სიმპათიით სარგებლობდნენ, ახალი ხელისუფლების პირობებში, შიშის ფაქტორის გამო, წილებს ყიდიან და ქვეყნიდან მიდიან. ან კიდევ ცდილობენ, ახალი ხელისუფლების ყურადღების სფეროში მოექცნენ. საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ბევრ კომერციულ ბანკში მესაკუთრეები შეიცვალა. ამ ფაქტების შესახებაც ჩანაწერები საქართველოს საფონდო ბირჟაზე არსებობს. ბევრ სახელმწიფო მოხელეს ჩამოართვეს ქონება და საწარმოებმა კომერციული მნიშვნელობა დაკარგა. ორი წლის წინ ლევან კენჭაძისათვის ჩამორთმეული სასტუმრო თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დღემდე დაკეტილია. და როცა ბაზრის სანდოობაზე ვსაუბრობთ, მთავარი უარყოფითი ფაქტორი ის არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს პრეცედენტები სამეწარმეო დავებისა, რომლებიც სასამართლომ განიხილა და მესაკუთრის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა. ბუნებაში ხომ ისე არ ხდება, რომ მართალი ყოველთვის ერთი მხარეა. ქართულ სამართალში კი ასეა. ამიტომაც ამ ქვეყანაში ნაკლები სტიმული არსებობს იმისთვის, რომ ვინმე მოვიდეს და ფული დააბანდოს. არაკომფორტული და არასანდო ბაზარი იმ პირებს დააინტერესებთ, რომლებმაც ასეთ გარემოში კაპიტალი დააგროვეს და ადაპტაცია არ უჭირთ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ საქართველოში კაპიტალის ჩადებით, ძირითადად, ყაზახები, რუსები, უკრაინელები ინტერესდებიან.

## მთავრობა მენაშენეებს თამაშის ახალ წესებს სთავაზობს

შენობა-ნაგებობების ექპლუატაციაში გაშვების პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინიციატივა, რომელიც მთავრობის სხდომაზე ამ კვირაში განიხილება.

პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განუცხადა, რომ მოქმედი კანონმდებლობით ნებისმიერი ნაგებობის დაპროექტებიდან მის ექპლუატაციაში გაშვებამდე მენაშენეს რამდენიმე ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა უწევს.

მისი განმარტებით, ლიბერალური კანონმდებლობა უზრუნველყოფს საქართვლოში სამშენებლო ბიზნესის განვითარებას, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აშკარად შესამჩნევია. სამშენებლო დარგი მზარდი სექტორია. 2005 წელს წინა წელთან შედარებით ზრდის მაჩვენებელმა 23% შეადგინა. 2005 წელს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) სამშენებლო ბიზნესის წილი 9%-ით განისაზღვრა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**



ირაკლი ჩოგოვაძე



## დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლებისა და ტერორიზმის დაფინანსების ლეგალიზების საწინააღმდეგო ევრაზიულ ჯგუფს

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ევრაზიული ჯგუფის (EAG) თავმჯდომარეს ვიქტორ ზუბკოვს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მას რუსეთის საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის უკანონო საბანკო დაწესებულებებთან კონტაქტების აღკვეთისათვის შესაბამისი ზომების გატარებისაკენ მოუწოდა.*



რომან გოცირიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა EAG-ის განსაკუთრებული როლი ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლასა და ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებაში. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანონო საბანკო და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირების ფაქტებზე.

აფხაზეთის ე.წ. საბანკო სისტემა ფუნქციონირებს აბსოლუტურად დამოუკიდებლად და იგნორირებას უკეთებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და ნორმებს. მათ შორის, ბანკების ლიცენზირება-ინსპექტირებისა და ზედამხედველობის ნორმებს, არაკანონიერი შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პრინციპებს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიისა და საქართველოს კანონმდებლობის ნორმების დაქვემდებარების გარეშე ფუნქციონირებადი, აფხაზეთის ბანკები არაკანონიერი ფორმირებებია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის ე.წ. ბანკებს დამყარებული აქვთ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის საფინანსო სტრუქტურებთან. მათი დახმარებით აფხაზეთში არაკანონიერად მოქმედ ბანკებს შეუფერხებლად და უკონტროლოდ შეუძლიათ ნებისმიერი მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, საერთაშორისო ფულადი ტრანზაქციების ჩათვლით.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კომერციული ბანკების გარდა, რუსეთის საფინანსო სტრუქტურებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ე.წ. "აფხაზეთის ეროვნულ ბანკს", რომელსაც კრასნოდარის მხარის "კრაიინვესტბანკში" არაერთი ანგარიში აქვს გახსნილი. "აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ე.წ. ნორმატიული აქტები აბსოლუტურად არაეფექტურია. ისინი არ შეიცავენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის დებულებებს, რაც სხვადასხვა სახის ფინანსური მაქინაციების, უკონტროლო საერთაშორისო ფულადი ტრანზაქციების და სხვათა განხორციელებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთი დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების თვალსაზრისით კრიმინალური სტრუქტურებისათვის ერთ-ერთი მიმზიდველი რეგიონია. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთში შექმნილ საერთო კრიმინოგენულ ვითარებას, რომელიც ისეთი სამართალდარღვევების სიუხვით ხასიათდება, როგორიცა უკანონო პრივატიზაცია, კონტრაბანდა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანთა გატაცებაა, მათ შორის, აფხაზეთის მეზობელი რაიონებიდან," - აღნიშნულია წერილში.

რომან გოცირიძე მიმართავს EAG-ის თავმჯდომარეს, მიიღოს ზომები რუსეთის საფინანსო ინსტიტუტების თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის უკანონო საბანკო დაწესებულებებთან კონტაქტების აღსაკვეთად, რომლებიც პრობლემებს უქმნის როგორც საქართველოს და რუსეთს, ასევე ევრაზიული ჯგუფის მუშაობაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## ბათუმი-ერევანის სარკინიგზო მიმოსვლა საკურორტო სეზონისთვის დაიწყება

ბათუმი-ერევანი-ბათუმის სამგზავრო სარკინიგზო მიმოსვლა საკურორტო სეზონზე, 15 ივლისისათვის დაიწყება. ამის შესახებ შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა. მისი თქმით, ბათუმი-ერევანის მიმოსვლას დღე-


*ირაკლი ეზუგბაია*

გამოშვებით განახზორციელებს ორი 7-ვაგონიანი შემადგენლობა სომხური და ქართული მხრიდან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## აზერბაიჯანი შეღავათიანი საგადასახადო სისტემის შექმნას გეგმავს

აზერბაიჯანის ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით აზერბაიჯანის მთავრობასაგადასახადო შეღავათებს შემოღებას გეგმავს. ამის შესახებ ბაქოში ჟურნალისტებს საგადასახადო სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკისა და სტრატეკიული კვლევების მთავარი სამმართველოს უფროსმა აკიფ მუსაევმა განუცხადა.

იშემლის შაქრის ქარხნის გახსნაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ქვეყანაში იმ უცხო-


*ილჰამ ალიევი*

ული ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათების შემოღების შესახებ ისაუბრა, რომელთაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თავისი საქმიანობის წარმოება სურთ.

მუსაევის თქმით, ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების თანაბარ პირობებში დაბეგვრა. ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. მეორეს მხრივ, უცხოელი პარტონიორები უპირველესად სტაბილური საგადასახადო პოლიტიკით არიან დაინტერესებული.

"აზერბაიჯანის საგადასახადო კანონმდებლობაში მხოლოდ ტარიფები იცვლება, ისიც დაწევის მიმართულებით. ეს დადებითი ფაქტორია და აზერბაიჯანში უცხოურ ინვესტიციებს სტიმულს აძლევს," - განაცხადა მუსაევმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## თანხა სომხეთის იპოთეკური კრედიტების ბაზრის განვითარებისთვის

სომხეთის იპოთეკური ბაზრის განვითარების მიზნით აზიის განვითარების ბანკი თანხის გამოყოფას გეგმავს. როგორც სააგენტო "ნოიან ტაპანს" სომხეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, სომხეთი აზიის განვითარების ბანკში 2005 წლის სექტემბერში გაწევრიანდა. დღეისათვის ბანკის წევრი 64 სახელმწიფოა. ბანკის კაპიტალში უდიდესი წილი აშშ-სა და იაპონიაზე მოდის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

# ორი სტივის პირმშო

## Apple-ის ნოვატორული მილიარდები

პირველი გვერდიდან

### ჰაკერობიდან კომპანიონობამდე

სტივ ჯობსი და სტივ ვოზნიაკი ჯერ კიდევ სკოლაში დამეგობრდნენ. ორივეს ელექტრონიკის მიმართ სიყვარული და მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლის ვარდისფერი ოცნება გამოარჩევდა. ბიჭები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ ვოზნიაკი ბუნებით ალტრუისტი იყო, ჯობსი კი ბევრი ფულის შოვნისა და ფუფუნებისაკენ ილტვოდა.

მათი პირველი ერთობლივი პროექტი კომპიუტერებთან არ ყოფილა დაკავშირებული. 1972 წელს ვოზნიაკს ხელში ჩაუვარდა ჰაკერული მოწყობილობის, Bluebox-ის სქემა, რომლის საშუალებით მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უფასოდ დარეკვა შეიძლებოდა. მას ბევრი არ უფიქრია, სქემის მეშვეობით ახალი ტიპის ხელსაწყოააწყო და რამდენიმე კვირის განმავლობაში სად აღარ დარეკა. ალბათ, ამგვარი გართობა მალე მობეზრდებოდა, საქმეში გამჭრიახი ჯობსი რომ არ ჩარეულიყო. იგი უმალ მიხვდა, რომ ფულის შოვნის მშვენიერი შანსი ჰქონდათ.

მეგობრები საქმეს შეუდგნენ: დეტალები შეიძინეს, აპარატები დაამზადეს და თითო 150 დოლარად გაყიდეს. დაახლოებით 200-მდე რომ გაასაღეს და 2000 დოლარამდე მოგება ძმურად გაიყვეს, ბიზნესის შეწყვეტა მოუხდათ, რადგან მათი საქმიანობით პოლიცია დაინტერესდა. კალიფორნიელ სამართალდამცავებს რომ მეტი გონიერება გამოეჩინათ, Apple-ზე, ალბათ, ველარ ვისაუბრებდით, მაგრამ ორივე სტივი გადარჩა და მალე ხელი სერიოზულ საქმეს მოჰკიდეს. კერძოდ, ვოზნიაკმა "ჰიულიტ პაკარდში" ინჟინრად მუშაობა დაიწყო, ჯობსი კი ელექტრონიკის და ვიდეოთამაშების მსხვილ კომპანია "ატარში" მოეწყო.

ორი სტივის შემდგომ ერთობლივ პროექტად ვიდეოთამაში "ბრექაუთი" იქცა, რომლის დამზადება ჯობსს დაავალეს. საქმე რომ სწრაფად გაეკეთებინა, მან მეგობარ ვოზნიაკს უხმო და მიღებული თანხის ნახევარი, 350 დოლარიც მისცა, თუმცა, ვიდეოთამაშის სწრაფად და ხარისხიანად დამზადებისათვის პრემიის სახით მიღებულ 5000 დოლარზე სიტყვა არ დასცდენია. მოგვიანებით ვოზნიაკმა ჯობსის სიმუხთლის შესახებ შეიტყო, მაგრამ დიდად არ განაწყენებულა. მას ხომ, როგორც აღვნიშნეთ, ფული ნაკლებად აინტერესებდა.

ალტრუისტი ვოზნიაკი ბედნიერი იყო, რადგან დიდი ხნის ოცნება აისრულა და სახლში პერსონალური კომპიუტერი ააწყო. იმ პერიოდში უბრალო კალკულატორებიც კი ძალიან ძვირად ფასობდა, პერსონალური კომპიუტერი კი დიდი იშვიათობა იყო და, სულ მცირე, 3000 დოლარამდე ღირდა. თუმცა, ვოზნიაკს კომპიუტერის აწყობა ბევრად იაფი დაუჯდა, მას ხომ ელექტრონული სქემების მინიმალური ელემენტებით შექმნის საოცარი ტალანტი გააჩნდა. თანაც, ჯობსიც გვარიანად დაეხმარა, რომელმაც ბევრი ნაწილი "ატარიდან" მოიპარა.

მაშინ ორ სტივს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ვოზნიაკის საძინებელ ოთახში დაპროექტებული და გარაჟში აწყობილი ეს უზარმაზარი ყუთი, რომელსაც 1 მეგაჰერცი სიხშირის პროცესორი და 4 კილობაიტი ოპერატიული მეხსიერება ჰქონდა, ახალი იმპერიის საფუძველი იყო. სხვათა შორის, ამ დროს კიდევ ერთხელ შეიძლებოდა Apple-ი არ დაარსებულიყო. საქმე ის გახლდათ, რომ ვოზნიაკმა თავისი პროექტი კიდევ უფრო გააუმჯობესა და "ჰიულიტ პაკარდის" ბოსებს წარუდგინა, მაგრამ მათ ყურადღებაც არ მიაქციეს. სამაგიეროდ, ჯობსმა პერსპექტივის სუნი უმალ იყნოსა, თავისი "ფოლკსვაგენი" გაყიდა, ვოზნიაკი დაითანხმა, თავის მანქანას მეგობრის პროგრამული კალკულატორი მიაყოლა და სიჭირო მასალების და მყიდველების ძებნას შეუდგა. თან, "ატარიდან" მეგობარი რონ ვეინი მოიწვია, რომელიც საჭირო დოკუმენტაციის და ლოგოტიპის მომზადებას შეუდგა.


*სტივ ჯობსი და სტივ ვოზნიაკი ჯერ კიდევ სკოლაში დამეგობრდნენ.*





### პირველი ნაბიჯები და პირველი მილიონები

1976 წლის 1 აპრილს ჯობსმა, ვოზნიაკმა და ვეინმა ოფიციალურად დაარეგისტრირეს კომპანია, რომელსაც ჯობსის ინიციატივით Apple დაარქვეს. ამგვარ მონათვლას ძალიან მარტივი მიზეზი ჰქონდა: მეგობრებს სურდათ, მათი კომპანია სატელეფონო ცნობარში "ატარიზე" წინ ყოფილიყო.

მოხერხებულმა ჯობსმა 50 პოტენციური მყიდველი მალე იპოვნა, რომლებსაც Apple-ის კომპიუტერები 500 დოლარად შესთავაზა. ამასთან, იგი დეტალების მთავარ მომწოდებელს 15 ათასი დოლარის ოდენობის ერთთვიან კრედიტზე მოურიგდა. ჯობსის რისკიანმა ნაბიჯმა ბუნებით ფრთხილი ვეინი დააფრთხო და მან კომპანიაში თავისი 10 პროცენტი წილი ორ სტივს, სულ რაღაც, 800 დოლარად მიჰყიდა. რაც ალბათ, შემდეგ სასტიკად ინანა.

ჯობსმა და ვოზნიაკმა კი Apple 1-ის მოდელის 50 კომპიუტერი 29 დღეში (!) ააწყვეს. ამ წარმატებამ ჯობსს ახალ, ამბიციურ გეგმაზე ფიქრი დააწყებინა, რომლისთვისაც უკვე გაცილებით დიდი თანხა სჭირდებოდათ. ამ დროს მათ ბედმა გაუღიმა.

Apple 1-ის პირველი პარტიის სწრაფად გაყიდვამ ჯობსი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იაფ პერსონალურ კომპიუტერზე უდავოდ დიდი მოთხოვნა იქნებოდა. "ატარში" მუშაობისას მან ბევრი საჭირო ნაცნობი შეიძინა, რომლებმაც იგი მილიონერ არმას კლიფ მარკულას წარუდგინეს. სტივების მსგავსად, თავის დროზე, ისიც ინჟინერი იყო, თუმცა შემდეგ მენეჯმენტზე გადაერთო და ჯერ "ფარჩილდ სემიკონდუქტორში" მუშაობდა, შემდეგ კი - "ინტელში". სწორედ "ინტელში" დააგროვა მან გვარიანი კაპიტალი, რომელიც შემდეგ წარმატებით დააბანდა.

მარკულა Apple-ის პერსპექტივას უმალ ჩაწვდა, კომპანიაში 90 ათასი დოლარი ჩადო და ბანკიდან კიდევ 250 ათასის კრედიტი გამოიტანა. ამასთან, მისი ინიციატივით 1977 წელს Apple სააქციო საზოგადოებად იქცა.

ამავე პერიოდში ვოზნიაკმა დაამთავრა ახალი, Apple 2 ტიპის კომპიუტერზე მუშაობა. იგი სიმძლავრით თავისი წინამორბედისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მაგრამ, მანქანას მაღალი ხარისხის ფერადი გამოსახულების ჩვენება შეეძლო და, რაც მთავარია, მისი ნებისმიერ ფერად ტელევიზორთან მიერთება შეიძლებოდა. ამის გამო Apple 2, ადრინდელ მოდელთან შედარებით, გაცილებით ძვირი, 1300 დოლარი ღირდა. მაგრამ პერსონალურ კომპიუტერებზე დიდი მოთხოვნა არსებობდა, Apple 2 მშვენივრად იყიდებოდა და მისი გამოშვებიდან 3 წლის შემდეგ, კერძოდ კი, 1980 წელს კომპანიის ფინანსურმა ბრუნვამ 10 მილიონ დოლარს მიაღწია.

პარალელურად, კომპანიამ შეიმუშავა ორი ახალი მოდელი: Apple 3 და Apple Lisa. ჯობსის გადაწყვეტილებით, ფირმამ თანდათანობით უარი თქვა ლოზუნგზე "იაფი კომპიუტერები ყველასათვის". Apple 3, რომელიც საკმაოდ ძლიერი კომპიუტერი იყო, უკვე 4500-7000 დოლარი ღირდა. სამწუხაროდ, წარმატებით თავბრუდახვეული ჯობსი ნოვაციების ფრქვევაში გაერთო, თანაც, გვერდით აღარ ჰყავდა ვოზნიაკიც, რომელიც ავტოავარიაში მძიმედ დაშავდა და კომპანიიდან წავიდა. ჯობსის ბრძანებით, კომპანიის ინჟინრებმა ძალიან დააპატარავეს Apple 3-ის კორპუსი, შიგნით ვენტილიატორები არ მოათავსეს და კომპიუტერები რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ ფუჭდებოდა. ეს კატასტროფა იყო და, მარკულას ინიციატივით, კომპანიის დირექტორთა საბჭომ ჯობსი Apple Lisa-ს წარმოებას ჩამოაშორა.

### მაუსის და მაკინტოშის ნოვატორი

პირველი "ლიზა" 1983 წელს გამოვიდა. ეს კომპიუტერი ტექნიკური სრულყოფილების ჭეშმარიტი განსახიერება გახლდათ. მას 5 მეგაჰერცი სიხშირის პროცესორი, 1 მეგაბაიტი ოპერატიული მეხსიერება, 871 კილობაიტის ტევადობის, გაუმჯობესებული დისკის მოხმარების უნარი, პარალელური პორტი და, რაც მთავარია, ორი რევოლუციური სიახლე: გრაფიკული ინტერფეისი და მაუსი

გამოარჩევდა. მაგრამ მისმა ფასმა, რომელიც 9995 დოლარი გახლდათ, მყიდველები დააფრთხო. გარდა ამისა, "ლიზა" საკუთარი, "ლოს" ოპერატიული სისტემით მუშაობდა, რაც მას Apple-ის სხვა კომპიუტერებისადმი შეუთავსებადს ხდიდა.

კომპანიის ხელმძღვანელობის შემდეგი ნაბიჯი შედარებით იაფი კომპიუტერის გამოშვება გახლდათ. ამგვარად, ერთი წლის შემდეგ გაყიდვაში გამოვიდა Apple Lisa 2, რომელიც, წინამორბედთან შედარებით, ორჯერ იაფი იყო. მალე მას მოჰყვა Apple Macintosh, რომელმაც "ლიზა 2" სრულიად დაჩრდილა.

ბევრი "მაკინტოშის" მამებად ორ სტივს მიიჩნევს, მაგრამ ეს შეცდომა გახლავთ. როგორც გითხარით, 1981 წელს ვოზნიაკი ავტოავარიაში მოყვა, ჯობსს კი Apple 3-ის ჩავარდნამ პრობლემები შეუქმნა.

ამ მოვლენებამდე 5 წლით ადრე კომპანიაში მუშაობა დაიწყო პროფესორმა და კომპიუტერულმა კონსულტანტმა ჯეფრი რასკინმა. თავდაპირველად იგი ვიდეოთამაშების შექმნაზე მუშაობდა, შემდეგ კი დირექტორთა საბჭოს "ყველასათვის მარტივი და იაფი კომპიუტერის" შექმნის იდეა გააცნო, რომელსაც მან "მაკინტოში" დაარქვა,. მისი იდეური მოწინააღმდეგე ჯობსი იყო, რომელსაც ძვირფასი და ძლიერი კომპიუტერების გამოშვება სურდა. მას შემდეგ, რაც ჯობსის პოზიციები შეირყა, რასკინს თავისუფლება მიეცა, მან "მაკინტოშზე" მუშაობა წარმატებით დაიწყო, თუმცა, რატომღაც, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და 1982 წელს კომპანიიდან წავიდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რასკინის საქმე მისმა იდეურმა მტერმა ჯობსმა გააგრძელა. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ პირველმა "მაკინტოშმა" "ლიზას" ყველა ნოვაციური სიკეთე შეინარჩუნა და, თანაც, საკმაოდ იაფი, 500 დოლარი ღირდა.

დიდი წარმატების შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ კომპანიამ მუშაობა ამ მიმართულებით გააგრძელა. 1987 წელს გამოვიდა "მაკინტოშ 2", თუმცა ორი წლით ადრე Apple-მა მსოფლიო საორცარი ნოვაციებით გააოგნა.

სწორედ Apple-მა "მაიკროსოფტთან" ერთად 1985 წელს გამოუშვა პირველი ელექტრონული ცხრილი Exel for Macintosh, რომლის ვერსია სხვა სისტემის პერსონალური კომპიუტერებისთვის მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოვიდა. ამ ნოვაციას მოჰყვა პროგრამების Macintosh Aldus PageMaker-ის და LaserWriter -ის გამოშვება, რომლებმაც საგამომცემლო საქმეში გადატრიალება მოახდინა და Apple-ს დიდძალი მოგება მოუტანა.

1986 წელს Apple-მა გამუშვა SCSI ინტერფეისის მქონე პირველი კომპიუტერი "მაკინტოშ პლუს", რომელთან ერთად შეიქმნა იეროგლიფებთან სამუშაო პროგრამა KadjiTalk. ამგვარად კომპანიამ აზიური ბაზრის დაპყრობა შეძლო.

ასე რომ, Apple-ის ბრუნვამ თანდათანობით იმატა და 1998 წელს კომპანიამ მეტი კომპიუტერი გაყიდა, ვიდრე თვით IBM-მა. 1990 წელს ბაზარზე გამოვიდა იმ დროისათვის უსწრაფესი და უძვირესი კომპიუტერი Macintosh 2fx, რომელიც 10 ათასი დოლარი ღირდა. მას მოჰყვა იაფი, ულტრაბრტყელი კორპუსის მქონე Macintosh CL, რომელიც ბაზარზე საოცარი მოთხოვნილებით სარგებლობდა. შემდგომ წლებში მსოფლიო ბაზარი Apple-ის ნოუთბუქებმა დაიპყრო.

1997 წელს კომპანიას სათავეში კვლავ სტივ ჯობსი ჩაუდგა. მან არჩეული კურსი გააგძელა, Apple მომხმარებელს გამუდმებით ათასგვარ სიახლეს სთავაზობს. იმიტომაც არის, რომ ბაზრის დაახლოებით 37 პროცენტს აკონტროლებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოსავალიც წლიდან წლამდე იზრდება.

## ამერიკული საფონდო ბირჟა ფედერალური სარეზერვო ფონდის სხდომას ელის

ორშაბათს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე მთავარი საფონდო ინდექსების სხვადასხვამხრივი ცვლილება დაფიქსირდა. კერძოდ, თბილისის დროით 18.33-ისათვის Dow Jones Index 0,17 პროცენტით 11.260,84-მდე შემცირდა, ხოლო ტექნოლოგიური სექტორის ინდექსი Nasdaq 0,07 პროცენტით გაიზარდა და 2.314,38 პუნქტს მიაღწია.

ანალიტიკოსთა აზრით, ამის მიზეზი ინვესტორთა გაურკვევლობაში ყოფნაა, რომლებიც ფედერალური სარეზერვო ფონდის დღევანდელ თათბირს ელიან. ეს სხდომა პირველი იქნება, რომელიც ბენ ბერნანკეს ხელმძღვანელობით გაიმართება და იგი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკას მიეძღვნება.

სავარაუდოდ, ფედერალური სარეზერვო ფონდის ოპერაციათა კომიტეტი საკრედიტო პოლიტიკას კიდევ უფრო გაამკაცრებს და წლიურსაპროცენტო განაკვეთს ზედიზედ მეთხუთმეტედ, 4,5 პროცენტიდან 4,75 პროცენტამდე გაზრდის.

*28 მარტი. 01:00.*










## Bertelsmann-ma Sony BMG-ში წილის გაყიდვა გადაწყვიტა

გერმანულმა მედია-კონგლომერატმა Bertelsmann-მა ხმის ჩამწერ ფირმა Sony BMG-ში თავისი 50-პროცენტიანი წილის და მისი კუთვნილი მუსიკალური გამომცემლობის მთლიანად გაყიდვა გადაწყვიტა. ამგვარად გერმანელებს საფონდო ბირჟაზე ლისტინგის თავიდან აცილება სურთ.

ბელგიელი ფინანსისტის ალბერტ ფრერის საკუთრებაში მყოფმა საინვესტიციო ფირმამ Groupe Bruxelles Lambert (GLB) მისი კუთვნილი Bertelsmann-ის, რომელიც უკვე 170 წელია დახურული ტიპის კომპანიაა, აქციების ბირჟაზე გატანა გადაწყვიტა. Bertelsmann-ის ხელმძღვანელობას კი მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამო აქციების საჯაროდ გატანა არ სურს. ამიტომაც გერმანული კონგლომერატი BMG-ში თავისი წილის გაყიდვას და მიღებული შემოსავლით GLB-ის კუთვნილი 25 პროცენტის შეძენას აპირებს. Sony BMG-ში Bertelsmann-ის 50-პროცენტიანი წილი და მუსიკალური გამომცემლობა 3,5-4 ევროდ, GBL-ის კუთვნილი Bertelsmann-ის 25 პროცენტი კი 5 მილიარდ ევროდაა შეფასებული.

## Hyundai ქარხანას ჩეხეთში ააშენებს

სამხრეთკორეულმა ავტოგიგანტმა Hyundai Motor-მა ჩეხეთში ახალი ქარხნის აშენება გადაწყვიტა. სავარაუდოდ, ქარხანა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ოსტრავას გარეუბანში აშენდება. ჩეხეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მილან ურბანის თქმით, პროექტის ღირებულება დაახლოებით მილიარდ ევრომდე (1,2 მილიარდი დოლარი) იქნება. Hyundai-ს წარმომადგენლებმა ჩეხეთის ხელისუფლებასთან საგადასახადო შეღავათებთან, სამუშაო ადგილების შექმნაში დახმარებასთან და სამომავლოდ დამატებითი ინვესტირების წახალისებასთან დაკავშირებული საკითხები წარმატებით შეათანხმეს. ახალი ქარხანა სამხრეთკორეული ავტომშენებლის მიერ ევროპული ბაზრის ათვისებას ძალიან წაადგება.



# "კავკასიონი" დაცხრილეს

*გუშინ "მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" საბოტაჟი განხორციელდა, რაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებაში მომხდარი ბუნტის გამოძახილია," - ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გააკეთა განცხადება. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზი ერთ-ერთი ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო, რომელიც "ენგურჰესის" გაჩერების შემდეგ შექმნილ ელექტროენერგიის დეფიციტს შეავსებდა.*

დილის 6 საათზე, მაშინ, როდესაც თბილისის ციხეებში ბუნტი მიმდინარეობდა, "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის 190-ე ანძა ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანდა. დამტვრეულია იზოლატორები და დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზის სადენები. ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, დაზიანების ლიკვიდაცია, სავარაუდოდ, დღენახევარში დასრულდება.

როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, დივერსიამდე "კავკასიონის" საშუალებით რუსეთიდან 20 მეგავატი ენერგიის იმპორტი ხორციელდებოდა. თუმცა ცნობილია, რომ დღეს საღამოსთვის იმპორტის 200 მეგავატამდე გაზრდა იგეგმებოდა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ენერგია ერთ-ერთი ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო, რომელიც "ენგურჰესის" გაჩერების შემდეგ შექმნილ ელექტროენერგიის დეფიციტს შეავსებდა. **"მომხდარის მიუხედავად, ქვეყნის ელექტრომომარაგება შეუზღუდავად ხორციელდება. ჩართულია მე-9 და მე-4 ენერგობლოკები. მუშაობს გაზოტურბინაც,"** - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა. მისივე ინფორმაციით, მომხდარი დივერსია "ენგურჰესზე" დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ შეაფერხებს. **"თუ რაიმე დამატებითი პრობლემები არ შეიქმნა, გეგმის თანახმად, "ენგურჰესი" დღეს გაჩერდება,"** - განაცხადა მინისტრმა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისთვის "ენგურჰესის" გამორთვა 4 თვით 28 მარტიდან გადაწყდა. სამინისტროს ინფორმაციით, სადგურის გაჩერება ჰესის მე-3 აგრეგატის გაშვების შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომელსაც მანამდე სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდებოდა. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, "ენგურჰესის" გაჩერების თარიღი აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან და სადგურის ადმინისტრაციასთან შეთანხმებულია.

აღნიშნულ შეთანხმებას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა პარასკევს "ენგურჰესის" ადმინისტრაციაში გამართულ მოლაპარაკებაზე მიაღწია. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჰესი 28 მარტს, ღამის 22.00 საათზე გაჩერდება.

სამინისტროს ინფორმაციით, ქართულმა მხარემ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან მიაღწია შეთანხმებას სპეცტექნიკისა და ქართველი და უცხოელი სპეციალისტების საზღვარზე შეუფერხებელ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. **24 საათი.**

## ქვესადგურ "თიანეთის" აღდგენა დაიწყო



ქვესადგურ "თიანეთი 110"-იდან გამომავალი 10 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ხაზის ერთ-ერთი ბოძის წაქცევამ ელექტროსადენების გაწყვეტა გამოიწვია. ავარიულად გამოირთო ფიდერი "ქალაქი", და დაბა თიანეთი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. წინასწარი ინფორმაციით, ბოძი დაუდგენელმა პირმა ელექტროხერხით გადაჭრა.

ს.ს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" კომერციული უსაფრთხოების დეპარტამენტის ენერგოზედამხედველობის სამსახურმა დაბა ზაჰესში ელექტროენერგიის დატაცების 5 ფაქტი დააფიქსირა. ოთხი სავარაუდო დამტაცებელი კერძო მოსახლე, ხოლო ერთი - ინდივიდუალური მეწარმეა. ენერგოკომპანიამ კანონით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია სასამართლოს გადასცა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, მსგავსი კანონდარღვევა იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 600 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 5000 ლარით ("მუხლი 96 . ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება"). **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 28/03 | 29/03 | 30/03 |
|---|---|---|---|
| კიევი | 7 | 10 | 7 |
| რიგა | 6 | 10 | 5 |
| ვილნიუსი | 5 | 5 | 3 |
| მოსკოვი | -1 | 1 | 5 |
| მინსკი | 2 | 3 | 5 |
| პარიზი | 9 | 6 | 11 |
| რომი | 19 | 16 | 14 |
| ლონდონი | 7 | 7 | 11 |
| მადრიდი | 20 | 20 | 22 |
| ბონი | 8 | 7 | 13 |
| ვარშავა | 9 | 7 | 7 |
| ათენა | 23 | 21 | 22 |
| ბერნი | 10 | 14 | 12 |
| ამსტერდამი | 7 | 5 | 7 |
| ოსლო | 2 | 4 | 5 |
| ანკარა | 18 | 23 | 20 |
| ვარნა | 18 | 20 | 18 |
| დელი | 33 | 35 | 36 |
| ტოკიო | 15 | 12 | 11 |
| კოპენჰაგენი | 1 | 3 | 6 |
| ბაქო | 14 | 16 | 18 |
| ერევანი | 17 | 19 | 22 |
| ასტანა | 2 | -5 | -9 |
| ჰელსინკი | -7 | 1 | 1 |
| დუბლინი | 10 | 1 | 3 |
| ლისაბონი | 21 | 22 | 20 |
| პრაღა | 7 | 1 | 2 |
| სოფია | 20 | 23 | 18 |
| ბუდაპეშტი | 16 | 12 | 15 |
| ბუხარესტი | 22 | 23 | 19 |

# როგორი უნდა იყოს ელექტროენერგიის ტარიფი

ნუგზარ ხუჭუა
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

*როგორც "24 საათი-ბიზნესის" წინა ნომერში ვწერდით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აფერხებს საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების წარმატებით განხორციელებას, დაკავშირებულია გაუწონასწორებელი ფასების და არასაბაზრო სექტორის არსებობასთან. ამ საკითხის გარკვევას ჩვენ ისევ ენერგეტიკული სექტორის მაგალითზე შევეცდებით და პრობლემის სხვა საინტერესო ასპექტებზე ვისაუბრებთ.*



ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ფასები სახელმწიფოს მიერ რეგულირებად რეჟიმშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ამ მომსახურებაზე ფასების ინდექსები მნიშვნელოვნად უსწრებს წინ თავისუფალ კონკურენციაში მყოფი საქონლის ფასების ინდექსებს. ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, აუცილებელია რეგულირებად რეჟიმში მყოფ საქონელსა და მომსახურებაზე ფასები შენარჩუნებული იქნეს საშუალო სამომხმარებლო ფასების პარიტეტულ დონეზე. ამას უნდა ემსახურებოდეს ენერგეტიკის, კავშირგამბმულობის და ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიების საქმიანობა.

დღეისათვის მარეგულირებელი ეროვნული კომისიების მიერ ტარიფების დადგენის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს დანახარჯების მეთოდი. ამის დასტურია ენერგეტიკის და ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიების მიერ დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიები, რომლებიც დანახარჯების (საკალკულაციო) პრინციპებზეა შემუშავებული და ძირითადად ტარიფში მოგების ნორმის, ტექნიკური და კომერციული დანაკარგების, უიმედო ვალების, საექსპლუატაციო დანახარჯების და სხვა ფაქტორების შესაძლო ასახვის გზებს განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ფასი მხოლოდ მარქსისტულ პოლიტეკონომიაში და საგეგმო მეურნეობის პირობებში განისაზღვრება დანახარჯების მეთოდით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბუნებრივი მონოპოლიების შემთხვევაშიც კი, საჭიროა ვეძებოთ დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც საქონლის სარგებლობასა და ეფექტიანობასთან იქნება დაკავშირებული. ფასმა სწორი სიგნალი უნდა მიაწოდოს მომხმარებელს, მეწარმეს. თუ ფასის დადგენის მიზნით გამოიყენება დანახარჯების მეთოდი, იქვე ჩნდება ეჭვი გამოყენებული მონაცემების საიმედოობის შესახებ და ეს ეჭვი ყოველთვის იარსებებს. ამიტომ ბუნებრივი მონოპოლიებისათვის ფასის დადგენა მოითხოვს მარკეტინგული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, რათა დადგენილი ფასი კეთილსასურველად აღიქმებოდეს როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ.

არსებობს მოსაზრება, რომ ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების ზრდა შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ განხორციელდება მათი რეფორმა. რეფორმის არსი შემდგომში მდგომარეობს: კონკურენტული სფეროს გამოყოფა და ფასებისა და დანახარჯების შემცირება საკონკურენციო ბრძოლის საფუძველზე. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ასეთი შესაძლებლობა ელექტროენერგეტიკის სფეროში ნამდვილად არსებობს. კერძოდ, ელექტროგადამცემი ქსელების და დისპეტჩერული მართვის სისტემის გამოყოფა - ბუნებრივი მონოპოლიის გამოყოფის ტოლფასია, ხოლო ელექტროსადგურებს, რომლებსაც ექნებათ თანაბარი ხელმისაწვდომობა გადამცემი ქსელების მიმართ, შეუძლიათ მიაწოდონ თავიანთი მომსახურება გამანაწილებელ (გამსაღებელ) ენერგოკომპანიებს საკონკურსო პირობებით. ამ ამოცანის განხორციელება არც ისე მარტივია, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია და არც დიდ ფინანსურ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული რეფორმის განხორციელების საფუძველზე დასაწყისში შიძლება ველოდოთ ელექტროენერგიაზე ტარიფების სტაბილიზაციას, ხოლო მომდევნო 2-3 წელიწადში მის მოსალოდნელ შემცირებასაც კი.

ტარიფის შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს თვით ელექტროენერგეტიკის სექტორშიც. ამ მხრივ საყურადღებოა სემეკ-ის წლიური ანგარიშების გაცნობა, რომლებშიც ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობა ზოგადად შემდეგნაირადაა შეფასებული: ჰიდროელექტროსადგურებში სარემონტო სამუშაოების დაუფინანსებლობის გამო ძალიან დაბალია დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, რის გამოც წყალდიდობის დროს იღვრება დიდი რაოდენობით წყალი და იკარგება იაფი ელექტროენერგია. პრივატიზებულ ჰესებში პრაქტიკულად არ ხდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ელექტროგადაცემის ობიექტების ძირითადი მოწყობილობების და დისპეტჩერული მართვის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცვეთილია და მოძველებულია ფიზიკურად და მორალურად. პრობლემის ნაწილობრივი შემსუბუქების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვა და შესრულება. მაგრამ გაწეული მომსახურების ქრონიკული გადაუხდელობა შეუძლებელს ხდის დაგეგმილი სამუშაოების დროულად და სრული მოცულობით შესრულებას. შეუსრულებელი ნაწილი გადადის მომდევნო წლის გეგმებში და საერთოდ შეუსრულებელი რჩება. მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი სამუშაოების შეუსრულებლობა, იზრდება ექსპლუატაციისა და იმედიანობის დონის შემდგომი შემცირების რისკი.

აი ასეთ შეფასებას აძლევს სემეკ-ი ენერგეტიკული სექტორის თანამედროვე მდგომარეობას, სადაც ელექტროენერგიაზე ტარიფი სისტემატურად იზრდებოდა. კერძოდ, 1999 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე ელექტროენერგიაზე ტარიფი დაახლოებით 10-ჯერ მაინც შეიცვალა და 1 კვტ/სთ-ზე 6 თეთრიდან 12 თეთრი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკის სექტორში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და იგი კვლავაც კრიზისული რჩება.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც ენერგეტიკული სექტორის წინაშე დგას, არის რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელი. "საბაზრო წესებით" ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის ორგანიზება და მონიტორინგი შედის ენერგობაზრის (სესბ) ფუნქციებში. სესბ-ის ინფორმაციით, საბითუმო ბაზრიდან შესყიდული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი მოდის გამანაწილებელ კომპანიებზე (83.7 პროცენტი), ხოლო დარჩენილი ნაწილი (16,3 პროცენტი) - პირდაპირ მომხმარებლებზე. ამასთან, თანხების ამოღების დონე შეადგენდა დარიცხული თანხების 50 პროცენტს.

ენერგეტიკოსთა აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზს, რომელიც უზრუნველყოფდა თანხის ამოღების დაბალ მაჩვენებელს, წარმოადგენდა განაწილების სექტორში არსებული არაჯანსაღი (კორუფციული) გარემო და ბუნდოვანი ფინანსური მდგომარეობა. ფაქტობრივად, გამანაწილებელი კომპანიები სესბ-თან ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ ე. წ. "ნარჩენი თანხების" პრინციპით, ანუ პირველ რიგში ამოღებული თანხები მიემართებოდა გამანაწილებელი კომპანიების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დარჩენილი თანხები გადაირიცხებოდა სესბ-ის ტრანსფერტულ ანგარიშზე.

სესბ-ის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზებიდან აღვნიშნავთ რამოდენიმეს: არასრულყოფილი საბაზრო წესები, ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვიანობის დაბალი დონე, ფულის ამოღების მოუწესრიგებელი სისტემა, არაკვალიფიციური მენეჯმენტი და სხვა.

რა თქმა უნდა, სესბ-ის არაეფექტურ ფუნქციონირებაში წვლილი სემეკ-საც მიუძღვის, თუმცა თავისი ნაკლოვანებები სემეკ-საც მრავლად აქვს, რომელთა აქ მოტანა და განხილვა წერილის შეზღუდული ფორმატის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა, გავაკეთოთ დასკვნა, რომ ელექტროენერგეტიკის სექტორში არსებობს მნიშვნელოვანი რეზერვები მდგომარეობის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამასთან, აღნიშნული რეზერვები არ არის დაკავშირებული ტარიფების მომატებასთან და არც მნიშვნელოვან ინვესტიციებთან. ელექტროენერგიაზე დაბალი ტარიფი და მისი შენარჩუნება უნდა წარმოადგენდეს ქართული ენერგეტიკის კონკურენტულ უპირატესობას სხვა ქვეყნის ენერგეტიკის სექტორებთან შედარებით.

# ინტერნეტ-ბანკი - 21-ე საუკუნის აუცილებლობა

ნინო ნარჩემაშვილი

*კლიენტის საბანკო მომსახურება დროის მინიმალური დანახარჯებით - ასეთი ფორმულირება შეიძლება მიეცეს "საქართველოს ბანკის" დისტანციური საბანკო მომსახურების პაკეტს, რომელიც ინტერნეტ-ბანკს, ტელეფონ-ბანკს, მობილ-ბანკს და ონლაინ გადახდებს მოიცავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მომსახურებებიდან მხოლოდ მობილ-ბანკია ფასიანი (თვეში 50 თეთრი), ხოლო დანარჩენი კი - უფასო. ინტერნეტ-ბანკი დისტანციური მომსახურების პაკეტიდან ყველაზე სრულყოფილი საბანკო მომსახურების გაწევის საშუალებას იძლევა და თითქმის ყველა საბანკო პროდუქტს მოიცავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტერნეტ-ბანკი თანამედროვე ეპოქაში მოსახლეობისათვის უაღრესად საჭირო და ეფექტური მომსახურება გახლავთ.*

უფრო მარტივად კი, ინტერნეტ-ბანკი თანამედროვე და უსაფრთხო ინტერნეტ ტექნოლოგიებზე აგებული პროგრამაა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერ დროს დაათვალიეროს საკუთარი საბანკო ანგარიშები, საბუთები და განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია.

"საქართველოს ბანკის" დისტანციური საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი ნიკა ქურდიანი აღნიშნავს, რომ **"ინტერნეტ-ბანკის მომხმარებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც "საქართველოს ბანკში" სულ მცირე ერთი უნივერსალური მიმდინარე ანგარიში მაინც აქვს გახსნილი და იურიდიული პირი, რომელსაც "საქართველოს ბანკში" გახსნილი აქვს სტანდარტული მიმდინარე ანგარიში. მნიშვნელოვანია, რომ უფლებების და ფუნქციების ჩამონათვალს, რომელიც უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ კონკრეტულ მომხმარებელს, განსაზღვრავს უშუალოდ კლიენტი პროდუქტის შეძენის მომენტში".**

"საქართველოს ბანკში" აღნიშნავენ, რომ სისტემასთან მუშაობა საკმაოდ ადვილია და ყველას ხელეწიფება - მხოლოდ უნდა შეირჩეს სასურველი ოპერაციის განსახორციელებლად საჭირო მენიუს პუნქტი და შეივსოს შესაბამისი ველები. თუმცა, თითოეულ გვერდზე მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ღილაკი "დახმარება", რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი თითოეული საბუთის შექმნის ინსტრუქცია.

ნიკა ქურდიანის განმარტებით, **"საქართველოს ბანკის" სისტემაში არსებული დისტანციური მომსახურების პაკეტის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია მობილ-ბანკი, რომელიც გულისხმობს კლიენტისათვის სხვადასხვა სახის საბანკო სერვისის შეთავაზებას მობილური ტელეფონის საშუალებით (მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით). მობილ-ბანკის მომსახურება შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ნაწილად:**

**- ბანკიდან კლიენტის მობილურ ტელეფონზე ინფორმაციის გაგზავნა ავტომატურ რეჟიმში** (კლიენტის ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვის შესახებ შეტყობინება; შეტყობინება კლიენტის სესხის დაფარვის თარიღის, თანხის მოცულობისა (სესხის ძირი და პროცენტი) და დარჩენილი თანხის შესახებ, დაფარვამდე ერთი საბანკო დღით ადრე და ა.შ.);

**- ბანკიდან კლიენტის მობილურ ტელეფონზე ინფორმაციის გაგზავნა კლიენტის მოთხოვნის საპასუხოდ (**შეტყობინება კლიენტის საბარათე ანგარიშზე მიმდინარე ლიმიტის შესახებ; შეტყობინება ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსების შესახებ მიმდინარე თარიღისათვის;შეტყობინება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსების შესახებ და ა.შ.);

**- კლიენტის მობილური ტელეფონის საშუალებით ბანკისათვის გაგზავნილი მოთხოვნის საპასუხოდ გადახდის ოპერაციების ჩატარება.** კერძოდ, Mმობილ-ბანკის მომსახურებით სარგებლობისას შესაძლებელია შემდეგი კომპანიების გადასახადების გადახდა: თელასი, თბილწყალკანალი, ელექტროკავშირი ჯორჯია ონლაინი, ახტელი, გლობალ ერთი, საქართველოს ტელეკომი, ახალი ქსელები, საქტელკომპლუსი, აიეტი, ჯეონეთი.

მობილ-ბანკის საშუალებით შესაძლებელია ასევე მაგთის, ჯეოსელისა და ლაი-ლაის სასაუბრო დროის შეძენა.

"საქართველოს ბანკის" სისტემაში არსებული დისტანციური მომსახურების პაკეტის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი - ტელეფონ-ბანკი, რომელიც მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულ საბანკო მომსახურებას წარმოადგენს. ნიკა ქურდიანის განმარტებით, **"მისი შესაძლებლობით, მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი საბანკო მომსახურება:**

- ეროვნული ვალუტის გადარიცხვა;
- უცხოური ვალუტის გადარიცხვა;
- კონვერტაცია;
- კლიენტის ერთი ანგარიშიდან თანხის მეორე ანგარიშზე გადატანა;
- მუდმივი საგადასახადო დავალება (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში)
- ჩართვა
- გამორთვა
- მოდიფიკაცია;
- პირადი მონაცემების განახლება (საკონტაქტო ინფორმაცია).

**მიიღოს ინფორმაცია "საქართველოს ბანკის" სისტემაში არსებული პროდუქტებისა და მომსახურების პირობების, ასევე პირადი ანგარიშების შესახებ".** "საქართველოს ბანკის" ტელეფონ-ბანკის მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ასევე უფასოა, შესაძლებელია ნებისმიერი ტელეფონიდან. სარგებლობისათვის კი საკმარისია ბანკის ტელეფონის ნომერზე 444-444 დარეკვა.

და ბოლოს, ონლაინ გადახდები ეს არის მარტივი, სწრაფი და მოხერხებული საშუალება, რომლის მეშვეობითაც ამა თუ იმ პროდუქტის თუ მომსახურების შეძენა და პლასტიკური ბარათის მეშვეობით სხვადასხვა გადასახადის გადახდაა შესაძლებელი.

"საქართველოს ბანკის" მიერ ემიტირებული Visa-სა და MasterCard-ის საერთაშორისო პლასტიკური ბარათებით ამგვარი ოპერაციების ჩატარება შესაძლებელია როგორ საქართველოს ბანკის ბანკომატების მეშვეობით, ისე ბანკის ვებ-გვერდის გამოყენებით.

"საქართველოს ბანკის" ონლაინ გადახდებში ჩართულია: თელასი, თბილგაზი, თბილწყალკანალი, მაგთი, ჯეოსელი, ტელეკომი, გლობალ ერთი, ჯორჯია ონლაინი, ჯეონეთი, სევისი, აიეტი, კ/თ ამირანი, საქართველოს რკინიგზა. ონლაინ გადახდების მომსახურება "საქართველოს ბანკის" სისტემაში უფასოა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე კომპანია (თელასი, თბილწყალკანალი, ტელეკომი), რომლის მომსახურებაც კლიენტს 50 თეთრი დაუჯდება თითო განხორციელებულ გადახდაზე.

# მოწვევა საკონკურსო წინადადებების წარმოსადგენლად

**საქართველო, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტი**

**ლიფტების მოწოდება და დამონტაჟება საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის**

1. ეს მოწვევა ეყრდნობა ზოგად შეტყობინებას შესყიდვების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა "Development Business"-ში 1999 წ. 16 ივნისს და განახლებული იქნა 2006 წ. 16 იანვარს.

2. საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტი და გადაწყვიტა, მისი ნაწილი გამოიყენოს ზემოთ აღნიშნული კონტრაქტის დასაფინანსებლად

3. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის და განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი აცხადებს ტენდერს და იწვევს დალუქულ საკონკურსო წინადადებებს დაინტერესებულ კომპანიებისაგან შემდეგზე:

ლიფტი A: 1000 კგ - 2 ცალი
ლიფტი B: 400 კგ - 1 ცალი
ლიფტი C: 630 კგ - 1 ცალი
ლიფტი D: 630 კგ - 1 ცალი

4. კონკურსი ჩატარდება მსოფლიო ბანკის შესაბამისი პროცედურების თანახმად.

5. დაინტერესებულ კომპანიებს, შეუძლიათ, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ საკონკურსო დოკუმენტაციას საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელ Oრგოლის ოფისში 12.00. საათიდან 17.00. საათამდე შემდეგ მისამართზე:

საქართველო, 0162 თბილისი
N 70 აბაშიძის ქ., ოთაზი N501
ტელ: +99532 950865, 955268
ფაქსი: +99532 221463

6. საკონკურსო წინადადებების შეძენა მოხდება რგოლის მიერ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე 200 ლარის გადარიცხვის საფუძველზე:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში: 200122900
მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
მიმღების ბანკის კოდი: 220101107
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000
აუცილებელია საგადახდო დავალების დანიშნულების ველში
მითითებული იქნას იმ პროექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ტარდება ტენდერი

მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის გაგზავნა თნთ კურიერის მეშვეობით კონკურსანტის ხარჯზე.

7 წინა სატენდერო კონფერენცია ჩატარდება 12 საათზე 2006 წ. 18 აპრილს მთავრობის კანცელარიის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

8. საკონკურსო წინადადებების ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წ. 10 მაისი 12 საათი. ჩაბარების ადგილი:

ბატონი პეტრე მამრაძე
მთავრობის კანცელარიის უფროსი
საქართველო, თბილისი, ინგოროყვას ქ. N 7, ოთახი N403
ტელ/ფაქსი: (99532) 984006; 921978

---

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
## საიდენტიფიკაციო ნომერი: N 09.01.15.
## მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE
## ხულოს რაიონის, სოფელ უჩხოს სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ხულოს რაიონის, სოფელ უჩხოს სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობის სამუშაოები**.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხულოს რაიონის, სოფელ უჩხოს სათემო კავშირთან "კალმახი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, უჩამბის სათემო კავშირი **"კალმახი"** იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 28 მარტიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილ უნდა იქნას ბანკში შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელი: "ბანკი რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 28 აპრილს 15:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00 საათზე** დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შიდა აუდიტის სამსახურს შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**ელ-ფოსტა: ngagua@mdf.org.ge**
**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი**
**www.mdf.org.ge**

---

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
## საიდენტიფიკაციო ნომერი: N 05.04.21.
## მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE
## ცაგერის რაიონის, სოფელ ღვირიშის საშ. სკოლის რემონტი

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ცაგერის რაიონის სოფ. ღვირიშის საშ. სკოლის რემონტი**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ცაგერის რაიონის, სოფელ ღვირიშის სათემო კავშირთან "ღვირიში"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ღვირიშის სათემო კავშირი **"ღვირიში"** იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 28 მარტიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
